საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

გიული კვირიტიძე

თემატური ნაირგვარობის პრობლემა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლელა კუკულაძე - ასოც. პროფ.

აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

გურამ რჩეულიშვილი იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც თავიანთი ხანმოკლე ცხორების მიუხედავად, თქვეს ძალუმი, თვითმყოფადი სიტყვა ჩვენს ლიტერატურაში. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთადერთი პროზაიკოსია ქართულ მწერლობაში, რომელმაც ესოდენ ახალგაზრდა ასაკში თავისი ფრიად ორიგინალური, მხატრული სამყაროს წარმოჩენა შეძლო. ეპოქისთვის დამახასიათებელი ტრაფარეტული, არაფრისმთქმელი ნაწარმოებების გვერდით გურამ რჩეულიშვილი გამობრწყინდა, როგორც მართლაც ახალი და ინდივიდუალური სამყაროს შემოქმედი. მისი გამოკვეთილად ინდივიდუალური მწერლური მანერა და მხატვრული ოსტატობა არ შეიძლება გულგრილს სტოვებდეს მკითხველს. მხატრული ინდივიდუალობას დიდად განაპირობებდა მისი პიროვნების უჩვეულობა. მისი შემოქმედება სცილდება ლიტერატურის კლიშეებს და ამკვიდრებს ახალ, თავისუფალ სტილს, ახალ, გამოკვეთილად ეროვნულ თემატიკას. ჩვენ სწორედ ამ უაღრესად ეროვნული, ორიგინალური ხელწერის პროზაიკოსის მოთხრობების თემატური კვლევა დავისახეთ მიზნად.

Annotation

Guram Rcheulishvili belongs to the number of creators, who despite their short lives, say the power of the original word in our literature. It can be said that he is the only proseologist in Georgian writings, who have been able to present his most original, patronized world at such a young age. Guram Rcheulishvili was glorified as a creator of the new and individual world, aside from the screenplay and unparalleled works of the epoch.

His exclusively individual writing style and artistic mastery can not leave the reader in mind. The patriotic individuality was greatly influenced by his personality.

His creativity goes beyond the literary cliches and establishes a new, free style, a new, explicit national theme. We aimed to set up a thematic study of these highly national and original scribble prose stories

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ---------- 5

I საკითხის კვლევის ისტორიისათვის ---------- 7

II ავტობიოგრაფიული ელემენტები გ. რჩეულიშვილის მოთხრობებში ----------22

III ეროვნული თვითშეგნების მწერლისეული გააზრება ---------- 37

IV სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა გ. რჩეულიშვილის მოთხრობებში ---------- 48

V გასიმბოლოებული სახე-პასაჟები გ. რჩეულიშვილის მოთხრობებში ---------- 59

VI ფსიქოლოგიზმი გ. რჩეულიშვილის მოთხრობებში ---------- 70

ძირითადი დასკვნები ----------80

გამოყენებული ლიტარატურა ---------- 85

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გურამ რჩეულიშვილის გამოჩენა მოვლენა იყო უახლეს ქართულ ლიტერატურაში. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პროზას მან ძალზე დიდი ფიქრი და ძალა შემატა, ბევრი პრობლემა წამოჭრა და ბევრ კითხვასაც გასცა პასუხი. ის დიდი მწერლობისათვის იყო დაბადებული და მოწოდებული, მოზღვავებული სათქმელი და გადმოცემის განსაკუთრებული უნარი განარჩევდა სხვა მოკალმეთაგან. ყოველი მისი სტრიქონი მისივე ადამიანური პიროვნების განუყოფელ ნაწილად იქცა.

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები გვაოცებენ თხრობის სხვადასხვა რაკურსის მონაცვლეობით. მის მონათხრობში ოსტატურად სინთეზირდება ისტორიული თუ გამოგონილი ამბები. მას აინტერესებს ოცნებისა და რეალობის შეჯახებისას წარმოქმნილი ყოველწამიერი ადამიანური დრამა.

ის თავის მამულიშვილურ, მოქალაქეობრივ რწმენას წუთითაც არ ღალატობს. მას შეუძლია ისე ძლიერად თქვას სათქმელი, რომ მკითხველიც მთლიანად შეიყვანოს თავის განზოგადებულ და ამაღლებულ სამყაროში, აავსოს იმ განწყობილებით, სულიერი მდგომარეობით, როგორც მას წინასწარ ჰქონდა განზრახული და შემდეგ მხატრულად ხორცშესხმული. წერის მანერით, აზრობრივი დატვირთვით, სათქმელს სიღრმითა და პერსპექტივით გურამ რჩეულიშვილი ეპოქის ყველა მოთხოვნებს პასუხობდა. იგი ჩვენი ერის სახელოვანი მწერლების რიგში დამსახურებულად იკავებს თავის კუთვნილ ადგილს. გურამ რჩეულიშვილი დიდი ოპტიმისტი და ჰუმანური ტენდენციებით გამსჭვალული

მწერალი იყო. ადამიანების უპირველესი კეთილშობილური მოვალეობისაკენ - პატიოსნობისაკენ მოუწოდებს.

ჩვენი სამაგისტრო **თემის მიზანი** ამ უაღრესად ეროვნული, განსაკუთრებული მხატვრული ხელწერის შემოქმედის მოთხრობათა თემატური განხილვაა, მისი პრობლემატიკის ჯეროვანი ანალიზი. თემა ნაკვლევია **ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.**

თემის აქტუალობას განსაზღვრავს გურამ რჩეულიშვილის ძლიერი ტალანტი, ორიგინალური აზროვნება, შემოქმედებაში კლასიკური მწერლობის ტრადიციებისა და ნოვატორული პრინციპების შერწყმა, თანამედროვე მსოფლმხედველობის გამოვლენა, ეპოქის მოთხოვნათა შეგრძნება და იმ სასიამოვნო სიახლის დასაწყისი, რასაც მან ჩაუყარა საფუძველი ამაღლებული, სიცოცხლისუნარიანი, მიზანდასაული და გაბედული პიროვნებების ხატვით, ლიტერატურის მარადიული თემებისადმი განუწყვეტელი ინტერესით. სწორედ ამ საკითხთა ჯეროვან ანალიზს ისახავს მიზნად ჩემი სამაგისტრო ნაშრომი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებით. მწერლის მოთხრობათა ძირითად პრობლემატიკათა წარმოჩენა, მისი ეროვნული მრწამსის აქცენტირება.

თავი I

საკითხის კვლევის ისტორიისათვის

გურამ რჩეულიშვილი დაიბადა თბილისში 1934 წლის 4 ივლისს. რჩეულიშვილები წარმოშობით თელაველები ყოფილან. გურამს განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა მშობლები. ოჯახის ერთადერთ ვაჟიშვილს მხურვალედ სწამდა მეხუთე მცნება: „ პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“. იგივე მცნება გარდა პატივისცემისა, მორჩილებასაც უქადაგებდა შვილს მშობლებისადმი. ამასაც მტკიცედ იცავდა გურამი.

მწერლის მამა მიხეილი - ზოოტექნიკოსი იყო, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა საზოგადოების პრეზიდენტი.

ნადირობა ჰყვარებია მიხეილს და გურამისათვის გადაუდია ეს სასიამოვნო აზარტული საქმიანობა. ნადირობის დროს ეს ჭაბუკი ახლოს ეცნობოდა მშობლიურ გარემოს; შემდგომ და შემდგომ მან ფეხით შემოიარა მთელი საქართველო,

განსაკუთრებით სიამოვნებდა ხევსურეთის, სვანეთის, საქართველოს ზღვისპირეთის ხშირი მონახულება.

დედა მარიამი მაინც სულ სხვა იყო. მეოჯახე ქალი გახლდათ და თვალის ჩინივით უვლიდა ორ შვილსა და მეუღლეს. მარიამი მუდმივად ზრუნავდა გურამზე, მისი მესაიდუმლეც იყო. გურამმა თურმე პირველად დედას გაანდო, რომ მოთხრობებს წერდა. რასაკვირველია გურამს ძალიან უყვარდა ერთადერთი დაც - მარინე.

გურამი მშობლებთან, დასთან და ბებიასთან ერთად ცხოვრობდა, კალინინისა და რენინგერის ქუჩის კუთხეში, ეკლესიის პირდაპირ. ეს იყო ძველი ისტორიული სახლი. დიდი და ჭერმაღალი ოთახები, ფართო აივანი და შესანიშნავი ეზო ჰქონდა. ამ ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული ისტრიოგრაფიის მამამთავარი ივანე ჯავახიშვილი, კიტა აბაშიძე, ივანე ჯავახიშვილის ძმა პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი.

მნიშვნელოვანია გურამის მამის მიხელ რჩეულიშვილის ნაამბობი: „გურამს ბავშვობიდანვე უყვარდა ზღაპრები. მეც დღენიადაგ ვუყვებოდი ხალხურ ზღაპრებს, რაც გაგონილი ან წაკითხული მქონდა... იმ დღიდან კი რაც კითხვა ისწავლა თვითონ კითხულობდა“. განსაკუთრებით ბევრ ზღაპარსა და მოთხრობას უკითხვდა ბებო საშა, ქართულიდან, ფრანგულიდან, რუსულიდან. გურამის კეთილი, რაინდული, მგრძნობიარე ბუნების ჩამოყალიბებაზე დიდად იმოქმედა ბებოსთან მეტად ახლო და უშუალო ურთიერთობამ. ყველამ იცის, რომ გურამი დიდ პატივს სცემდა უფროსებს, განსაკუთრებით მოხუცებს. საფიქრებელია, რომ ყველა ამ ხალხში გურამი ხედავდა თავის ბებოს. ასევე ძალიან უყვარდა გურამს დედა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მისი განათლების, ჯანმრთელობის წრთობისა თუ რაინდული ჩვევების შემუშავებაში” (დურმიშიძე, 1985:281).

როგორც აღვნიშნე, ამავე სახლის პირველ სართულში ცხოვრობდა გურამი. გურამის ახლო მეგობარი, ნუგზარ წერეთელი, იხსენებს, თუ „როგორ უყვარდა გურამს შინ მიპატიჟება. გამახსენდა როგორი თბილი, ზედმიწევნით ინტელიგენტური, ქალაქურად

სადა და სტუმართმოყვარე იყო მისი ოჯახი. 1953 წლის გაზაფხულზე კი რჩეულიშვილებმა ახალი ბინა მიიღეს ვაკეში, პეტრიაშვილის ქუჩის თავში მდებარე ლარსის ქუჩაზე“(წერეთელი, 1984 :17-20).

მომავალმა მწერალმა დაამთავრა პლეხანოვზე ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლა. იგი ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, შემდეგ კი, მესამე კურსიდან, ისტორიის ფაკულტეტზე გადავიდა, რომელიც 1957 წელს დაამთავრა. მოთხრობების წერა სტუდენტობის დროს დაიწყო. წერდა ყველგან: ლექციაზე, თავის ოთახში და ზოგჯერ სხვებთანაც. მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში, ერთხანს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. როდესაც წამოიზარდა, ძალიან ბევრს კითხულობდა. კითხვა უყვარდა თავაუღებლივ. თუ რამეს კითხულობდა, რამდენიც გინდა გეძახა, ვერ გაიგონებდა, მთლიანად წიგნით იყო დაკავებული. კითხულობდა ქართველ, რუს, უცხოელ კლასიკოსებს. კითხვის ან წერის დროს თავის ოთახში ჩაკეტვა იცოდა. მასთან ვერავინ ვერ შევიდოდა და თვითონაც იშვიათად გამოდიოდა. ასე მუშაობდა გადაბმით, რამდენიმე დღის განმავლობაში.

გურამს პოეზია უსაზღვროდ უყვარდა, შეეძლო ლექსები მთელი დღე ესმინა. მისთვის პოეზია იყო ფერადი, ლამაზი სამყარო, სადაც სულიერად ისვენებდა და დიდ კმაყოფილებასაც იღებდა. მოთხრობასა თუ პიესაზე მუშაობის შემდეგ ან შესვენების ჟამს ლექსებსაც წერდა ხოლმე, ძირითადად თეთრ ლექსებს. ნუგზარ წერეთლისთვის უთქვამს: „უთქვამს ხოლმე ჩემთვის: პროზით უფრო კარგად გამოვხატავ რაც მინდა, თეთრი ლექსიც ამ თვალსაზრისით მომწონს, რითმებიც რომ ასე მემორჩილებოდნენ, ალბათ პოეტიც ვიქნებოდიო“(წერეთელი, 1984:203).

საოცრად იზიდავდა ხალხური პოეზია. სვანური პოეზიის ერთტომეული მქონდა, არ მოისვენა, სანამ არ წაიღო. მერე ამ წიგნსაც სისტემატურად კითხულობდა, სამუშაო მაგიდაზე ედო: რუსთაველის, დანტეს, ძველეგვიპტური პოეზიის, ესქილეს, პუშკინის, ლერმონტოვის, ბაირონის, ვაჟა-ფშაველას, მაიაკოვსკის, ესენინის, გალაკტიონის, ტიციანის წიგნების გვერდით.

ქართველი პროზაიკოსებიდან განსაკუთრებით აფასებდა დავით კლდიაშვილსა და მიხეილ ჯავახიშვილს. გატაცებული იყო სპორტის მრავალი სახეობით. ინტერესით ეცნობოდა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პირველწყაროებს, საცავებსა და არქივებში დაცულ მასალებს. გულწრფელად განიცდიდა, რომ მემატიანეებსა და ჟამთააღმწერლებს არ შემოუნახავთ უბრალო ადამიანის, როგორც თვითონ იტყოდა, „გლეხი გმირის“ სახელი.

გურამ რჩეულიშვილი იყო ღონიერი, დაკუნთული, მკერდგანიერი, თავზეხელაღებული, შფოთიანი, მოხეტიალე, მთამსვლელი, მოთხილამურე, ცხენოსანი. შინ ჯდომა არ უყვარდა, ხან მთაში იყო, ხან ზღვაზე, ხან შორეულ ქალაქებში. მისი თავისუფლებისმოყვარე, მებრძოლი სული ცხოვრების დუნე ერთფეროვნებას ვერ ეგუებოდა. ერთხელ, შუა ზაფხულის ცხელ დღეს, დღისით-მზისით, სახლიდან თოფი გამოიტანა, მივიდა თბილისის მთავარ მოედანზე (ახლანდელ თავისუფლების მოედანზე) და ლენინის ძეგლს ესროლა. ხელისუფლება მისმა საქციელმა დააბნია. გურამი არაჩვეულებრივმა გამბედაობამ გადაარჩინა.

გურამ რჩეულიშვილი ხაზგასმულად განსხვავდებოდა ყველასგან არა მხოლოდ ცხოვრების სტლითა და შეხედულებებით, არამედ ჩაცმის მანერითაც. გურამ ასათიანი იგონებს: „თავისი გარეგნობით გურამ რჩეულიშვილი გამოირჩეოდა ზედმიწევნით გამოწყობილ სხვა ახალგაზრდა თბილისელისგან: ფართოდ გადაღეღილი, თითქმის შარვლის ქამრამდე ჩახსნილი პერანგის პირი, მოკლედ შეკრეჭილი თმა, ძლიერი, დაჟინებული გამოხედვა. დიდი, უხეში მძიმე ფეხსაცმელები თითქოს მიწისკენ ეზიდებოდნენ მის სხეულს და, ამავე დროს, მთელ მის არსებაში იგრძნობოდა, რაღაც მოუსვენარი, გამტყდარი, თითქოს უეცარი ნახტომისთვის გამზადებული ძალა. ახლო მეგობრებს იგი გამორჩევით უყვარდათ და ხშირად უთმობდნენ მისი ძლიერი ხასითის უჩვეულო გამოვლინებებს“ (ასათიანი, 1983: 243).

ნუგზარ წერეთელი იხსენებს: „გურამს ერთ ადგილზე გაჩერება არ შეეძლო, კახეთსა და თელავში ყოფნა უყვარდა, საქართველოს ყველა კუთხე არაერთხელ

ფეხითაც ჰქონდა მოვლილი. შედარებით ხშირად თელავში იმყოფებოდა, წარმოშობით სწორედ ამ უძველესი ქართული ქალაქიდან იყო.თელავის გულში, ნადიკვარზე, ერთადერთი საცხოვრებელი სახლი დგას, ძველებური ნაშენი, ერთსართულიანი, ქვითკირის სახლი, სქელი კედლებით, მყუდრო ოთახებით, ბუხრითა და ფართო აივნით დამშვენებული. სახლის უკანა ფასადის აივანი სწორედ ალაზნის ველისკენ გადის და აქედან და ისე დამამეტყვევებლად ჩანს ალაზნის ველი, როგორც ოქროყანიდან თბილისი. სახლი ნადიკვარზე რჩეულიშვილებს ეკუთვნოდათ. თავის დროზე აქ ცხვრობდნენ გურამის პაპა დიმიტრი რჩეულიშვილი, ბებო საშა ჯავახიშვილი, გურამის მამა და ბიძები, მამიდა და მამიდაშვილები. ხშირად შუაში გვეჯდა და რომელიმე საინტერესო წიგნს გვიკითხავდა ან ფრანგულიდან გვითარგმნიდა გურამის უსაყვარლესი ბებო, უკვე ღრმად მოხუცებული და დიდი ჯაფისგან წელში მოხრილი საშა ჯავახიშვილი, მრავალმხრივად განათლებული და განსწავლული, სათნო და სასიამოვნო ადამიანი, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, ივანე ჯავახიშვილის ღვიძლი და. ეჭვი არ არის შვილიშვილს მანაც თავისებური ღვაწლი დასდო და გურამის კლასიკური ქართულით დაწერილ მოთხრობებს მისი ამაგის ანარეკლიც ატყვია“ (წერეთელი, 1984 :26-27).

ოცდაორი წლისა იყო, როცა თქვა, მწერალი უნდა გავხვდეო და გახდა მწერალი. მის ჩანაწერებსა და მოთხრობებში ჩანს, როგორ დაეძებდა ინდივიდუალურ სტილს, როგორ სურდა ყოველი განცდილის მხატვრულ ფორმაში მოქცევა: „ვერ გამიფიქრია რამე, რომ ჩაწერა არ მომინდეს ან უბრალოდ, ან ლექსად, ან მოთხრობად“ (რჩეულიშვილი, 2012: 127). წერდა მხოლოდ იმას, რასაც გულით გრძნობდა. სულ სამი-ოთხიოდე წელი იღვაწა სამწერლო ასპარეზზე. გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები პირველად 1957 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. ამ მოთხრობებმა თავიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მწერლის სიცოცხლეში მხოლოდ მისი შვიდი მოთხრობა გამოქვეყნდა: „შემოდგომა ბაბუა კოტესი“, „სათაგური“, „სიყვარული მარტის თვეში“, „ნელი ტანგო“, „თვირთვილა“, „უსახელო უფლისციხელი“ და „ სიკვდილი მთებში“.

26 წლის ჭაბუკმა გაგრაში დაასრულა ხანმოკლე სიცოცხლე 1960 წლის 23 აგვისტოს. ძლიერი ღელვის დროს აბობოქრებულ ზღვაში გადაეშვა, რუსი ჭაბუკის გადასარჩენად. ის ჭაბუკი ვერტმფრენით ამოიყვანეს, გურამმა ყველა მიუშვა თოკთან, ელოდებოდა ბიჭების აყვანას ვერტმფრენში, თვითონ კი ვაჟკაცურად ბოლოს მიცურდა. ღონეგამოცლილი თოკს მოეჭიდა, აცოცება დაიწყო, მაგრამ ძველმა, დამპალმა თოკმა ვეღარ გაუძლო ამოდენა სიმძიმეს და გაწყდა. გურამი დაიხრჩო. ოთხი დღის შემდეგ იპოვეს მისი ცხედარი გაგრიდან 17 კილომეტრზე, განთიადის მიმართულებით. „ზღვას მისთვის მარჯვენა მკლავი მოეტეხა და ისე დაემორჩილებინა“- წერს მისი უახლოესი მეგობარი ნუგზარ წერეთელი. დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე.

ვაკის სასაფლაოზე ერთი, სხვებისგან მკვეთრად გამორჩეული ქართული საფლავი გაჩნდა, მომწვანო ფერის ქვის მონოლითით დაფარული, რომელზეც გურამის მეგობარმა მოქანდაკე გოგი ოჩიაურმა გაჭენებული ცხენი, მასზე ქაღალდის გრაგნილით მოხდენილად მჯდარი ჭაბუკი, მზე, მთვარე და უსასრულობის გზა გამოსახა.

თბილისში (ვაკეში) სევასტოპოლის ქუჩას შეეცვალა სახელი და გურამ რჩეულიშვილი ეწოდა. გურამის დაკრძალვის უმძიმეს ჟამს მისი ერთადერთი ასული, ია, სამი-ოთხი თვისა თუ იქნებოდა (იამ დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია). დაწესებულია გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია. შექმნილია გურამ რჩეულიშვილის საზოგადოება, რომლის პრეზიდენტია ნუგზარ წერეთელი. მისი მოგონებით, „გურამის ხანმოკლე ცხოვრება ძიებითა და მისწრაფებით, მოძრაობითა და გამბედაობით იყო სავსე. ძნელია კიდევ შეხვდე ისეთი მრავალმხრივი, ძლიერი და დახვეწილი ბუნების პატრონს, როგორიც გურამ რჩეულიშვილი იყო. ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უტყუარი ტალანტით დაჯილდოებულმა, ადრე დაბრძენებულმა ჭაბუკმა, ბევრი რამის გაკეთება მოასწრო და კაცურ სახელთან ერთად მიაღწია იმას, რომ თავისი ლამაზი, საკუთარი, წარუშლელი კვალი დატოვა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობის ისტორიაში, თაობის საყვარელ მწერლად და რომანტიკულად ამაღლებულ პიროვნებად იქცა... ძნელია ერთ

ადამიანში, მით უმეტეს სრულიად ახალგაზრდაში, ასე ჰარმონიულად შეერწყას ყველა ის მაღალი თვისება, რაც გურამს ახასიათებდა: ნიჭი, ვაჟკაცობა, განათლება და სიკეთე, ნებისყოფა, რწმენა, გულადობა და გულისხმიერება, მამულის, მშობლების, მეგობრების, წინაპრებისა და მახლობლების სიყვარული, ადამიანებისადმი სითბო და ნდობა, განუწყვეტელი მოძრაობის, ძიების, მიგნებისა და წინსვლისაკენ სწრაფვა (წერეთელი, 1984:3-8).

გურამს მოახლოებული სიკვდილის წინათგრძნობა არ ასვენებდა. ასეთ დროსაც კი მშობლებსა და ახლობლებზე ფიქრობდა, ამიტომაც საკუთარ ბიძას ანდობდა თავის განცდებს: „ისეთი წინათგრძნობა დამეუფლა, რომ მალე დავიღუპები. ვაი თუ ამ ქვეყნიდან ჩემმა წასვლამ ჩემი ოჯახის წევრებს სამუდამო დაღი დაასვას; ძია სერგო, ახლა მთავარი ჩემი საფიქრებელი ესაა: იქნებ შეიძლებოდეს, რომ ამ აზრს თუ უაზრობას მამა თქვენ შეაჩვიოთ, თქვენ შეაგუოთ“ (დურმიშიძე, 1985:287).

მწერლის ნოველაშიც „ზღვა არც თუ ისე ღელავდა“ ამგვარ სტრიქონებს ვაწყდებით: „როგორ ვთქვა შინ, ან რომ ვთქვა, რას ვუშველი, ჯობია არ ვთქვა, სანამ მკვდარს არ ნახავენ, მანამდე იმედი ექნებათ, რომ ცოცხალია, ცოდოა მაგის დედ-მამაც, ჯობია დაკარგული ეგონოთ ვიდრე მკვდარი“(რჩეულიშვილი, 2011: 267).

თვითონაც უჟამოდ, უხანოდ გარდაცვლილი დიდებული მწერალი და მამულიშვილი, გიორგი შატბერაშვილი რომელიც გურამ რჩეულიშვილის დაღუპვიდან ხუთიოდე წლის შემდეგ შეუერთდა თავის სახელოვან წინაპრებს, ასე წერდა უმცროსი მეგობრის შესახებ: „დიდხანს უნდა ევლო მას ამ მზის ქვეშ... არა, უღვთო იყო, მართლაც, მისი სიკვდილი! მაშინ ეს ლოდიც უფრო გვიან გაითლებოდა. თუმცა ეს უბრალო ლოდიც დიდს ჰპირდებოდა უდროოდ წასულს. ამ მცირე ქვაზე ამოკვეთილი მზე, მთვარე და ვარსკვლავები განუსაზღვრელი სივრცის შთაბეჭდილებას ქმნის. აქ დღე და ღამე ერთია. არის მხოლოდ დრო და სივრცე, უკიდეგანო სივრცეს შეჭიდებული ჭაბუკი. სურათი ვიწრო ჩარჩოებიდან გამოდის და მარადი დღე-ღამის სახედ იქცევა... ჭაბუკიც ამას ნატრობდა“ (შატბერაშვილი, 1965: 6). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი შატბერაშვილმა პირველი

შეხვედრისთანავე შეიცნო გურამ რჩეულიშვილის ნიჭი და პირველმავე უკურთხა კალამი. საუბედუროდ, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ თვითონვე წარუმძღვარა გამოსამშვიდოდებელი წერილი მწერლის კრებულს, რომელსაც ავტორი ვერ მოესწრო.

ყველასათვის მოულოდნელი იყო გურამის დაღუპვა, დაუჯერებელიც, მისი თაობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, კრიტიკოსმა, აპოლონ ჟორდანიამ ასე გადმოსცა იგი თავის ნარკვევში „სიკვდილი ზღვაზე“: „... მატარებელი გაგრაში გაჩერდა. ბაქანზე ნაცნობ სახეებს მოვკარი თვალი. ჩვეულებრივი საუბარი გავაბით.

- რა არის ახალი გაგრაში?

- ვიღაც თბილისელი ბიჭი დაიხრჩო.

- ვინაობა ვიკითხე.

- გურამი რქმევია, გვარი არ ვიცითო. ერთ დროს მასპინძელი ზღვის სტუმარი ვარ ახლა. თითქოს აუცილებელი იყოს, სეზონი ისე არ ჩაივლის, ვინმე არ დაიხრჩოს.

თბილისში ჩამოვედი. საღამო ხანს სასტუმრო „ინტურისტში“. „ლიტერატურა და ხელოვნების“ ახალი ნომერი ავიღე და იქვე ჩამოვჯექი. გაზეთი გავშალე. პირდაპირ შევეფეთე გურამის სურათსა და ნეკროლოგს. რატომღაც მაშინვე ამომიტივტივდა გაგრაში დამხრჩვალი გურამის ამბავი“(ჟორდანია,1985:120-316).

უნდა გავიხსენოთ თანამედროვე ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლისა და გურამის ნათელი შემოქმედების ღირსეული დამფასებლის გიორგი შატბერაშვილის პოემა „ ზაფხულის ღამის ქრონიკა“. გიორგი შატბერაშვილი იხსენებს გურამის ტრაგიკული დაღუპვის დღეს, როცა გამძვინვარებულ სტიქიას შეჭიდებული გურამი უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, ბუნების ვერაგი ძალები ვერ გადალახა და თავისი სისხლხორცეული სიამაყე სრულიად ქვეშეცნეულად კიდევ ერთხელ უჩვენა ადამიანებს, კიდევ ერთხელ ასწავლა მათ, თუკი აღსასრული გარდაუვალია, უმჯობესია ვაუკაცურად შეეგებო მას, დიდსულევნობით გააუფასურო სიკვდილის საშინელი აქტი, კაცობრიობის საყოველთაო ხვედრი თუ სასჯელი: „და იგი ისე დაიღუპა, არ თქვა: მიშველეთ. არ თქვა- მიშველეთ... ასეთია ბედი ამაყთა“.

გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას მიუძღვნა ლექსი მურმან ლებანიძემ:

აწ გვაგონდები
ჩუმი სევდით და ჩუმი წყენით,
ვინც კაცურ მჯიღით გრანიტებს ფშვნიდი
გურამ
შენს წიგნზე დავხატეთ ცხენი -
შენს კისერს უგავს
კისერი - მშვილდი!

(ლებანიძე, litklubi@mail.ru)

გურამ ასათიანი იხსენებს: „გურამ რჩეულიშვილმა სულ ოთხიოდე წლის წინ შემოაღო ქართული ლიტერატურის კარები და ჩვენ, მწერლობაში დაახლოებით მასთან ერთად მოსულთ,იგი ჩვენს ფალავნად მიგვაჩნდა. შორიდან შევხაროდით მისი ძლიერი და ლამაზი ნიჭის ზრდას. მე მაინც ვფიქრობ, რომ იგი დიდხანს ვერ მოისვენებს საფლავის ლოდქვეშ. არ ვიცი, აგვისტოს მზისგან გავარვარებულ მიწის ალმურად, გაზაფხულზე ლოდებ შუა ამოსულ ჯიუტ ბალახად, მოულოდნელად ამომსკდარ წყაროდ, თუ შემოდგომის პირზე ხევსურეთიდან მოდენილ ლეგა ღრუბლებად, იგი მაინც დაბრუნდება“ (ასათიანი, 1983: 247-248).

გურამის პირველი მოთხრობა დაწერიალი 1956 წელს თებერვალში, ხოლო 1960 წელს, აგვისტოში, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, დაწერა ლექსი - „დედას“.

გურამის მოთხრობების პირველი კრებული „სალამურა“ მისი გარდაცვალების შემდეგ - 1961 წელს გამოვიდა. წერდა ლექსებს (იშვიათად), პიესებს, მოთხრობებს, ნოველებს... მეგობრისთვის გაუმხელია, რომ ჩაფქრებული ჰქონდა კინოსცენარის შექმნა ვაჟა-ფშაველას პოემის „ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით. ისიც გაუმჟღავნებია, თუ როგორ ესმოდა ვაჟას პიროვნება და შემოქმედება. ქედს იხრიდა მისი დიდების წინაშე. ბევრს წერდა, ჩქარობდა. თითქოს უნდა მოესწრო სათქმელი... აკი აჩემებული ჰქონდა - მე არ დავბერდებიო. უფრო მეტს კითხულობდა. ჯეროვნად ჰქონდა შესწავლილი ქართული,

რუსული, გერმანული... მწერლობა. ვინაიდან ბავშვობიდანვე შეითვისა გერმანული ენა, დედანში კითხულობდა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, თომას მანს და სხვათა თხუზულებებს. ასევე იზიდავდა ო. ბალზაკისა და ერნ. ჰემინგუეის მწერლური ოსტატობა (იქვე, 317).

ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდვისთანავე მიიქცია გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებმა მკითხველი საზოგადოების, ისე ლიტერატორთა ყურადღება. ეს არ ყოფილა შემთხვევითი. ისინი ხედავდენენ, რომ მოდიოდა ის ახალგაზრდა, რომელიც სერიოზულ ძალად უნდა გაზრდილიყო ქართულ პროზაში. „გ. რჩეულიშვილის მოთხრობებმა, - აღნიშნავდა გ. გეგეშიძე, - რომლებიც პირველად 1957 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, თავიდანვე მიიქცია ყურადღება ფორმის სიახლით და უშუალობით. ის პირდაპირ, თამამად წერდა საკუთარ თავზე. მისი ნაწერების უმრავლესობა ავტობიოგრაფიულია, გურამ რჩეულიშვილის მახლობელი ადამიანები, ადვილად ხვდებიან, ესა თუ ის ნაწარმოები, მისი ცხოვრების, რომელ ფაქტზეა დაყრდნობილი და აღმოცენებული. მის ნაწერებში არაფერია გამოგონებული, მით უმეტეს ყალბი“(გეგეშიძე,1969:8).

ცნობილი ქართველი კრიტიკოსი გურამ გვერდწითელი ერთ-ერთ თავის წერილში აღნიშნავს, რომ „60-იან წლებში თანამედროვე ქართულ მწერლობას შემოემატა მწერლების ძალზე ნიჭიერი, მრავალრიცხოვანი და თავისებური ჯგუფი, რომელთაგან უნდა გამოვყო ცალკე ორი ახალგაზრდა მწერალი, გურამ რჩეულიშვილი და რევაზ ინანიშვილი, რადგან ისინი თავიანთი ორიგინალური ხედვითა და მანერით გამოირჩევიან თანამედროვე ქართულ მწერლობაში“ (გვერდწითელი, 1965:92).

გურამ რჩეულიშვილის პროზა თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ჩეხურ, ლიტვურ, რუსულ და სხვა ენებზე.

დღიურში წერდა, გული მიგრძნობს, ოცდაათ წლამდე ვერ მივიტანო. კარგი იქნებოდა ოცდაათისთვის გადამებიჯებინა, ძალიან ბევრს გავაკეთებდი... თუმცაღა, მაშინ ხომ წინათგრძნობაც აღარ მექნებოდაო (ხურცილავა, 2014: 341).

სიცოცხლისთვის იყო დაბადებული, სიცოცხლისთვის გაწირა თავი, სიცოცხლისთვის წერდა მოთხრობებს. რეზო ინანიშვილი წერდა: „გურამ რჩეულიშვილი იყო ნამდვილი ხალასი, ჭეშმარიტი ნიჭი. მან დიდი სათქმელი თქვა, თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, საოცრად ბევრი მოასწრო და სამარადისოდ დარჩა ქართულ ლიტერატურას, როგორც მისი მშვენება და ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო, ორიგინალური აზროვნების წარმომადგენელი.

შთამბეჭდავად წერდა მისი ძლიერი, ამაღლებული ბუნებისა და ვაჟკაცური ხასიათის შესახებ ოტია პაჭკორია: „ ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით და მე მიყვარდა ცქერა, როგორ დაუყვებოდა იგი დაღმართს ოდნავ დარწეული, თავისუფალი ნაბიჯით, ლაღად მხრებგაშლილი, მზით გარუჯული, გახსნილი საკინძითა და ბაგეთა კუთხეში ჩაწოლილი ირიბი ღიმილით. დაგინახავდა, ამაყი თავაზიანად ოდნავ მოიდრეკდა ქედს და გამოგიწვდიდა უხეშ, ძლიერ მარჯვენას. იგი იმათგანი იყო, ვისაც ყოველთვის გრძნობ, წაამოგეწევა გზაზე და ინაბები, თითქოს დგახარ ზურგით ზღვისკენ და შენს უკან დაბადებული ტალღის მოსვლას ელი... მისთვის არ არსებობდა შიში, იგი ყველაფერში ვაჯკაცური ინსტინქტებით ხელმძღვანელობდა და მე ხშირად მიგვრძნია მისი უპირატესობა“ (პაჭკორია, 1973:65).

გურამის ხასიათის ძლიერ შტრიხებს უსვამს ხაზს მისი მეგობარი და ამავდროულად მისი შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი ზვიად გამსახურდია იგონებს: „გურამი იყო გამტანი, ვაჟკაცური ბუნების ადამიანი. იგი ჰგავდა შუა საუკუნეთა ფათერაკების მაძიებელ რაინდებს, მისთვის არ არსებობდა საინტერესო ცხოვრება ფათერაკების გარეშე, იგი იყო ალპინისტი, ალპინისტამდეც სწორედ ამ ფათერაკების ძიებამ მიიყვანა. იყო სპორტსმენი, საოცარი ცხენოსანი, მოჩხუბარი. გურამისთვის არ არსებობდა ყოველდღიური ცხოვრება თავგადასავლის გარეშე... თავისი უცნაური ექსპერიმენტებით, თავისი უჩველო მოქმედებით ბევრი მას უცნაურსაც უწოდებდა. რასაკვირველია, მეშჩანების თვალსაზრისით ასეთი პიროვნება ყოველთვის უცნაურია, გალაკტიონსაც უცნაურს უწოდებდნენ, როგორც ტერენტი გრანელს, მაგრამ მათი ცხოვრების ასეთი წესი

მომდინარეობდა მათი მსოფლმხედველობიდან, მათი ბუნებიდან და მათი შემოქმედებიდან. მას უყვარდა ძალზედ ცხენოსნობა, რაც ჩვენს ოჯახთან აკავშირებდა, ძალზე ხშირად მოდიოდა, მამაჩემს ესაუბრებოდა ცხენოსნობის პრობლემებზე, ჰქონდა განძრახვა, რომ ყოლოდა საკუთარი ცხენები, აპირებდა თუშეთიდან ჩამოყვანას, მაგრამ აღარ დასცალდა". სწორედ აი ამ ზაფხულში ჩვენ ერთად ვისვენებდით გაგრაში წინა დღით, მისი დაღუპვის წინა დღით სხვათაშორის შევხვდით ერთმანეთს და იმ დღესაც შემოუვლია ჩემთან. მისი ტრაგიკული ნაადრევი აღსასრული მართლაც დიდი უბედურებაა ჩვენი მწერლობისთვის (გამსახურდია, Blog at WordPress. com).

ამავეს აღნიშნავდა თამაზ ჭილაძეც: „ის იმ მცირერიცხოვან ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც პირველნი ჩადიან ვულკანის კრატერში, პირველნი ჭრიან მავთულხლართებს, პირველნი აღებენ კარს, პირველნი ადიან მწვერვალზე და ასევე პირველნი ეგებიან უსინდისობისა თუ ღალატის შუბზე. პირველობის ეს გრძნობა მათ ინსტინქტივით აქვთ თანდაყოლილი და თუმც ეს ტკივილის მეტს არაფერს ანიჭებთ, მაინც ბედნიერები არიან"(ჭილაძე, 1970:191). ის თითქოს გამძაფრებული დაეძებდა რაღაცას, რის გარეშე მისი ძლიერი და მთრთოლვარე სხეული შეიძლება გამხმარიყო, გამოფიტულიყო... მასში ნამდვილად ბევრი რამ იყო ახალი, უჩვეულო და ეს ზოგიერთებს გარეგნულ პოზად მიაჩნდათ... (ასათიანი, 1983:245-246).

„სულ ხუთიოდე წლის განმავლობაში წერდა გურამ რჩეულიშვილი, მაგრამ წერდა იმდენს, რომ ადიდებული ნილოსივით თავის კალაპოტში რომ აღარ ეტეოდა, ნაპირებიდან გადმოდიოდა... არავინ იცის, როგორ წავიდოდა შემდგომ მისი შემოქმედებითი გზა; შესაძლებელია, მან ოცდაექვსი წლის ჭაბუკმა, კიდევაც ამოწურა მთელი თავისი შესაძლებლობანი ან, პირიქით, მომავალი მას მიიყვანდა მიუღწეველ მწვერვალამდე... გურამ რჩეულიშვილმა 1956 წელს შექმნა ყველაზე მეტი მოთხრობა, ნოველა თუ ჩანახატი. დაუდუღარ მაჭარს ჰგავდა მისი შემოქმედება, მაგრამ მათ შორის ჩვენ ვხედავთ სარკესავით დაწმენდილ ნაწარმოებებსაც, რომელთა ფსკერზე ნაირფერი კენჭები ირეკლებიან" (ვართაგავა, 1971: 192).

რა გამოარჩევს გურამ რჩეულიშვილის პროზას? ამ კითხვას ამომწურავ პასუხს მკვლევარი მაია ჯალიაშვილი სცემს: „უმთავრესად მისი წერის სტილი, თხრობის მანერა, რომელიც საოცარი, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ის ხან მთლიანად უჩინარდება თხრობისას, ხან რომელიმე ნიღბით შემოიჭრება და ყოველთვის პოულობს მკითხველის გულამდე მისასვლელ გზას, რაც მხოლოდ დიდოსტატ მწერლებთან გვხვდება. მრავალმხრივობა - განფენა სამყაროში და ამგვრად უსასრულო დრო-სივრცის აღქმა და გადმოცემა, ადამიანის, როგორც მარადისობის ნაწილის შეგრძნება, სურვილი საკუთარი არსებიდან გასვლისა, მისი მთავარი საფიქრალი იყო. ეს კარგად ჩანს ამ ჩანაწერში: „მთებში დავდივარ, ალპინისტი არა ვარ, უნივერსიტეტში ვსწავლობ, როგორც დედა იტყვის, „სტუდენტის სახე“ არა მაქვს, ღვინოსა ვსვამ, ლოთი არა ვარ, ცხენზე ჯირითი მიყვარს - მხედარი არა ვარ, ვჩხუბობ - დიდი გამრტყმელი არა ვარ, გულუხვი ვარ - ფული არა მაქვს - ცარიელა გული ვის რად უნდა? შეყვარებული ვარ - საყვარელი არა მყავს“ (რჩეულიშვილი, 2012: 22).

ეს ერთდროულობა, მთელი სისავსით განცდა სიცოცხლის მრავალგვარობისა, რომელიც ირეკლება მის მოთხრობებში, ქმნის კიდევაც მისი ნარატივის თავისებურებას. მას სურს იყოს აქ და სხვაგანაც: აქ - ეს ყოფიერი, მატერიალური დრო-სივრცეა, აწმყოა, ერთგვარი ჩარჩო, რომელსაც გაარღვევს სიტყვის საშუალებით. სწორედ სიტყვა, თხრობა აძლევს მას ძალას იყოს სხვაგან - წარსულის, ლეგენდის, ზღაპრის, მითის არამატერიალურ დრო-სივრცეში (ჯალიაშვილი, 2011 :65).

გურამ რჩეულიშვილს ჩვენს მწერლობაში თან მოჰყვა თანამედროვეობის სუნთქვა. მას ღრმად ჰქონდა განვითარებული ფორმის სიახლის გრძნობა. ამიტომ შეითვისა მან ასე ბუნებრივად ჩვენი დროის მხატრული პროზის თავისებური ნერვიული, დაძაბული მანერა. მაგრამ, ამავე დროს, მთელ მის ადამიანურ იერში და მწერლურ ბუნებაშიც იყო რაღაც შორეული, ძველქართველური. როგორც გურამ ასათიანი აღნიშნავს, „თანამედროვე ქალაქის შვილს, თბილისში გაზრდილსა და დავაჟკაცებულს, თითქოს ევიწროვებოდა აქაური ქუჩების რკალი, დიდხანს ვერ ეგუებოდა ყოველდღიური ცხოვრების ერთფეროვან

რიტმს და პირველივე შესაძლებლობისთანავე მარტოდ ან ვინმე შეჩვეულ მეგობართან ერთად მიიჩქაროდა მთებისკენ, ზღვისკენ. ბევრს დადიოდა თავისი განუყრელი მძიმე და დიდ ფეხსაცმელებით, ესწრებოდა ხევსურულ ხატობას, დოღს, ალავერდობის დღესასწაულს, ერეოდა ქართველ გლეხკაცობაში, ყველგან იჩენდა მეგობრებს, მეტოქეებს“ (ასათ,იანი 1983: 245).

„უეჭველი ნიჭის და ძლიერი ბუნების, ვაჟკაცური ხასიათისა და ენერგიის, შინაგანი თავისუფლებისა და დაუთგრუნავი ვნებების გამო, იგი თაობის წარმოდგენაში გარკვეულ იდეალს დაუახლოვდა, იდეალის იმ ხორციელ განსახიერებას, რასაც თაობა ეძიებდა და რაც მას ამაღლებულისა და ხელოვანის სახით გამოეცხადა... არსებობს მწერალი გურამ რჩეულიშვილი (ავტორი ჩინებული მოთხრობებისა) და არსებობს ლეგენდა გურამ რჩეულიშვილზე, მშვენიერი და ტრაგიკული ლეგენდა ჭაბუკზე, რომლის მძიმე ხვედრი დიდხანს დარჩება ამოუხსნელ, იდუმალ თქმულებად“ (პაჭკო რია,1973:74).

მართალია, გურამ რჩეულიშვილის მემკვიდრეობა არ არის დიდი, თუმცა ვიცით, რომ არსებობს არქივი და ვიმედოვნებთ, რომ გამომზეურდება ახალი ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებში გამოჩნდა მისი პოეტური, მხატრული, ინდივიდუალობის უჩვეულობა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს მწერლის ერთი გამოკვეთილი უნარიც, იგი ფლობს მნიშვნელოვანის ადვილად თქმის ხელოვნებას, დრამატული ამბის მიღმა იგრძნობა ფილოსოფიური სიღრმე, ამიტომაცაა, რომ ორმოცდაათი-სამოცი წლის წინ დაწერილი ტექსტები არა მხოლოდ მხატვრულ ღირებულებას, არამედ იდეურ სიმაღლესაც ინარჩუნებს. შესაძლოა, რომ მწერლის მიერ ზოგიერთი თემის გააზრება დღეს უფრო აქტუალური ჩანს, ვიდრე მაშინ, როდესაც ის იწერებოდა.

გურამ რჩეულიშვილი ქმნიდა და აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს მკაცრი ცენზურის პირობებში, ამიტომ ხშირად მოსდიოდა კონფლიქტი რედაქტორებთან, მაგრამ იოლი, ადვილად მისაღწევი, ფუქსავატური გზა მისთვის არ არსებობდა, მას ყოველთვის თან სდევდა „შინაგანი დაძაბულობა შემოქმედებისა“ გავიხსენოთ თუნდაც სტრიქონები გურამის „ნათელადან“, სადაც მისთვის დამახასიათებელი დამაჯერობლობით წერდა იგი

მწერლისა თუ პოეტის, საერთოდ შემოქმედების თავდაუზოგავი შრომის შესახებ: „...პოეტი არასოდეს არ მუშაობს, აქედან გამომდინარე არც ისვენებს არასოდეს... მას ისევე შეუძლია სიყვარული ზამთარში, როგორც გაზაფხულზე და ის თავისი სურვილების ნაყოფს ყოველთვის იმკის წელიწადის დროებისა თუ დღის საათების განურჩევლად"(რჩეულიშვილი, „ნათელა", 1977 :149).

„თვითონ გურამისთვისაც შემოქმედებითი პროცესი საიდუმლოებით იყო მოცული, - იხსენებს მწერლის და მარინე რჩეულიშვილი - მას შემდეგ, რაც „შიგ შუა ცხოვრებაში ჩავარდნილს თავზე დაემხო შემოქმედება" და გაიტაცა მისთვისაც ჯერ ამოუცნობი სიღრმეებისაკენ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ის არ მალავდა გაოცებას, როდესაც „კალამზე მინდობით", თითქოს მისგან დამოუკიდებლად იბადებოდა „ხილული ფაქტი" (გურამის სიტყვებია), მხატრული ნაწარმოები, რომელიც უკვე თვით მწერალზე მეტიც იყო.

ცხოვრებამ და მასში ნიაღვარივით შემოჭრილმა შემოქმედებამ გურამს წაუყენა სულ სხვა მოთხოვნები, ვიდრე ის იყო შეჩვეული (მწერლის სიტყვების პარაფრაზი). (გვ.3). ამ ორი ფენომენის მუდმივი ურთიერთდამოკიდებულების შეგრძნება მიჰყვება გურამ რჩეულიშვილის ოთხწლიან შემოქმედებით პროცესს და განაპირობებს მის მხატრულ თავისებურებას. წერის დაწყებიდან ორ წელიწადში გურამი უკვე ნამდვილ ხელოვნად აღიქვამს თავს („ მე დიდი ხანია მოვიპოვე უფლება ჩემ თავს ვუწოდო ხელოვანი და მერე იცი, ხელოვნება რა არის?- ოდესის დღიურიდან), რამდენიმე თვეში კი უკვე არენაზე გასულ ტერეადორად. ის თითქოს ორ სანტიმეტრში ეთამაშება ხარის რქებს (მწერლის სიტყვების პარაფრაზი) და, ალბათ, წინათგრძნობით სავსე, აფრთხილებს საკუთარ თავს: „მთავარია, ზედ არ წამოვეგო ამ რქებს"(რჩეულიშვილი, 2011:4).

გურამის მეგობარი, ნუგზარ წერეთელი, საუბრობს რა მწერლის შემოქმედებითი პროცესისა და საწერი მასალისადმი მიდგომის თავისებურებაზე, აღნიშნავს: „გურამი საკუთარი თავისადმი ძალზე მომთხოვნი იყო. მოთხრობის შექმნისას ყოველთვის ცდილობდა მეტი წაეკითხა, მეტი ენახა, გაჟღენთილიყო სათქმელით და მერე დამჯდარიყო საწერად. სიმარტოვე ეჯავრებოდა, გვერდით ყოველთვის ვიღაცა ახლდა

და მეგობრებიც არასოდეს კლებია. მაგრამ როცა საყვარელი საქმე, როცა მწერლური შთაგონება მოითხოვდა, იგი სულ მარტო, თავის თავთან ჩაღრმავებული და ჩაფიქრებული მიდიოდა სხვადახსვა ადგილას: ალავერდი თუ უფლისციხე, თუშეთი თუ ხევსურეთი (წერ ეთ,ელი 1984:85).

სიცოცხლის, სიკეთის, ცხოვრებისეული განცდების შეგრძნობის ეს აუცილებელი პროცესი გურამს ისე ძლიერად, ეს შთამბეჭდავად და მაღალმხატვრულად აქვს გადმოცემული მრავალ ნაწარმოებში და მათ შორის ნოველაში „ირინა“, რომ იგი საყვარელი ლექსივით იკითხება: „უკვე მთელი კვირაა დადიხარ მარტო, ხან ცარიელ ქუჩებში, ხან ხალხსავსე მოედნებზე. შენ მოცლილი ხარ და დადიხარ მარტო, მხოლოდ ერთი თვით. ერთი თვის მერე შენ წახვალ ამ ქალაქიდან. წახვალ სოფლად, ურბნისში, არქეოლოგიურ გათხრებზე, მუშებს თავზე დაადგები და იმუშავებ. შენ დაგწვავს ქართლის თაკარა მზე, მაგრამ ეს იქნება ერთი თვის შემდეგ. ახლა გარშემო სიცოცხლეა, სიცილი. უცებ შეიცვალა ბუნება, კვირტები დასკდა და გაიშალა, მაგრამ ჯერ მაინც პატარები და საყვარლებია. მთელი ქვეყანა შენი ნაცნობია, ყველა გიყვარს, ყველას ესალმები გუნებაში“(რჩეულიშვილი, „ირინა“, 2012: 248)

მას კარგად ესმოდა და ჩვენც დაგვიტოვა ანდერძად, ცხოვრებაში მთავარია მოძრაობა, ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, ადამიანებისა და შრომის დიდი სიყვარული, მოვალეობის მოხდის აუცილებლობაა. მიუხედავად ხანმოკლე შემოქმედებითი ცხოვრებისა, მან მაინც მოიპოვა დიდისა და უკვდავის ძნელად მოსაპოვებელი სახელის ტარების უფლება. აზრებით, სულისკვეთებით, შინაგანი რიტმით, გადმოცემის რთული საშუალებებით, გურამ რჩეულიშვილი ჭეშმარიტად დიდი მწერალი იყო. სამართლიანად აღნიშნავდა თამაზ ჭილაძე მისი გარდაცვალების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში: „გურამ რჩეულიშვილს აქვს რამდენიმე მოთხრობა, მსოფლიოს ყველა ანთოლოგიას დაამშვენებდა“.

გურამ რჩეულიშვილის, როგორც მწერლის, ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა სხვადასხვა ჟანრი: მოთხრობა, პიესა, ლექსები, სცენარები. იგი ერთგან შენიშნავს: „ჩემი

აზრით, პიესა არ არის სავალდებულო, რომ დაიდგას, უნდა იკითხონ, როგორც რომანი, ამიტომ ისევე უნდა წერონ“ (რჩეულიშვილი, 2012: 127).

გურამ რჩეულიშვილზე ბევრი დაიწერა და მომავალში გაცილებით უფრო მეტი დაიწერება. მისი ნაყოფიერი და რომანტიკული შუქით განათებული ცხოვრება ამის უდავო საფუძველს იძლევა. ჩვენი სამაგისტრო ნაშრომით გვინდა მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ ნიჭიერი მწერლის შემოქმედების კვლევის საქმეში.

თავი II

ავტობიოგრაფიული ელემენტები

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში

გურამის ნაწარმოებები ძირითადად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. იგი თამამად იყენებდა თემად იმას, რაც გადახდებოდა ხოლმე სინამდვილეში, ცხადია მწერლური ოსტატობით დახვეწილს. მას ბევრი რამ იტაცებდა, სრულიად ახალგაზრდამ ბევრი რამ ნახა, კიდევ უფრო მეტი განიცადა. ყოველივე ეს მასში დუღდა, ამოხეთქვას ლამობდა და საინტერესო, შთამბეჭდავ ფორმას იღებდა.

გურამ რჩეულიშვილის თვითონაა პერსონაჟი თავისი არაერთი მოთხრობისა თუ ჩანაწერისა. ცხოვრობს თავისი გმირების ცხოვრებით (დღიურიდან: „მე გამოვდივარ გარეთ, რომ ჩემი მოთხრობების გმირთა ცხოვრებით ვიცხოვრო“.)(რჩეულიშვილი, 2012: 294). (თვითონაც განიცდის იმას, რაც მათ სტკივათ, ტანჯავთ და აწუხებთ. ცეცხლიც, რომელიც უქრობლად ბრიალებს მის ნაწარმოებებში, საზიანოა მათთვის.

გურამ რჩეულიშვილი დიდ მწერლად შინაგანი და გარეგანი ძალების წყალობით ყალიბდებოდა. ის სისხლითა და ხორცით მწერალი იყო, წერის სურვილი ყველგან დაყვებოდა და არ ასვენებდა. მისი მეგობარი, ნუგზარ წერეთელი, იხსენებს: „თუ ფიქრი შემოუტევდა, სადაც უნდა ყოფილიყო, მაინც მოახერხებდა დაწერას. ივლისის თვეში, ალპინისტთა ერთთვიან საზაფხულო შეკრებაზე ვიყავით დუშეთის მახლობლად. ოცდაათი კილომეტრი გავიარეთ კლდეებსა და ხეობებში. დილაადრიან მოვბრუნდით დაღლილ-დაქანცულები, უძილობისაგან თვალები მეწვოდა, თავი მიბრუოდა. ერთი მიზანი ახლა დასვენება იყო. გურამი ლოგინზე ჩამოჯდა, ზურგჩანთა გამოათრია, ქაღალდი და ფანქარი ამოიღო, მუხლებზე რაღაც წიგნი დაიდო და წერდა, გავვოცდი, ბიჭო რას შვრები, ხომ არ გაგიჟდი, გავიღვიძოთ და მერე წერე მეთქი . არც კი შემომხედა, ისე მიპასუხა - მერე გვიან იქნებაო.

შემოქმედებითი მუშაობა მართლაც თავდაუზოგავად იცოდა, ზოგჯერ მთელი კვირაობით ჩაიკეტებოდა ხოლმე, არავის ხვდებოდა, ეს სიცოცხლის, მეგობრების, ბუნების, ყველაფერი ადამიანურის მოყვარული ვაჟკაცი, მხოლოდ ნაფიქრისა და განცდილის ქაღალდზე გადატანით იყო გართული“ (წერ ეთ ელი 1984: 40);

წერის ეს დაუოკებელი სურვილი გურამის ბევრ მოთხრობასა და ნოველაში ჩანს. მაგალითად: „ვფიქრობ, ვიწყებ წერას, არ შემიძლია ამდენი ვნახო და არაფერი დავწერო. ფურცლებს ვუზიარებ ჩემს განცდას“ (რჩეულიშვილი, „უსახელო უფლისციხელი“, 2011 : 230);

„არ უნდოდა წერა, დღეს კი რატომღაც მოუნდა, მერე უფრო მოუნდა... ვაჟა ფიქრებში წავიდა: არც ერთი ძველი ჩანაფიქრი აღარ მოეწონა... ისევ მოუნდა წერა. იდეა იყო, მშვენიერი იდეა... უნდოდა წერა, მაგრამ შინ არ წავიდა. „ როცა უფრო მომინდება, მაშინ წავალ, ჯერ ჩაჯდეს თავში კარგად, დიალოგებიც დაიხვეწება“... უფრო მოუნდა წერა. მერე უფრო, დიდი აზრი იყო“ (რჩეულიშვილი, „ნადირობა“, 2011: 10);

„ძალიან მოუნდა საწერკალამი. საძილე ტომარაში სიცივისა და წერის ჟინისაგან ტრიალი დაიწყო“ (რჩეულიშვილი, „ასვლა“, 2011: 182);

„ ... ყოველი წინადადება თუ დროზე არ ალაგმე, შეიძლება რომანამდე გაიზარდოს... თან რომ არ ვწერო, ის შეიძლება სამუდამოდ დაიკარგოს ჩემთვის, მე კი თვითეეული ჩაუწერელი ამბავი ისე მეცოდება, როგორც მომწიფებულ ქალის უბავშვოდ არსებობა“.(რჩეულიშვილი, „დღიური“, 2012 :297);

„გურამის ცხოვრება მისსავე მოთხრობებს ჰგავდა: სიმართლით, სისავსით, სიღრმით და ლაკონიურობითაც. არ მახსოვს შემთხვევა, რაიმე საფრთხის წინაშე გურამს უკან დაეხიოს, ან თუნდაც გულგრილად ჩაევლოს სულ წვრილმანი უსამართლობის გვერდით - მსგავსად ლამანჩელი აზნაურისა, ისიც არაერთ ფათერაკს გადაჰყრია ამის გამო ცხოვრების გზაზე. ქუჩური აურზაურის მონაწილეც კი გამხდარა, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, იმ ბოლო დროსაც კი არ თაკილობდა, როდესაც მისი ნათელი გონება უკვე მრავალი მაღალმხატრული ჩანაფიქრით იყო აღსავსე და როდესაც მის დაბრუნებას, ახლობლების გარდა, რომელიღაც დაუმთავრებელი მოთხრობის გმირებიც მოუთმენლად ელოდნენ... “ (დავით ჯავახიშვილი).

გურამ რჩეულიშვილი ხშირად აღწერდა ხოლმე სიკვდილს სცენებს, წყალში დახრჩობას. მაგალითად ჯერ კიდევ 1956 წელს დაწერილ ნოველაში „ნელი ტანგო“ მოთხრობილია. იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინა ოჯახის მამამ- ივანემ 12 წლის ვაჟი ზღვაში დახრჩობას, თვითონ კი დაიღუპა ძალაგამოლეული და უილაჯო - ზედ ზღვის ნაპირთან მოღწეულს გაუსკდა გული.

მოთხრობის დაწერიდან ოთხი წლის შემდეგ, 1960 წელს, სოხუმიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე, გაგრაში, „ნელი ტანგოს“ ავტორიც დაიღუპა: მან ღელვისას ერთ-ერთი დამსვენებელი გადაარჩინა, თვითონ კი ნაპირზე გამოსვლა ვეღარ შეძლო. ავტორისა და პერსონაჟის ბედის ასეთი მსგავსება უნიკალური ქართულ და არა მარტო ქართულ ლიტერატურაში.

როგორც ვხედავთ, გურამ რჩეულიშვილმა პირველ მოთხრობაშივე გაგვანდო თავისი ადამიანური იდეალი: ზღვის ულმობელ სტიქიონთან შერკინებული ძლიერი და სულმრთელი მამაკაცი, რომელიც თავისიანთა გადასარჩენად სწირავს საკუთარ

სიცოცხლეს... გურამ რჩეულიშვილი იყო ერთი იმათგანი, ვისაც უკან მოუხედავად შეეძლო შეეწირა მთელი თავისი არსება ამგვარი უთანაბრო ბრძოლის თავდავიწყებისათვის, მაგრამ 26 წლის ასაკში მან, როგორც ჩანს, უკვე განიცადა ფხიზელი დაფიქრების საკმაოდ მწვავე შეტევებიც. „ჯერ ჩემი სიკვდილი შორს იყო, სიცოცხლე მინდოდა“(რჩეულიშვილი, 2011: 305), - წერდა გურამ რჩეულიშვილი 1959 წელს ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობაში: „მე ახლა ოცდახუთი წლისა ვარ“. გურამს სიცოცხლე უნდოდა, რადგან სიცოცხლეც, ცხოვრებაც, აზროვნებაც, სიკეთის დანერგვისაკენ ჰქონდა მიმართული, რაც მწერლისა და ადამიანის უპირველეს დანიშნულებად მიაჩნდა.

თვითონ გურამი ხშირად იყო პროტოტიპი თავის ნაწარმოებთა გმირებისა და მათ თავისი სახელითაც კი მოიხსენიებდა ხოლმე. ავი წინათგრძნობა ჰქონდა საოცარი. გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი მისი მოთხრობებიდან: „დიდხანს, დიდხანს ეგდო გურამი პირაღმა ზღვის ქვიშიან ნაპირზე“(რჩეულიშვილი, „ირინა” 1977: 62); „ გურამ გურამ მოკვდება... დედა არ კვდება, დედა არ შეიძლება მოკვდეს, კვდება მხოლოდ შვილი“ (რჩეულიშვილი, „კა და კო“ 2012: 106-107); „ჩემს გვერდით დაიხრჩო, ნეტავი მეც დამხრჩვალიყავი, მაგრამ არ დავიხრჩე“(რჩეულიშვილი, „ზღვა არცთუ ისე ღელავდა“ 2011:266).); „ახლა კარგად ვგრძნობდი: სიკვდილს მე თვითონ მივუახოლვდი ერთი საფეხურით. ღამე არ მეძინა... თან მრცხვენოდა, უზომოდ ეგოისტი, უსინდისო მეჩვენებოდა თავი, რომ ჩემი სიკვდილი მადარდებდა“ („ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“); „აუჩქარებლად მივედი მდინარესთან და წყალში ნელა შევედი. როცა ყელამდე მიწია წყალმა, მესიამოვნა, მერე წამიღო. ერთი-ორჯერ ხელი გავიქნიე და გრძნობა დავკარგე“(იქვე 311-305).

გურამ რჩეულიშვილი სულიერ, ფიზიკურად გამოუხატველ ტანჯვას უფრო ღირებულდ მიიჩნევდა მხატრული ლიტერატურისათვის და თვითონ სწორედ ამის გამოხატვას ცდილობდა. მისი აზრით, შინაგანად ტანჯული „ადამიანების უდიდეს ღირსებას წარმოადგენს უდახვეწილესი არტისტულობა“.

ის ფიქრობდა მკითხველზე: თანამედროვესა და მომავლისაზე, მაგრამ ყოველთვის გრძნობდა ყველაზე დიდი წამკითხველ-შემფასებლის მზერას: „მე ხომ დღეს კალამი მხოლოდ იმიტომ ავიღე, რომ ღმერთისთვის შემეჩივლა ჩემი საკუთარი ტანჯვები და დაუსრულებლად დამეწყო ყველა აბზაცი „მე“-თი, მიმემართა მხოლოდ ღმერთისთვის, რადგან ღმერთს მხოლოდ აზრი ესმის, ხოლო ადამიანებს - სიტყვები, მე ვიმოქმედებ ელასტიური კაცის ენით, რაც შეიძლება მომხიბლავად, ხოლო აზრი, რომელიც ჩემდაუნებურად დაგუბდება სიტყვების უკან, მხოლოდ კედლად გამოადგებათ ჩემს წინადადებებს, რომ მყარად დაებჯინონ მათ და არ გაიფანტონ უაზროდ სივრცეში...“ „უცნაურ გალესილ სამართებლის წვერზე მივდივარ მე სიგიჟესა და უდიდეს ნორმალურობას შორის“ („საქართველოს ისტორიის მუზეუმში შემორჩენილი ბლოკნოტიდან“, წიგნში: „ჩანაწერები“, ინტელეექტი, 2011).

გურამ რჩეულიშვილი იყო განსახიერება კეთილშობილებისა, მოწყალე, სხვათა დამხმარე და მშველელი, გმირი გადამრჩენი. მწერალი ლადო ავალიანი სიამაყით აღნიშნავდა გურამის შესახებ, რომ „მისი პროზისათვის ნიშანდობლივია თემატიკის ნაირფეროვნება და ინტერესთა ფართო წრე; ლაპიდარული, დოკუმენტურთან დაახლოებული სტილი, ტევადი, დაწურული დიალოგები, თხრობის სიზუსტე. რჩეულიშვილის გმირების ახალგაზრდულ სიფიცხესა და ქედუხრელობას, ვნების სიმძაფრესა და პირველ აღმოჩენის დაუოკებელ ჟინს ჰარმონიულად ერწყმის დიდი ადამიანური სილბო და შემწყნარებლობა. მისმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია თანამედროვე ქართული პროზის განვითარებას“ (ავალიანი, 1988 :521). ასეთი შეფასება შეგვიძლია მთლიანად მივუსადაგოთ ავტობიოგრაფიული ციკლის ერთ-ერთ გახმაურებულ ნაწარმოებ „ალავერდობას“ . თხზულების მთავარი პერსონაჟი გახლავთ გურამი, ხოლო გურამის სეხნია და პროტოტიპი - თავად მოთხრობის ავტორი; მოთხრობა შეიქმნა 1959 წლის 28 სექტემბერს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლების სამინისტრომ გურამ

რჩეულიშვილის ნაწარმოებთაგან, „ალავერდობა“ მიიჩნია სავალდებულოდ საშუალო საფეხური მოსწავლეთათვის.

მოთხრობის შესავალ ნაწილში მწერალი გვამცნობს, თუ რისთვის მიუწევდა გული გურამს (ნაწარმოების მთავარ გმირს) ძველი დღესასწაულის - ალავერდობის სანახავად: „რამდენ რამეს იქ კაცის თვალი: ლხინს, ჭიდაობას, ჯირითს. მე ბავშვობიდან ჯირითის ტრფიალი ვარ, ცხენზე ჯდომა და ჭენება გაგიჟებით მიყვარს“. შემდეგ იგი აღტაცებული აღწერს კახეთის თვალწარმტაც ბუნებას, ეშხს, სილამაზეს და უცებ შემოგვაპარებს ციტატას გაზეთიდან: „წინანდელმა რელიგიურმა დღესასწაულებმა დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა და ახლა იქცნენ ლოთების, უსაქმურების, ხანმოკლე შფოთისა და დროსტარების ადგილებად“(რჩეულიშვილი, 2012 : 282).

სწორედ ეს აწუხებს გურამს. ხოლო როცა მის თვალწინ ცხადდება ამაზრზენი სურათი: გაუთავებელი ღრეობა, ატორტმანებული ბრბო, უთავბოლო ცეკვა, უსაგნო აურზაური, საჩხუბრად გაწევ-გამოწევა, „გურამი ერთი წუთით შეძლებს მოალავერდელები ამ დამაჩლუნგებელი ბურანიდან გამოიყვანოს, როცა თუშის ცხენს მოიტაცებს და გიჟური ჭენებით დააფრთხობს მოქეიფეებს“ (გ. გვერდწითელი).

ცხენებისადმი მწერლის მისწრაფება ფართოდ იყო ცნობილი. ერთი ციცქნა ბიჭი იყო, როცა უკვე ვირს დააჭენებდა. მოთხრობაში „ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“, გურამი მისთვის დამახასიათებელი იუმორით წერს: „იქვე შევისწავლე ვირზე ჯირითი. მაშინდელი ჩემი ოცნება ყოფილა, მყოლოდა საკუთარი სახედარი“(რჩეულიშვილი, 2011: 294).

გურამი თითქოს ცხენზე იყო შეზრდილი, ცხენის ყოველ მოძრაობას გრძნობდა. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ჯიშის, ღონის თუ სტილის ცხენი იყო. საოცრად გაბედულს უფრო ფიცხი, უცნობი და გაუხედნავი, თანაც უბელო ცხენები მოსწონდა. უშიშარი მხედრის დაუოკებელი ჟინი კარაგად მოჩანს მის უსაზღვრო მოთხრობებშიც. „მე ბავშვობიადან ჯირითის ტრფიალი ვარ, ცხენზე ჯდომა და ჭენება გაგიჟებით მიყვარს“... (რჩეულიშვილი, „ალავერდობა“ 2012: 282).

ალავერდობაზე ნანახით გულდაწყვეტილი ავტორი ასკვნის: „გრძნობ ალავერდობა აღარ არის ალავერდობა. გრძნობ, ეს რელიგიური მხოლოდ ინერციაა, შემზარავ სანახაობას წარმოადგენს გუშინდელი ლხინის დასასრული. ვინ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიანულ საყდარში, კანკელის ძირას, შეიძლებოდა ოდესმე გდებულიყო თავწაჭრილი მამალი და ცხვრის თავ-ფეხი. მხოლოდ აქაიქ დაინახავთ კუთხეებში მორცხვად მიყუჟულ შავკაბიან მლოცველებს“(რჩეულიშვილი, 1985:389). ალავერდობა იმართება ალავერდის ტაძარში (თელავიდან 20 კილომეტრზე) ალავერდის მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის სახელზე (ალავერდი ნიშნავს: „ღმერთმა მომცა (მოგვცა)“.ზეიმი იწყება 28 სექტემბერს და გრძელდება სამ კვირას. გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“ სწორედ მაშინაა დაწერილი, თელავში, თანაც ერთი ღამის განმავლობაში. შესანიშნავი ნოველა „ალავერდობა“, რომელიც გურამის შემოქმედების გვირგვინია, მის ცხოვრებას, მის თავგადასავალს ასახავს.

მწერლის დის, მარინე რჩეულიშვილის, მოგონებით 1956 წლის სექტემბერში გურამი მამას წაყოლია ალავერდობაზე კახეთში. მართლაც ისე როგორც მოთხრობაშია აღწერილი, „გურამმა დღეობაზე აუშვა ვიღაცა თუშის ცხენი... ახლომახლო პატრონი არავინ ჩანდა. გურამი მოახტა უბელოს და მინდოში გაუჩინარდა. ცოტა ხანში პატრონიც გამოჩნდა, დაიწყო ღელვა, წრიალი. ქისტს სულ ხანჯლისკენ მიჰქონდა ხელი და განუწყვეტლივ იმუქრებოდაო, - თქვა აჩიკომ. გურამი თურმე გახვითქული ცხენით კარგა ხნის შემდეგ მოვარდა მხოლოდ. ქისტი ხანჯლით იწევდა გურამზე, ძლივს აკავებდნენ. ჩემი ძმა როგორც თქვეს, ღიმილით უყურებდა მას, როგორც იცოდა ხოლმე აშკარა საფრთხის წინ პირისპირ დგომისას. მალე ყველაფერი ჩაწყნარდა, შერიგდნენ. მერე გურამი ისევ დაიკარგა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და უცებ ვიღაცამ დაიძახა: აგერ, გურამიო! აიხედეს და ხედავენ: გურამი დგას ალავერდის გუმბათზე, ცალი გაშლილი ხელი ზევითა აქვს აწეული, თითქოს დაძახებას ან მისალმებას აპირებსო. ცოტა ხანში ჩამოვიდა გუმბათიდან... 1959 წლის 28 სექტემბერს, განთიადისას, გურამმა დაწერა „ალავერდობა“ (რჩეულიშვილი, 2011: 351).

1959 წელს გამოქვეყნდა გურამ რჩეულიშვილის დინამიკით აღსავსე მოთხრობა „ალავერდობა“ და, როგორც მკვლევარი გურამ კანკავა აღნიშნავს, „შეიძლება ითქვას, მისი შემწეობით თანამედროვე ქართულ პროზაში საბოლოოდ გამოიკვეთა თანამედროვე გმირის არსებითი პიროვნული თვისობრიობა, განსაკუთრებით მისი ქალაქური იერი და კულტურული სახე“ (კანკავა, 1981 :185).

გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობის“ მიხედვით კინორეჟისორმა გიორგი შენგელაიამ 1962 წელს გადაიღო მხატრული ფილმი იმავე სახელწოდებით. სცენარის ავტორი იყო რევაზ ინანიშვილი გიორგი შენგელაიასთან ერთად.

ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს მოთხრობა „სიკვდილი მთებში“. ცნობილია, რომ ძალიან ბევრ ქართველ და უხოელ მოგზაურს იზიდავს საქართველოს ერთ-ერთი არქაული კუთხე - ხევსურეთი. უძველესი კოშკები, აკლდამები, განსაკუთრებით კი მებრძოლი და უცნაური კულტურის შემოქმედი ხევსურები. მოგზაურობის მოყვარული გურამ რჩეულიშვილი კარგად იცნობდა და მეგობრობდა გერმანელ მწერალ ალფრედ კურელასთან, რომელიც მეუღლესთან და პატარა ვაჟიშვილთან ერთად წლების განმავლობაში მოგზაურობდა ხევსურეთში, ხოლო შემდეგ საინტერესო ეთნოგრაფიულ მასალებს აქვეყნებდნენ გერმანულ ჟურნლებში(ვართაგავა, 1971:198).

გურამს ერთი პაწაწინა ნოველა აქვს, 1957 წელს დაწერილი, სულ ერთგვერდიანი, „მთაში“. ამ ერთ ნაწარმოებშიც ახეხებს იგი ძლიერი, შემაძრწუნებელი შთაბეჭდილების მომხდენი, დამამახსოვრებელი ხასიათის შექმნას:

„მინდია იწვა გულაღმა და ყრუდ გმინავდა. მოფხრეწილი ბეჭებიდან შავი სიცხლი ამოდიოდა. სამფეხაზე დასტაქარი იჯდა. დიდი პრიალა დანით ჭრიდა ჭრილობას. მინდია გმინავდა სულ ყრუდ, მერე დასტაქარმა მარილი დააყარა.

დათოს ბუსუსები დაასხა. „გაიფიქრა რა ვაჟკაცია მინდია“, გაიფიქრა, „მე ერთხელ გაკაწრულზე მომხვდა მლაშე და ცრემლები გადმომაყრევინა“.

შიშით განაგრძო ოპერაციის ყურება.

მინდია აღარ გმინავდა.

ახლა მხოლოდ კბილების ღჭრიალი ისმოდა.

დასტაქარი იჯდა სამფეხაზე და ჭრილობას უკერავდა“. (რჩეულიშვილი, 1977: 238).

ამ ნოველაში ახალგახრდა მწერალი, მეორე ძლიერ ხასიათსაც ხატავს. ეს არის მინდიას ყოჩაღი, ვაჟკაცური და მზექალა. ის, რაც ქალაქელი დათოსათვის დიდ სირთულესა და საოცრებას წარმოადგენს, მთის მკაცრი პირობებისა და იქაური ნორმებით გაზრდილი მზექალასათვის ვაჟკაცობის მცირედი გამოვლინებაც არ არის.

დიალოგებიდან ირკვევა რომ მინდია ნადირობისას დაუჭრია ნადირს, ეს ალბათ მას მერე მოხდა, როცა მან გარეული ტახი მოკლა და საფრთხეც მოულოდნელად წამოეპარა.

მზექალას ძალზე მაღალი, მძიმე მოთხოვნები აქვს ჩამოყალიბებული ვაჟკაცობის საზომად, ასეთ მოქმედებას მართლაც უძლიერესბები თუ შეძლებენ. ის ამბავი,რომ ძმის საშინელ ჭრილობას ბლაგვი დანით სჭრიან, თანაც მარილს აყრიან ზედ, ეს მზექალასათვის სრულიად უბრალო მოვლენაა: „ვაჟკაც მით იყვ, რო ორ ტახ დაჰკოდ, თორე ყვირილით ვის უყვირავს, რომ მაგან იყვიროს“,(იქვე, 1977: 239) ამბობს მზექალა. შემდეგ იგი მინდიას მოკლული ტახის გასატყავებლად მიდის, სურს მოხმარება სთხოვოს დათოს, მაგრამ გადაიფიქრებს. „დანა ჩამოიღო და მარტო გავიდა“(იქვე, 1977: 239).

მწერალი ტრაგიკულ-რომანტიკული სიტუაციის გამოძერწვასთან ერთად ახერხებს მესამე ხასიათიც გვიჩვენოს. ეს არის დათო. დათო ყველა მონაცემით ქალაქელია და მისთვის ვაჯკაცობის ასეთი სახით მიღება თითქოს შეუძლებელია. ვერ წაროუდგენია რომ ნარკოზისა თუ თეთრად გაქათქათებული საოპერაციო ოთახების მიღმაც მიდის ბრძოლა ადამიანის სიცოცხლისათვის.

ნუგზარ წერეთლის მოგონებით, მსგავსი ამტანიანობა გამოუჩენია თავად გურამ რჩეულიშვილს ხევსურეთის ჭიუხების დალაშქვრისას: „გაუვალ ბილიკებზე ვეებერთელა ზურგჩანთით მიმავალს სიპი ლოდიანი მოუცურდა და დაბლა გადამხტარს მუხლის ქვემოთ დაეძგერა. მართალია, ფეხი არ მოუტეხავს, მაგრამ წვივის ძვალზე ჰქონდა გადაგლეჯილი და ძვალიც გაბზარული. ფერდობზე იჯდა, ნახევრად მიწოლილი, ფეხიდან

სისხლი მოსდიოდა, ჩვენ თავზე ვადექით. ამასობაში სპირტი, იოდი და ბამბა მოიტანეს, გატეხილი ადგილი ფრთხილად მოუწმინდეს, იოდი წაუსვეს და ფხვნილიც დააყარეს. მართალია, ეს მარილი არ იყო, მაგრამ საკმაოდ აუტანელი ტკივილის მიუხედავად, ერთიც არ დაუკვნესია“ (წერეთელი, 1984:101-102).

გურამი მოწმე იყო იმ საშინელი ტრაგედიისა, რაც ელპიდე კურელას შეემთხვა ხევსურეთში, რაც თავადაც აღუნიშნავს მკვლევარ გურამ ასათიანთან საუბრისას. ელპიდე კურელა დამფრთხალმა ცხენმა გადმოაგდო ძირს და ქალი გარდაიცვალა. ტრაგიკულ ამბავს კურელა აუღელვებლად შეხვდა. ცხედართან ისხდნენ მამა-შვილი და სრულებით არაფერს ამბობდნენ. ალფრედმა სურათი გადაუღო მეუღლეს, გადაუღო რამდენჯერმე და ბოლოს ჩვეულებრივ წარმოთქვა: „ამას ვთვლი მე ერთ-ერთ ბედნიერ სიკვდილად, თუ შეიძლება ასე დაერქვას სიკვდილს“ (რჩეულიშვილი, 2011: 246). ალფრედი სამახსოვრო და გამოშამვიდობებელ სურათებს იღებდა. გურამს კი უკვირდა, თუ როგორ ახერხებდა დარდისა და საქმის ასე საოცრად შეთავსებას. გურამის მეგობრამა კურელა უდარდელ კაცად ჩათვალა და დაასკვნა: „ვინც დარდი არ იცის, მან არც მხიარულება იცის, არც რაიმე ძლიერი გრძნობა, მან მხოლოდ გონებით იცის, რომ არის ძლიერი და სუსტი განცდები“ (რჩეულიშვილი, 2011: 246). გამოირკვა, რომ ვაჟას ამ სიტყვებს კურელას მიმართ საფუძველი არ ჰქონდა. ალფრედის გულში ჩუმად და შეუმჩნევლად დუღდა ტკივილი... სიკვდილი მისთვის ძალზე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ალფრედმა თავისებურად იცოდა ქართული ხალხური სიბრძნე, რომ ყველა სიკვდილის შვილები ვართ და ცივად უმატებდა: „სიკვდილი ხომ სიცოცხლესთან ერთად იბადება“(რჩელიშვილი, 2012: 250). მიუხედავად ამ უბარლო და საყოველთაოდ ცნობილი დოქტრინისა, მკითხველი თავისებურ გულისწყრომას გამოთქვამს გერმანელი მწერლის მიმართ, რომელიც უახლოესი მეგობრის სიკვდილს ასე ინდიფერენტულად შეხვდა, მაგრამ უცებ იცვლება ყველაფერი, სასტუმროში მისულმა ალფრედმა თვალი შეავლო მეუღლის კაბას. იგი „დაეცა და საწოლზე ატრიალდა. ის ტიროდა, ხმამაღლა ქვითინებდა და ზორბა მხრები

უძაგძაგებდა“(რჩეულიშვილი, 2011: 262). ფინალი ხაზს უსვამს ალფრედ კურელას უმაღლეს ხასიათს და საოცრად ადამიანურ ბუნებას.

ელფრიდე კურელას იზიდავდა თურმე მშვენიერი ხევსურეთი და ანდერძად ტოვებდა, თუ შემთხვევით მოკვდებოდა, მისი გვამი იქ დაემარხათ, სადაც სულს დალევდა. განგებამ აღასრულა მისი სურვილი და ელპიდეს ცხედარი მიიბარა ხევსურეთის მიწამ; ჯერ უბრალო, ხოლო შემდეგ სპეციალურად გათლილი საფლავის ქვა, სათანადო წარწერით, დადეს ზემოდან...

„სიკვდილი მთებში“ უძვირფასესი ქმნილებაა, იგი სავსეა მძაფრი ტრაგიკული სცენებით, სადაც არ იგრძნობა არავითარი ხელოვნურობა და სიყალბე. არ შეიძლება მისი წაკითხვა უცრემლოდ, არ შეიძლება მისი დავიწყება არასოდეს. მართალია მასში რეალური ადამიანები მოქმედებენ და თემა ეხება სინამდვილეში მომხდარ ფაქტს, მაინც აღნიშნული ნაწარმოები სრულებით არ ტოვებს დოკუმენტური მოთხრობის შთაბეჭდილებას. მასში ფართოდაა გაშლილი მწერლის ფანტაზია.

ავტობიოგრაფიული დეტალებითაა გაჯერებული მოთხრობა „ასვლა“. მასში მთავარი პერსონაჟის - ვაჟა ჯანდიერის პროტოტიპი თავად გურამია, მეტიც, ვაჟა გურამის ორეულია, ბრწყინვალე და უშიშარი, მეწინავე მთამსვლელია. გურამ რჩეულიშვილი მართლაც ცნობილი ალპინისტი იყო და არაერთი რთული ტრავერსი ჰქონდა განხორციელებული ძნელად მიუვალ მწვერვალებზე. როდესაც „ასვლას“ ვკითხულობთ ვაჟა ჯანდიერში ჩვენ ვხედავთ გურამს, რომელსაც ეს-ესაა მწვერვალამდე მიუღწევია პირველს, ყინულის კედელზე პალოებს ასობს და იმის მაგივრად, რომ მომავალ გამარჯვებაზე ან მოსალოდნელ საფრთხეზე იფიქროს, ნატრობს ქალაქს, თეთრ პერანგს და მაღალყელიან შავ ფეხსაცმელს, მერე კი სიცოცხლის საზრისზე იწყებს მსჯელობას.

გურამ რჩეულიშვილის არაერთ მოთხრობაში მოსჩანს დედის სიყვარულით გამთბარი სახე. დედა მისთვის სათაყვანო და უძვირფასესი არსება იყო, ყოველთვის თან ახლდა დედაზე ფიქრი, სადაც უნდა ყოფილიყო, მთაში თუ დიდ ქალაქში, ალავერდში თუ საწერ მაგიდასთან. გავიხსენოთ ძალზე მგრძნობიარე ადგილი პირველი პერიოდის

შედარებით ნაკლებად ცნობილი ნოველიდან „მოხუცი და მე“: „მარტო დედა დარჩებოდა სახლში და იფიქრებდა ჩემზე, წარმოიდგენდა ჩემს მდგომარეობას, წამოუვიდოდა ცრემლები, იტირებდა. ნათლად წარმოვიდგინე მისი საყვარელი სახე, ჭაღარა თმები და დიდი, ახალგაზრდული თვალები, ცრემლებით სავსე“ (რჩეულიშვილი, 2011: 225).

შინაგანი სულიერი ჭიდილის წუთებში ხშირად დედა ჰყავდა იმედად და წუხილს მას ანდობდა ხოლმე: „ ერთხელ, საღამოს, დედას ჩაუდო კალთაში თავი და ბავშვივით ატირდა. შიშმა აიტანა. მშობელს ჩურჩულით ეუბნებოდა მისთვის გაუგებარ სიტყვებს“ („ასვლა“). ნამდვილი სამკვდრო-სასიცოცხლო გამოცდის ჟამს, როდესაც გურამი მარადთოვლიანი მწვერვალის გაუვალ კედელზე იყო დარჩენილი და გარშემო სიკვდილი მსუსხავი ქარიშხალივით დაბორიალებდა, დედა აგონდებოდა, მისი სითბო და ნუგეში სურდა, ქვეშეცნეულად შველასაც კი შესთხოვდა „... მერე რატომღაც გაახსენდა, რომ, როცა კბილი სტკიოდა პატარაობისას, დედა ლოყას ლოყაზე დაადებდა ხოლმე და ურჩენდა“(რჩეულიშვილი, 2011 : 192).

გურამ რჩეულიშვილი განსაკუთრებულ მოკრძალებასა და სიყვარულს იჩენდა უფროსი თაობის ადამიანებისადმი, განსაკუთრებით კი მოხუცებისადმი, რაც მისი მეგობრების მოგონებებითაც ხდება ნათელი და შემოქმედებითაც. ნუგზარ წერეთელი იხსენებს: „ლუდხანაში ერთი წყნარი, სამოცდაათ წელს გადაცილებული მოხუცი კაცი დადიოდა. ადრე თურმე რაღაც დიდი თანამდებობაც ჰქონდა, სიბერეში სულ მარტო დარჩენილიყო, დროს უმთავრესად სმაში ატარებდა. ერთხელ ლუდის ფული დააკლდა და ახალგაზრდა ჯანიანმა ოფიციანტმა კარში გააგდო. გურამი წამოხტა, მკაცრად გამოაფხიზლა ოფიციანტი, დაეწია საცოდავ მოხუცს, მოატრიალა და გულიანად მოიპატიჟა.

მომდევნო დღეებში ერთად ისხდნენ ხოლმე და კმაყოფილი მოხუცი საათობით უყვებოდა ამბებს თავისი ცხოვრებიდან. ზოგჯერ, როცა გურამი დააგვიანებდა, მოხუცი საათობით იდგა და ელოდებოდა, იმ მხარეს გასცქეროდა, საიდანაც მისი მფარველი უნდა გამოჩენილიყო“ (წერეთელი, 1984: 45).

გურამის ნაწარმოებებში ერთ-ერთ კეთილშობილურ ხაზად გამოჩნდა უღრმესი პატივისცემა - მოხუცი, ვალმოხდილი ადამიანებისადმი, რომელთა მიერ განვლილი გზაც მას სასახელოდ და მისაბაძად მიაჩნდათ. საკუთარი ბებია-ბაბუების წყნარი, კეთილი სახეები დიდი სიყვარულით დაგვიხატა მოთხრობებში: „ნადირობა“, „შემოდგომა ბაბუა კოტესი“ და სხვაგან. ნაწარმოებებში საცხოვრებელი სახლის ადგილიც კი ზუსტად აქვს მითითებული, თერთმეტსართულიანის გვერდით, მეხუთე სართული. აქ ცხოვრობდნენ მოხუცები შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. გურამს ძალიან განუცდია ბებოს მოულოდნელი გარდაცვალებაც: „მომაგონდა თელავი, კიბეზე ამავალი ბებო, წელში მოხრილი, ტუჩებმოკუმული. მოვიდა ჩემთან, გვერდით მომიჯდა და ფრანგულიდან მითარგმნიდა მოსაპანს. ახლა მეჩვენებოდა, რომ ვიღაცას ტუქსავდა, შემდეგ სარეცხს რეცხავდა და ალფერდ დე მიუსეს ლექსს ამბობდა. „ბებო, ბებო აღარ არის“, - გამიელვა და ისევ ავტირდი“(რჩეულიშვილი, „ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“ 2011:310).

საყურადღებოა ერთი ეპიზოდი გურამის ცხოვრებიდან: ბაკურიანში დასასვენებლად წასული ნაქირავები ბინის მოხუც მეპატრონეს ეხმარებოდა, შეშას უჩეხავდა, ვედროებით წყალს ეზიდებოდა, პური, მარილი, შაქარი მოჰქონდა, საღამოობით დაინვალიდებულ მოხუცებს წიგნებსაც კი უკითხავდა. ეს ცხოვრებისეული ეპიზოდი ეხმიანება გურამის განცდებსა და ადგილებს, პატარა ნოველიდან „მზიანი დღე“. აქ ამგვარი ადგილებია: „გურამ შენს გაზრდას, ერთი შეშა დამიჩეხე და წყალი ამომიტანე... გურამი გარეთ გამოვიდა და ბაკურიანს გადახედა... კიბეებზე დადებულ მშრალ თოვლზე ჭრაჭუნით ჩავიდა. აქ თოვლი გამოქექა, ცულის ტარს ხელი წაავლო, ცული თოვლიდან ამოათრია... როცა საკმაოდ დააპო, ზევით აიტანა, დაბერტყა და ღუმელთან დააწყო. შემდეგ ვედროებს ხელი დაავლო და წყლისკენ დაეშვა“(რჩეულიშვილი, „მზიანი დღე“, 1965 :83).

მისი ნაწარმოებების გაცნობა გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა მწერალი სულით ხორცამდე დიდ შემოქმედად იყო დაბადებული. მას უპირველ ყოვლისა, ქართველი კაცი აინტერესებს მთელი თავისი ფიქრით, შემოქმედებით, ეგზოტიკით, იდილიით და

ტკივილით. რჩეულიშვილის ყოველი გმირის სულში თვითონ გურამი ზის და ამის გამო მათი ძარღვები მუდამ სისხლსავსეა (ვართაგავა, 1971:196).

გურამ რჩეულიშვილის ყოველ მოთხრობაში იგრძნობა ავტორის ძლიერი ხასიათი. ხასიათის ეს თავისებურება იკითხება მისი პერსონაჟების ბუნებასაც. თვით საოცრად გულითადი და მსუბუქი განწყობილებით დაწერილ „შემოდგომა ბიძია კოტესი“, თითქოს იგულისხმება ეს ჯანმრთელი და ყოვლისშემძლე ძალა სიჭაბუკისა, ნაღვლიანი თანაგრძნობით რომ ეალერსება ძვირფასი ადამიანს მიმწუხრის ჟამს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებთა გმირები ჰგვანან ერთმანეთს: ყველა მათგანი მოაზროვნე ადამიანია; იქნება ის შემოქმედი, მძღოლი, მთამსვლელი თუ ფიქრის საგანია სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის, ძიების და აღმოჩენათა საკითხი. ბევრი მათგანი საოცრად მოძრავია, ხოლო ზოგიერთი მანეკენივით გარინდული წევს საწოლზე და სარკმელში შემოსულ მზის სხივებს ბუდას მოთმინებით უშტერებს თვალს. პირადად მისთვის დამახასიათებელი ჩაცმითა და ზოგჯერ მკვეთრად გამოხატული თავისებურებებით გურამ რჩეულიშვილი თითქოს გარესამყაროსადმი თავის უშუალო, ბუნებრივ, ალალ დამოკიდებულებასაც კი გამოხატავდა.

გურამ რჩეულიშვილის ლირიკული გმირი „მაძიებელი, ცნობისწადილით სავსე ადამიანია, ცხოვრების დაუღალავი შემსწავლელია, რომელიც სიმართლის ნამსხვრევებს კრებს; მაგრამ უპირველეს ყოვლისა თვითონ ცხოვრობს მძაფრად და სისხლსავსედ...“(ვასაძე, 2016:6).

გურამის ყოველ მოძრაობაში, სულიერ თუ ფიზიკურ ნიუანსებშიც კი, როგორღაც ღრმა აზრი იყო ჩადებული და უმიზნოდ არაფრის გაკეთება არ შეეძლო. აქ მახსენდება ზოგიერთისათვის შეიძლება ნაკლებად შესამჩნევი ადგილები მოთხრობებიდან: „ირინა“, „ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“, „დილა უნივერსიტეტის ქუჩაზე“, „დღიური“, „სადღაც წუოდა კოღო“, თუ „შპილკა“, სადაც ეს მომენტები საინტერესოდაა ხაზგასმული თვით ავტორის მიერ:

„...ძველი ჯუბა მოიცვა და გარეთ გამოვიდა. წვიმდა. ქვაფენილზე წყალი მრგვალ წუმპეებად იდგა, გურამი მძიმე მაღალყელიანებს განგებ ტყაპუნით ადგამდა გუბეებში, წვეთები გვერდზე ხტებოდნენ, გუბე ცარიელდებოდა და ისევ ივსებოდა ნაწური წყლით. თავისი ოთახიდან გამოსულს ჰაერი განსაკუთრებით წმინდა მოეჩვენა, მხრები აამოძრავა, ჩაისუნთქა, გაუკვირდა: როგორ გავძელი ამდენ ხანს იმ პატარა ოთახშიო. ვიღაცამ სწრაფად ჩაურბინა გვერდზე და სადარბაზო კარებს შეაფარა თავი. „აი სულელი, რა ჯობია ახლა გარეთ სიარულს“, - გაიფიქრა, ღიმილით გაიხედა გადახურული ალაყაფის კარებისაკენ, სადაც გოგო და ბიჭი იდგნენ. იქით, აივნის ქვეშაც ხალხი იდგა. წვიმა სწორ ხაზებად ეცემოდა მათ ფეხებთან, გუბეში. მან განგებ ჩაატყაპუნა ფეხი. მოისმა ბუზღუნი, ისევ გაიღიმა და ნაბიჯს აუჩქარა...“ (რჩეულიშვილი, „ირინა“ 1977: 40)

„მახსოვს: პირველ კურსზე შავი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ვიწრო, შავი შარვალი და ჯიბეებიანი თეთრი ხალათი მეცვა, ნაბდის ქუდი მეხურა და ამით ძალიან მომქონდა თავი“ (რჩეულიშვილი, „ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“ 1977: 116).

„გრძელი, ნელი ნაბიჯებით მივყვებოდი ჩვენს ქუჩას. მსიამოვნებდა, რომ შავი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი, შავი, ვიწრო შარვალი, შავი ჯემპრი და დიდი, ნაცრისფერი პალტო მეცვა... მთვრალივით ჩავიარე ქუჩა. მსიამოვნებდა, რომ ჩემს გემოზე ვიყავი გამოწყობილი. ნალების ყრუ წკარუნი მამშვიდებდა“ (რჩეულიშვილი, 1965: 216).

„აბრამამ, თავისი გულისხმიერების წყალობით, ახლა უცებ შენიშნა ჩემი ბათინკები... მერე უცებ დაიკუზა, მაღალყელიანის პირს ალერსით გადაუსვა ხელი და ყბა აამოძრავა: - ზამშია, აი, - თქვა.

პირდაღებული კურსანტები სასწრფოდ მოგროვდნენ, უსვამდნენ ხელს ჩემ ბინძურ ბათინკებს, - ეტყობა, იმდენი მჭორეს მათთვის უცხო ბიჭი, რომ ახლა ეშინოდათ, არ გამომჟღავნებულიყო ეს, თვითეული ცდილობდა, სხვას არ ჩამორჩენოდა ქებაში“(რჩეულიშვილი, 2012: 254).

„შეგნებულად ავუხვიე ჩაბნელებული ყაზბეგის ქუჩისაკენ, ხელი მის ზურგზე მქონდა მიდებული და ვაწვებოდი ცარიელი ქუჩისაკენ, რომ მე თვითონ აღარ დამენახა ჩემი შავი

კოსტუმი, თეთრი პერანგი, ბრახუნები, რომლის ხმაც, ჯიბრზე მთელ კვარტალში ისმოდა, მაგრამ არ მიშველა სიბნელემ, პირიქით“; „მაღალყელიანი ფეხსამელებით შეტოპა წყალში, შარვლის ტოტებს შლამი აეკრა“; „უცებ ვიგრძენი, რომ გავნერვიულდი და მთელი ძალით ვკარი ბათინკა კათხას, რომელიც დახლს მიასკდა და გატყდა“. (რჩეულიშვილი, „შპილკა“., 1977: 169).

შეუძლებელია მწერალი წერდეს რაიმეზე და შინაგანად არ გრძნობდეს მოვლენის სიმძაფრესა და უსუსურობას. მხოლოდ პირადი გამოცდილების ღრმა წვდომით მიიღწევა მაღალი შედეგი. გურამ რჩეულიშვილის, როგორც მწერლის, უპირველესი ღირსება სწორედ ის არის, რომ სხვათაგან განსხვავებით, იგი მხოლოდ იმას წერდა, რაც საკუთარი გამოცდილების სიღრმიდან მოედინებოდა, რაც არც ყურმოკრული იყო და არც მოგონილი. იქნებ, ამიტომ იგრძნობა მის პროზაულ ქმნილებებში შეუფარდებელი და არსებობასთან უშუალო განცდით დაკავშირებული კაცის პოზიცია.

გურამს ბევრ მოთხრობასა თუ რომანში აქვს დახატული ქალაქური პეიზაჟები. იგი დიდი ქალაქის შვილი იყო, ბობოქარ რიტმასა და ხმაურს შეზრდილი. ქალაქიც უსაზღვროდ უყვარდა, მის წარსულსა და კოლორიტულ სახეში არაერთ ფურცელს ჰპოვებდა. თუ ხანდახან გაექცეოდა ხოლმე, ეს იყო დროებითი გაქცევა, რათა ახალი ძალებით, მიგნებულით, ნანახით ავსილი დაბრუნდებოდა და კვლავაც ყოფილიყო ღირსეული წარმომადგენელი (რჩეულიშვილი, 1985 :187).

ამრიგად, გურამ რჩეულიშვილი ცხოვრებასა და შემოქმედებაში სანუკვარ საგანს - ექსტრემს უტრიალებდა, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, მაძიებელი ახალგაზრდა იყო. წერდა იმას, რასაც ხედავდა და განიცდიდა, თავისი პერსონაჟების მსგავსად სიკეთეს დაატარებდა გულით. ორიენტირება პირად გამოცდილებაზე, პერსონაჟის რელისტურ-რომანტიკული ნატურისადმი ერთულება ქმნის მწერლის შემოქმედებით ხელწერას.

თავი III

ეროვნული თვითშეგნების მწერლისეული გააზრება

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ეროვნული თვითშეგნების გამომხატველი სიუჟეტურ-თემატური შტრიხები. მის თვითმყოფად შემოქმედებაში განსახიერდა ყველა ის საუკეთესო თვისება, რაც უძველესი დროიდანვე ახასიათებდა ქართველ კაცს, ქართულ მწერლობას, რითიც შეძლო მან გამკლავებოდა ვერაგ მტერს, სხვა სახელმწიფოების მსგავსად არ აღგვილიყო პირისაგან მიწისა და დღემდე შეუბღალავად მოეტანა თავისი ეროვნული სახე.

მეოცე საუკუნეში დაბადებული მწერალი გრძნობდა, რომ ჰქონდა შუა საუკუნის მოქალაქის „სულიერი თვისებები“. მიაჩნდა, რომ ტექნიკურმა პროგრესმა დასავლელი ადამიანი თითქოს გააბრუა, დააცარიელა“. ქალაქური ღამეების დაძაბულ სიმყუდროვეში მას ალბათ ხშირად აღვიძებდა ძარღვებში მომსკდარ წინაპართა სისხლის ამბოხი და ის მეორე დილით ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა მცხეთის გზას, ჭაბუკური დაჟინებით

ცდილობდა დავიწყებიდან გამოეწვია უფლისციხის იდუმალი აჩრდილები, მარტოდმარტო მისდევდა ვაჟა ფშაველას ნაკვალევს, ან კიდევ მასსავით თავზე ხელაღებულ მთიელ ბიჭებთან ერთად სიპ ბილიკებზე დააჭენებდა გაუხედნავ, ფეთიან კვიცებს. ასე დაიწერა მისი: „თვირთვილა“, „უსახელო უფლისციხელი“, „ ალავერდობა“.

მწერალმა საჭიროდ ჩათვალა, რომ მივიწყებულ უფლისციხეზე სხვებისათვის მოეთხრო ის, რაც იქ დაინახა, შეიგრძნო და ამოიკითხა. გურამი ცდილობს ჩაიხედოს ქვათა მდუმარებაში, როგორც წყაროში, და დაინახოს ბევრი რამ. სულ სხვაგვარად განიცდის მწერალი უფლისციხის ქვაბულებს და მოგონებას იმ უსახელო ოსტატთა თუ მეომართა, რომელთაც გამოკვეთეს უფლისციხის დარბაზები და დაიცვეს ღირსება მისი: „მეჩვენება, რომ ღამეა და უფლისციხე გარშემოწყობილია. მეციხოვნეებს ცეცხლი უნთიათ. დიდ ქვაბებში ადუღებენ კუპრს. თხრილებთან ქვა გროვდება დასაშენად. თხრილის იქით კი მტრები დგანან“ (რჩეულიშვილი, „უსახელო უფლისციხელი“, 2011: 226).

გურამ რჩეულიშვილს საქართველოს მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აინტერესებდა, დაკვირვებით ეცნობოდა პირველ წყაროებს, ხშირად საჯარო ბიბლიოთეკებსა და მუზეუმის არქივებში ეძებდა საჭირო მასალას. შესანიშნავი ნაწარმოების „უსახელო უფლისციხელის“ შესავალშივე კარგად ჩანს, თუ რა პასუხისმგებლობით, როგორი მონდომებით უდგებოდა გურამი საქმეს. მას საქართველოს ისტორიაში უბრალო მშრომელი ხალხის როლი აინტერესებდა. მასალების გაცნობის შემდეგ გადაწყვიტა დაეწერა ნარკვევი უფლისციხეზე. დიდხანს აწვალებდა იდეა დადიოდა და ფიქრობდა, სათქმელს სულის ქურაში ხარშავდა, რამდენჯერმე ადგილზეც იყო, რომ უშუალოდ შეეგრძნო ისტორიის ფერფლწაყრილი დღეების სუნთქვა: „გადვწყვიტე, უფრო ღრმად შემესწავლა უფლისციხის ისტორია. პირველადვე წყაროების სიმცირე და მშრალი ფაქტები მომხვდა თვალში, მაგრამ აღარ დამიხევია უკან. გავეცანი აღმ. საქ-ლოს. უძველეს სავაჭრო გზებს, რომლებიც აქ გადიოდა, გავეცანი მის მიდამოებს; სადღაც აესხა მძივი, შევადგინე კონსპექტი: უფრო კარგად ვიგრძენი უფლისციხე“(რჩეულიშვილი, „უსახელო უფლისციხელი“, 2011: 220).

გურამის „უსახელო უფლისციხელი“ აღფრთოვანებით მიიღო საზოგადოებამ. მწერალმა ბრწყინვალედ დახატა სამშობლოს ადრიანად მოწყვეტილი უენო ვაჟკაცი, რომლის შეგნებაში ყოველთვის ცოცხლობდა ფიქრი, რომ ის ქართველია. უენომ, მტრის ვარაუდით მონადქცეულმა ადამიანმა, უდიდესი პატრიოტული საქმე გააკეთა, მეფესა და მთავარზე მეტიც კი, თავგანწირვის ნაცადი გზებით თავისი ნამდვილი სამშობლო აოხრებას და იავარქმნას გადაარჩინა.

ფილმის კადრებივით იცვლება უფლისციხის ირგვლივ დატრიალებული მოვლენები. განწირულ ადამიანებს ბედისწერასავით მოევლინება არაბთა მრავალრიცხოვანი ლაშქრიდან გამოქცეული, სისხლითა და ხორცით ქართველი, რომელიც თავგანწირვის ფასად მიცოცავს ციცაბო კლდეებზე, რათა მტრის საომარი გეგმა გაუმხილოს მისთვის აგრერიგად მონატრებულ თანამემამულეებს.

უსახელო და ყველასათვის უცნობი უფლისციხელი დიდი ტანჯვის შემდეგ მაინც აღწევს მეციხოვნეებთან და, ბოლოს და ბოლოს, მიახვედრებს მათ მტრის განზრახვას. მისმა თავგანწირვამ ნაყოფი გამოიღო, გადარჩა უფლისციხე, გადარჩნენ ბავშვები და ქალები, რომელთაც გაჟლეტა მოელოდათ.

სთხოვენ დაწეროს თავისი გვარი და სახელი. მან კი წერა არ იცის. და გვერდზე საკანში ღვთისმოსავი კაცი, უფლის მონა ფურცლავს მატიანეს და წერს დიდი ასოებით: „ჟამს ამასა და ამასა. წყალობითა ღვთისათა, დიდმა მთავარმა ვამეხმა სძლია მტერსა და უკუაქცია იგი კედლებიდან უფლისციხესა“.

„საინტერესოა, რატომ არ შემორჩა ვინმე გმირის სახელი, გლეხი გმირისა“... (რჩეულიშვილი, „უსახელო უფლისციხელი“, 2011: 229-226). არც მეტყველება ჰქონდა, არც წერა იცოდა, ზოგადად აღინიშნა მისი სამაგალითო დამსახურება. უსახელო უფლისციხელი ზოგადი ტიპია თავდადებული მამულიშვილისა. ასეთი გმირები ბევრი იყო საქართველოს ისტორიაში, მათ გმირული თავდადების ფასად გადაარჩინეს მამული და გაუმკლავდნენ ათასჯერ ძლიერ მტერს.

ახალგაზრდა მწერალი სრულიად მართებულად სწევს წინ ხალხის როლს, ერთი და ორი პიროვნება ვერ შექმნიდა ისტორიას, მისი შემოქმედი იყო ხალხი, მასები, დიდი და ერთიანი ძალა.

გურამი თავისი ხალხის ნამდვილი პატრიოტი იყო. მას მართალია ისტორია იზიდავდა, იტაცებდა, ეძახდა. რამ შექმნა ყველაფერი ეს, რა ძალამ მოიტანა ჩვენამდე, როგორ გადარჩა განადგურებას პატარა საქართველო, რა ვნება ამოძრავებდა ხალხის უკვდავ სულს?- სვამს კითხვებს ახალგაზრდა მწერალი და კიდევ ერთხელ პასუხობს - შექმნა შრომამ, ვერ მიღწეულისაკენ სწრაფვამ, მიღწეულით არდაკმაყოფილებამ; ერთი ციდა ადგილიც არ არსებობს, რომ რაიმე არ იყოს აშენებული, ქვა ქვაზე არ იყოს დადუღებული, ეს პატარ-პატარა ადგილები და მონაკვეთები კი ერის დიდ ისტორიას ქმნიან, შრომისა და შენების ისტორიას. ამიტომ აცხადებს ამაყად პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი შემოქმედი: „ჭიანჭველასავით მშრომელი და დაუზარელი ყოფილა ჩემი ხალხი“(იქვე, 224).

საქართველოს ძნელბედობის ჟამი ბევრგან წუხილად და ტკივილად შემოიჭრა გურამის შემოქმედებაში. უმძაფრესი განცდით დატვირთული ნოველა „ლამაზია გურჯის ქალი“: მოძალადე, ქურდულად მომხდურ ოსმალებს კავკასიონზე გადაჰყავთ გასაყიდად მოტაცებული ქართველი ტყვეები. მამას და ქალიშვილს თავს დასტეხიათ ეს დიდი უბედურება. თათართაგამ ტყვედქმნილებსა და ცემისგან თავპირდასივებულებს სისხლი სდით. მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ულამაზესი თინათინი მაინც არ ნებდება ველურ გამტაცებელს. უკბენს და სისხლს ადენს ვენიდან. მას სიკვდილისაც კი არ შეეშინდა.

ასეთი იყვნენ ქართველები, არ დრკდებოდა არც ქალი და არც კაცი, სამშობლოს სამსხვერპლოზე სიცოცხლეც კი მიჰქონდათ. მამულის სიყვარულთან შიში არ თავსდებოდა, პატრიოტიზმის უპირველეს გრძნობას ყველაფერი ეწირებოდა და ეს იყო ბრძოლის, თავდაცვის, გაძლების, შექმნის უტყუარი ბერკეტი.

ახალგაზრდა მწერალი ეძებს ასეთ ძლიერ ხასიათებს, გადმოსცემს მათ მისწრაფებებს, აგრძელებს იმ პატრიოტულ სულისკვეთებას, რაც ნიშანდობლივი იყო ქართული ლიტერატურისათვის, რითაც ყველაზე უკეთ გამოხატავდა ხალხის ფიქრსა და ოცნებებს, ჭირ-ვარამსა და იმედებს, რის გამოც მოპოვებული ჰქონდა ერის წინამძღოლის საპატიო სახელი.

გურამ რჩეილიშვილის შემოქმედებითი ამოცანა იყო თავისი თანამედროვე ქართველის სახე შეექმნა. იმგვარი გმირის პროტოტიპი უნდა გამოეძერწა, რომელშიც სრულიად რეალიზდებოდა ქართული ეროვნული პოტენცია. „ალავერდობაში“, ისევე როგორც ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურში“, მთავარი გმირი მხოლოდ საკუთარ ძალაზე დაყრდნობით ცდილობს არსებული რეალობის შეცვლას. ორივე მათგანი ზეადამიანობისკენ ისწრაფვის და ამის გამო იმსახურებენ მკითხველის პატივისცემას. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ „ალავერდობის“ პერსონაჟი, განსხვავებით ალუდა ქეთელაურისგან (სხვათაშორის, გუარმ რჩეულიშვილს ჰქონდა მოფიქრეული სცენარი „ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით), დაეჭვდება საკუთარი მოქმედების სისწორეში (ალუდას თავისი მოქმედების შესაფასებლად „სიმაღლე“ არ ჰყოფნის, რადგან ის ისევ ხევსურთა შორის ტრიალებს, გურამმა კი ალავერდის სიმაღლიდან დახედა ყველაფერს). „ ... ის (გურამი) ხვდება, რომ შრომა, შენება, შემოქმედება უფრო დიდი ფასეულობაა და უფრო შედეგიანია, ვიდრე გამომწვევი პროტესტი, ამბოხი; ამიტომ ხვდება იმასაც, რომ თვით ისიც და საერთოდ, პიროვნება ინერტულ ბრბოზე შეიძლება მხოლოდ შემოქმედებითმა შრომამ აამაღლოს და არა საკუთარი თავის საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოქცევამ. ბრბოსაც კვლავ ხალხად მხოლოდ შრომასთან მიბრუნება აქცევს, რადგან სწორედ შრომისგან მოწყვეტა გადააგვარებს ხალხს ბრბოდ, ართმევს სასიცოცხლო ძალას, არსებობის ხალისს და სიხარულს“ (თამაზ ვასაძე). ამ შეხედულებას იზიარებს მკვლევარი გია არგანაშვილი. მისი აზრით, შემოქმედებასთან გათანაბრებული სასარგებლო შრომა, რომელიც ბრბოს ხალხად, ხოლო ადამიანს თავისუფალ პიროვნებად აქცევს, სრულიად ახალ ასპარეზს ქმნიდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური

ცხოვრებისთვის. და რაც მთავარია, აჩენდა გზას მეამბოხური იდეოლოგიიდან თავდასაღწევად(არგანაშვილი, 2014: 4)

გურამი ეროვნული სიამაყის შეგრძნებით აღწერს მშობლიური კუთხის - კახეთის ულამაზეს ბუნებას და მაღალმხატვრული ოსტატობით გვიჩვენებს თუ როგორ ზეიმობს „თავის დღეობას ჭალიდან თეთრი გედივით გამოვარდნილი ალავერდი“ („ალავერდობა“ რჩეულიშვლი, 2012: 282). გურამ რჩეულიშვილი ალავერდშია. მარტოა გურამი. სურს საკუთარი თვალით, უშუალოდ აღიქვას ეს ხალხმრავალი დღესასწაული თავისი ყველა რეალური გამოვლინებით. მწერალი აქ უცებ აკეთებს თავის „უცნაურ გადასვლას“, „წინანდელმა რელიგიურმა დღესასწაულებმა დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა და ახლა იქცნენ ლოთების, უსაქმურების ხანმოკლე შფოთისა და დროსტარების ადგილებად“ (იქვე, 282). მთელი ღამის მანძილზე სმა, ღრეობა და უწესო სიმღერა სუფევს ალავერდის უმაღლესი და ულამაზესი ტაძრის გარშემო. ლოცვაცა და გალობაც წაულეკავს ამ უსიამოვნო მდინარებას. ერთმანეთში ირევა ლოცვა და ლანძღვა, სიწმინდე და სიბილწე ისეა გადახლართული, რომ წესიერ ადამიანს გაუჭირდება გარჩევა - წმინდა ტაძართან არის თუ დამნაშავეების ბანაკში იმყოფება. ქრისტიანული საფუძველი სრულიად დაუკარგავს ალავერდობას, მოწიწებით მლოცველთა მცირე ნაწილი სხვა ქვეყნიდან მოსულ ადამიანბს ჰგავს. ამ გახელებული ღრეობის ფონზე ისინი უმნიშვნელონი ჩანან.

გურამ რჩეულიშვილი გრძნობს, რომ „ალავერდობა აღარ არის ალავერდობა... ვინ წარმოიდგენდა, რომ ქრისტიანულ საყდარში კანკელის ძირას შეიძლებოდა ოდესმე გდებულიყო თავწაჭრილი მამალი და ცხვრის თავ-ფეხი. მხოლოდ აქა-იქ დაინახავთ კუთხეებში მორცხვად მიყუჟულ შავკაბიან მლოცველებს...“ „უყურებს მათ ჩვენი მოთხრობის გმირი და რაღაც ცრემლებივით ებჯინება ყელში. ნუთუ ამ უთავბოლო აურზაურის და ღრეობის საყურებლად მოვიდა აქ... სად არის ქართული ცეკვის ლაზათი, ვაჟკაცური შერკინება მოჭიდავეებისა, გაფრენილი ცხენების ჯირითი?“(რჩეულიშვილი, 2012: 286-287)..

გურამი ფრთხილად ახსნის დაბმულ მთიულურ ცხენს თავისი ქვეშეცნეულად კეთილშობლური ჩანაფიქრის შესასრულებლად, „...რამდენიმე კაცი ბანცალით წამოდგება ადგილიდან, ალბათ, სურვილწამოვლილნი, რომ ამდენი ლოთობის შემდეგ ჩხუბი მოხდეს, როგორც წესია“(იქვე, 291).

ცხენი ვეღარ დაიჭირა. ორივენი ხრამში გადაეშვნენ. ამოვიდნენ. ისევ ხალხის მასაში შეიჭრნენ. ცხენის პატრონის ხელში ხანჯალმა იელვა, ფილტვებში დაჭრილი ცხენი წაიქცა. „შურისმაძიებლები“ ახლა გურამს დაედევნენ. გურამი ტაძარში შევარდა, ვიწრო შიდაკიბით გუმბათზე აიჭრა და ლავგარდანზე (კარნიზზე) დადგა. მოქმედება, მართლაც, ეფექტური აღმოჩნდა: „აძგერდნენ ახალგაზრდა გულები, აღელდნენ მოხუცები, ქალები თვალს ვერ აშორებდნენ გუმბათს. გავარდა ხმა, კაცი დგას გუმბათის ლავგანდარზე და ყოველ წამს შეიძლება გადმოვარდესო“(იქვე: 294-295).

ალავერდის გუმბათზე მდგომი გურამი ყვირილით, ჯახანით, დევნით, ქროლით, ქოშინით დამუხტული გარემოდან გუმბათზე, სულიერი სიმშვიდის გარემოში, ავარდება. ყოველგვარი ხმაური ერთბაშად წყდება და მღელვარე ფერების სამყაროს გამოქცეული ჭაბუკი ერთ მთლიან, განუყოფელ ფერს ქმნის. ალავერდი მოთხრობის უპირველესი სახეა, ჩანს თუ არ ჩანს, ყოველთვის იგრძნობა და რგორც მოქმედება, ისე ცნობიერების ცენტრში დგას. მოთხრობის გმირმა ყველაფერი გააკეთა, რომ ხალხი გამოეფხიზლებინა, კინაღამ თავი გაწირა. სწორედ ამგვარმა შემართებამ გადაარჩინა საქართველო განაგურებას.

შეუძლებელია ჩვენი თაობის ადამიანმა გულგრილად წაიკითხოს ეს მოთხრობა, არ მოიხიბლოს იმ ეროვნული სულისკვეთებით, რომელმაც მისი გმირი ალავერდის ტაძრის გუმბათზე აიტაცა და ის სულის სიღრმემდე შემძვრელი გრძნობაც ახალ სივრცეებთან შეხვედრისა, რომელიც მას ამ სიმაღლეზეც დაეპატრონა. აი ამ მოთხრობის უკანასკნელი სიტყვები: „მან არ იცის კახეთი, ვისაც ცივგომბორის ქედზე შემდგარს არ დაუნახავს ალაზნის ჭალიდან ამოვარდნილი ალავერდი, მას არ განუცდია დაუოკებელი კახური ვნების სიმძაფრე, ვისაც ალავერდის თავზე თავისი ფეხით ავარდნილს,

გუმბათიდან არ დაუნახავს ერთმანეთზე მიყრილი და უსასრულობამდე გაშლილი სოფლები, სავსე და დიდებული, ჩაფლული გაუთავებელი ვაზის ხეივნებში“ (იქვე, 295).

გურამის მიერ აღწერილ მშობლიური ქვეყნის ბუნებას თავისი დატვირთვა აქვს დაკისრებული. ის ალამაზევს, ამშვენიერებს სათქმელს, აუცილებელ სამკაულად გამოიყენება, მაგრამ სრულიადაც არ არის მშრალი და თავისთავადი რამ, იგი ორგანულად ერწყმის ადამიანის შინაგან ბუნებას. მაგალითად, შესანიშნავი ნაწარმოების „ალავერდობის“ შესავალშივე. ახალგაზრდა მწერალი დიდებულად გრძნობს კახეთის ბუნების ყველა ნიუანსს, სიძლიერეს, სილამაზეს, სიუხვეს, ადამიანებზე კეთილი, გარდამქმნელი გავლენის უნარს.

გავიხსენოთ შეღამებულში კახეთის, თელავის მომაჯადოებელი სურათი, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთშერწყმა, ურთიერთგამდიდრება: „შეუმჩნევლად მიპარვით შეეჩვია თვალი სიბნელეს, საიდანაც უცებ უცნაური ძალით ამოხეთქეს ვარსკვლავებმა და მთლიანად დაიპყრეს კახეთის ცა. ამოვარდა პირველი ნიავი, ოდნავ შეარხია კენტი ფოთოლი, დაიყოლია და ის-ის იყო უნდა მომწყდარიყო, რომ ჰაერის ახალი ნაზი ტალღა წაეხმარა თითქმის მიმხმარ ტალღას, სხვა ფოთლებსაც აგრძნობინა თავისი არსებობა. შეიყუჟნენ შემოდგომის მისუსტებული ფოთლები, მაგრამ ისეთი ალერსიანი, სასიამოვნო იყო გრილი, უნებელი ქროლვა დასავლეთის ქარისა, რომ თითქოს წინააღმდეგობის გაუწევლად დაჰყვნენ მის ნებას და აშრიალდენ დიდი ხეები, აშრიალდნენ ცაცხვები, ჩუმად ახმაურდა თელავის ათასწლოვანი ჭადარიც. საიდუმლო, უვნებელ ხმებად ფადმოიღვარა ცივის ფერდობიდან ალაზნის ჭალებში ჩაშვებული სიმღერები“(რჩეულიშვილი, „ალავერდობა“, 2012: 280).

შებინდების მთელი ამ დიდებული პანორამის ცვალებადობის ჟამს ბუნება მარტო არ ყოფილ, მის გვრდით იდგა ადამიანი, უცქერდა, ხარობდა, ფიქრობდა, განიცდიდა, სევდაც ერეოდა და სიხარულიც. ბუნების უდიდესმა ზეგავლენამ აამაღლა, შეცვალა, დამუხტა, აამღერა იგი: „ბინდის ჩამოწოლასთან ერთად სევდა მოერია ციხის მაღალი ბურჯის თავზე მჯდარი ადამიანის თვალს. ის ცდილობდა ჩაჰყოლოდა ამ გრძნობას,

გარინდებულიყო მარტო ყოფნის ნირვანაში, მაგრამ ბუნება ამ დროს გაცილებით ძლიერი იყო ყველა ადამიანურ გრძნობაზე და პირველი ფოთლის შრილივით გაიფანტა ეს სევდა. იჯდა ბურჯის თავზე ამღერებული ბუნების ძალით, უმღეროდა მას, მღეროდა მთლიანად ჩაფლული საკუთარ ბგერებში, მხოლოდ სუნთქვასა და სუნთქვას შუა გრძნობდა, რომ სადღაც უცნობ ადგილას შორდებოდა მას და ეს შეგრძნება უცნაურად აკლებდა ბუნებისეულ მომხიბლეობას მის ხმას... საიდანღაც მოვარდნილმა სიამაყემ ააავსო ბურჯის თავზე მჯდომის გული. წეღანდელი სევდის მაგიერ გრძნობდა ახალი, იმავე ადამიანური ძალის შეგნებულ მორევას, რომელიც გამოყოფდა მას ამ წყვდიადიდან, მუდმივი შრიალიდან. ბურჯის თავზე მჯდარმა კაცმა ისევ დაიწყო სიმღერა. სიმღერამ ძალა შემატა მის სხეულს, წამოაყენა ფეხზე და მთელი ხმით იმღერა. მღეროდა კაცი თავისი ხმით, შრიალებდა ბუნება თავისი ხმით და მხოლოდ ახლა, შუაღამისას, დადგა მთლიანი, უნაპირო დღესასწაული ალაზნის ველზე“ (რჩეულიშვილი, „ალავერდობა“, 2012: 280-281-282).

თელავის ციხე-გალავანთა საუკუნოვან ბურჯზე მჯდარი, საქართველოს, კახეთის ბუნების სიმშვენიერით ანთებული, ამღერებული პიროვნება, რომელიც დროის ამ მონაკვეთში და საერთოდაც განასახიერებს ადამიანის ორგანულ კავშირს ბუნების ძალებთან არის თვით გურამ რჩეულიშვილი და მართლაც გენიოსი უნდა იყო კაცი, რომ ოცდახუთი წლის ასაკში დაწერო მსგავსი რამ და ბუნების დიდი სიახლოვით განებივრებულ ქართულ მხატრულ ლიტერატურას ამგვარ სიმაღლამდე ატანილი სათქმელი შესძინო, საუკუნოვან ტრადიციებში მიაგნო საკუთარ გზას, ერთმანეთს ბედნიერად შეუხამო დრადიციულიც და ნოვატორულიც.

„კახეთის ამ უზარმაზარ ველზე არ არის არც ერთი გოჯი, არ არის არც ერთი წერტილი, სადაც ადამიანის წარსულიდან დღემდე არ შეექმნას თავისი შრომით მატერიალურად თუ სულიერად ძლიერი და ღირსეული რამ, ტყის პირას გაგონილ დაუწერელ, ერთად მოვარდნილ სიმფონიასავით იღვრება თვალწინ ძველი ციხეები, ეკლესიები, ბურჯები და ამ ეპოქაში ნაშენი ხიდები და იბადება რაღაც ახალი,

სიცოცხლისუნარიანი. ის ფიქრობს, თუ საიდან მოდის ეს სიცოცხლისუნარინობა, და პასუხობს: ის თვითონ ჩემშია, ის თვითონ ხალხშია, მაგრამ აქ ზოგიერთი დაბნეულა და ვეღარ გრძნობენ ნამდვილ სიამოვნებას. სიამოვნებას შრომისა, რადგან ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკბობაში.

მის ფეხქვეშ დგას ალავერდი, სხვისი გრანდიოზული ვნებისგან შექმნილი, თვითონ კი... გუმბათის თავზე შერჩენილს ეღიმება, ისე უაზროდ ეჩვენება აქ დგომა. ქვევით იხედება და ღიმიმილი სიცივად იქცევა - დაბლა უკვე დაშლილა ხალხი და ის სულ მარტოა აქ, ამ საშიშ ადგილას. ალვნებში მწყობრად ინთება სინათლეები და ჩამოსულს მხოლოდ ცხენის მიგდებული, უაღვირო ლეში აგონებს თავის უნებურ, უაზრო, გაუმიზნავ, უნაყოფო სურვილს. სინათლეები კი სულ მატულობს და საოცარი ჰარმონიით ერევა ალაზნის მდუმარე ველს, რომელსაც ის ფეხით მიჰყვება ალვანისაკენ“(რჩეულიშვილი, „ალავერდობა“ 2012:295-296).

როგორც ცნობილია, ალავერდის სავანის შექმნა მიეწერება მეექვსე საუკუნის მოღვაწეს, ერთ-ერთ ასურელ მამა იოსებ ალავერდელს. მან ეს ღვაწლი უცნობი კახელი წარჩინებულის დახმარებით განასრულა. ახალი ტაძარი მეთერთმეტე საუკუნეში აღიმართა. საუკუნეების განმავლობაში რამდენჯერმე გადაკეთდა, თუმცა მისი პირვანდელი ფორმები შენარჩუნდა და ტაძარი დღესაც პირველქმნილი მშვენიერებით გამოირჩევა.

ალავერდი იმთავითვე კახეთის სულიერ ცენტრად, მისი მეფეების საძვალედ იქცა. ალავერდობასაც უძველესი ისტორია აქვს. შესაძლოა, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები (ლეკები და სხვები) მუსლიმები არ იყვნენ და ქართულ დღესასწაულის იზიარებდნენ.

სპარსელებმა ალავერდი მეჩვიდმეტე საუკუნეში ციხესიმაგრედ გადააკეთეს. ცნობილია ერთ-ერთი ალავერდობა, როცა კახელებმა დღესასწაულის მომიზეზებით ტაძარში შეაღწიეს, ფარულად იარაღი შეიტანეს, იქაური გარნიზონი ამოწყვიტეს და ფართომაშტაბიანი აჯანყება წამოიწყეს.

ალავერდის ტაძარი და სიმაგრე ბრძოლის ობიექტად იქცა 1659 წელსაც, როცა აჯანყებული ქართველები ერთდროულად დაესხნენ თავს ბახტრიონსა და ალავერდში განლაგებულ სპარსულ გარნიზონებს.

სწორედ ამიტომ, ალავერდი მწერლისთვის მარტოოდენ საკულტო-სარიტუალო, მით უფრო საღრეობო ადგილი კი არაა, არამედ ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მატარებელი რწმენის ტაძარია, როლისადმი მოკრძალებაც ყველას მართებს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. სწორედ ამიტომ გაატარა მწერალმა კრიტიკული მხილების ქარცეცხლში ალავერდის ტაძართან ღამენათევი უზნეო, რწმენადაცლილი საზოგადოება.

გურამ რჩეულიშვილს ადამიანის უპირველეს დანიშნულებად მოძრაობა, მოქმედება, აღმასვლა და ხალხისთვის, სამშობლოსთვის სარგებლობის მოტანა მიაჩნდა. შექმნა, შენება, მატება, მიღწეულით არდაკმაყოფილება, გურამის ნათელი ცხოვრების და, ბუნებრივია, მისი შემოქმედების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ამასვე უქადაგებდა ახალგაზრდა მწერალი ადამიანებს, უქადაგებდა შთამბეჭდავად, დამაფიქრებლად, ამავე დროს მკაცრად აკრიტიკებდა მათ, ვინც ჩამორჩებოდა ცხოვრების რიტმს, იჩენდა დაბნეულობას და ვეღარ გრძნობდა შემოქმედებითი შრომით მინიჭებულ ნამდვილ სიხარულს.

საზოგადოების სააქაო ცხოვრების საზრისი აუცილებლად გულისხმობს ქმედებას, მოძრაობას. მართებულად შენიშნავს მკვლევარი ამირან არაბული: „გურამ რჩეულიშვილი მთელი თავისი პიროვნული ხიბლით და უაღრესად თავისთავადი, მკვეთრად ინდივიდუალური მწერლური ნატურით ერის იმ მცირერიცხოვან შვილთა თანამოაზრე და თანამოსაქმეა, ვისთვისაც „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკბობაში“(არაბული,2011:79).

გურამ რჩეულიშვილს იზიდავდა შუასაუკუნოვანი ციხე-კოშკებითა და კლდოვანი მთებით შემოსალტული, ვაჟას დეკითა და ღვიით დაფარული, ზვიადაურისა თუ ალუდა ქეთელაურის ზღაპრული სახელებით განათებული თუშ-ფშავ-ხევსურეთი. მოთხრობაში

„სიკვდილი მთებში“ იგი დიდი სიყვარულითა და მხატვრის დაკვირვებით ძერწავდა მთიანი ხევსურეთის პირქუშ, კოლორიტულ, მხოლოდ ამ უძველესი კუთხისათვის დამახასიათებელ პეიზაჟებს: „ ... იქით ფრთიანი ფერდა და ნაოჭებში ჩამჯდარი ზვავები მოჩანდა... სადღაც, მთის წვერზე, მზის სხივი დაეცა, მერე ქვევით ჩაიპარა და ხეობიდან ნისლები ამოყარა. ნისლები დი ან პატარა ნაფლეთებად მიდიოდნენ ზევით, მერე ერთდებოდნენ და ისევ იშლებოდნენ, ხეობა ახლა რძისფერი გახდა... ნისლები ახლა სულ აიკრიფნენ, ზევით, ჭიუხების თავისკენ; წვერებიღა მოჩანდა მზეზე. ნისლი თხელი იყო, მზე შიგ ავილად ატანდა; კლდე შავი და ჟანგიანი ჩანდა. ახლა ხეობიდან ქულა წამოვიდა, ახლოსვე დაიშალა და ფერდას შეეფინა“ (რჩეულიშვილი, 2011: 237-239).

ახალგაზრდა მწერალი ღრმად იჭრება მხატვრობის სფეროში, მას ბევრი რამ აინტერესებს, მაგრამ მისთვის ამოსავალი წერტილი მაინც პატრიოტიზმია, ის ქართული სულისკვეთებაა, რამაც საუკუნეების ქარიშხლებს გაუძლო და რამაც შემოინახა ქართული სახე, ყველასაგან განსხვავებული და თვითმყოფადი ქართული ფენომენი(წერეთელი, 1984:236). იგი მომხრეა ყოველგვარი სიახლის შემოჭრისა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მისგან აღებულ იქნას ქართველი ხალხისათვის სასარგებლო თვისებები და კიდევ უფრო გარკვევით წარმოჩინდეს მსოფლიო სიმაღლეებისაკენ მიმავალი რთული გზები: „იყავით პატიოსანი! იარეთ სიონში, აღადგინეთ და მოხატეთ დანგრეული ქართული ეკლესიები, მისი კედლები თვითონ მოგცემენ ხატვის ახალი მანერის შერწყმის საშუალებას ქართულ ეროვნულ ძირთან“ (რჩეულიშვილი, 2012: 172).

თავი IV

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, როგორც ყველა რჩეული შემოქმედისთვის, მთავარი ღერძია გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებისათვის. მისი მოთხრობებში სათანადოდაა წარმოჩენილი სიცოცხლის ფენომენი. სიკვდილი აღიქმება, როგორც ახლის დასაწყისი, სხვა განზომილებაში. „ხშირად მინატრია ხოლმე ჩემთვის: ნეტავი მომკლა და ჩემს დაკრძალვას შორიდან მაყურებინა-მეთქი“. საკუთარ თავსაც დასცინის თითქოს ამგვარ ფიქრისთვის: „მაინც რა სულელია კაცი: ერთი ბედნიერება აქვს, რომ თავის სიკვდილს ვერა ნახავს და მაზეც კი დარდობს“ (რჩეულიშვილი, „ჩანაწერები“, 2012: 76-77).

მწერლის მეგობარი ნუგზარ წერეთელი იხსენებს: „1957 წლის დასაწყისში ადამიანის თავის ქალაც იშოვა სადღაც. ყველა მონაცემებით ის ახალგაზრდა ადამიანის თავის ქალა იყო, რადგან მხოლოდ ერთი კბილი აკლდა. ეს თავის ქალა სამუშაო ოთახში მაგიდაზე ედო და კითხვისას თუ ფიქრისას მას შეჰყურებდა, ცხოვრებისეულ საიდუმლოში ჩაწვდომას ლამობდა. საშინელი თავის ქალას დაჟინებული მზერა იმ დიდი, რთული კითხვების და დრამატული პრობლემების წინათქმასავით ან შესავალივით იყო, რომელიც

შემდგომ გურამის შესანიშნავ ნაწარმოებებში გაგრძელდა და თავის დროზე ყველა გააკვირვა, რისთვის და რატომ სჭირდებოდა ახალგაზრდა, ლამაზ, ჯანღონით სავსე ბიჭს ამდენი ეფიქრა სიკვდილ-სიცოცხლის ამოუხსნელ დილემაზე. მაშინ ძნელი იყო წარმოდგენა, რომ ეს პრობლემა გურამ რჩეულიშვილის საბედისწერო აღსასრულის ერთ-ერთი შემცვლელი და შემადგენელი ნაწილი იყო.

ზოგჯერ იტყოდა: ოცდაათ წლამდე თუ მივაღწიე, ბევრი რამის გაკეთებას შევძლებდი. მაინც რა იყო რა აწუხებდა, რას გრძნობდა, რას ფიქრობდა, რას განიცდიდა, რატომ არ სცილდებოდა ეს ფატალური წინათგრძნობა მოახლოებული აღსასრულისა?!.. ამის პასუხს მის დიდებულ ნაწარმოებებშიც ვეძებთ და მისი ხანმოკლე ლტოლვითა თუ ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებითაც ვიხსენებთ“ (წერეთელი, 1984: 144-155).

სიკვდილზე და თვითმკვლელობაზე ფიქრი, მათი განსჯა, ვარიაციები ყოფნა-არაყოფნის თემაზე ძალზე ხმიერ, ერთ უწყვეტ ექოდ გასდევს მწერლის პროზას, დღიურებს, ჩანაწერებს. „შენ არ იცი, რა არის სიკვდილის მოლოდინი - ათასჯერ უარესი, ვიდრე თვითონ სიკვდილი“ (რჩეულიშვილი, „პიესა ორიგინალური ბოლოსიტყვაობით და ანდერძით“ 2012: 42).

„სანამ ამბავი - სიკვდილი არ შემიძლია, უნდა ვწერო მასზე, როცა გამოილევა, თავს მოვიკლავ, ალბათ ეს იქნება ერთადერთი ამბავი, თანაც ყველაზე ღირსშესანიშნავი ჩემს ცხოვრებაში, რაზეც ვერ დავწერ“(რჩეულიშვილი, „ჩანაწერებიდან“ 2012: 128).

გურამის გმირი ან ზღვაში იხრჩობა ან მწვერვალთან ჭიდილისას იღუპება. ეს ორი სტიქიაა, რომელიც ძალზე უყვარდა გურამს, სადაც უამრავი საფრთხე ელოდა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მწერლური ჟინი, რომ იგი ჯიქურ ეგებებოდა საფრთხეს, ბეწვის ხიდზეც გადიოდა და საუკუნეობით გაუკვალავ ბილიკსაც აგნებდა. სიკვდილის პირისპირ შეხვედრამ იგი ვერ შეაშინა, ვერ დაიმონა, მწვერვალებთან ჭიდილიც ბოლომდე არ შეუწყვეტია. მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს გურამის ზუსტი პროტოტიპის ვაჟა ჯანდიერის მოსალოდნელი დაღუპვის ეპიზოდი მიუვალი მწვერვალის გასიპულ კედელზე: „სიბნელეში ხელი ვერაფერს მოჰკიდა და ჩამოცურდა. მერე უფსკრულში ჩაეკიდა... ახლა

იგრძნო ნამდვილი შიში. ასე დარჩენილს გაყინვით სიკვდილი ელოდა. როგორ არ უნდოდა ეს მომხდარიყო. მოაგონდა, რომ სულ ორიოდე თვის წინათ სიკვდილს ნატრობდა,აქ კი, როცა შეუძლია თვალის დახამხამებაში, ოდნავ გამოხსნას თოკი, მცირე ბიძგი და მორჩა - აქ ყველა კიდურებით, მთელი სულით შეებრძოლა სიკვდილს... ან როგორ იფიქრა მაშინ სიკვდილზე, როცა სიცოცხლე ასე ტკბილი ყოფილა. თვალებზე ცრემლი მოადგა, თავს კვლავ პირობა მისცა, მთაში აღარასოდეს წამოვალო. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ყინულზე გავიდა...“ (რჩეულიშვილი, „ასვლა“ 2011: 191-192).

მწერლისთვის არც წინასწარჭვრეტის, მომავლის ნისლიანი ლაბირინთების ამოცნობის, ბედისწერის უალტერნატივო განაჩენისა და გადაწყვეტილების უშეცდომოდ ამოკითხვის ზებუნებრივი უნარი ყოფილა უცხო: „...ისეთი წინათგრძნობა დამეუფლა, რომ მალე დავიღუპები“; „საერთოდ რა აზრი აქვს ცხოვრებას - სიცილი, ხარხარი - მე არ მეშინია. იცინი - მოკვდები, ტირიხარ - მოკვდები. მაშ, დავიხოცოთ თავები. არა, მარტო? ვინ იცის? ალბათ, იმიტომ, რომ ბუნებამ თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად მოიგონა სიკვდილი, ხოლო სიკვდილი რომ მეტ-ნაკლებად სასურველი იყოს - სიბერე, დარდი და ავადმყოფობა“; „ორი სურვილი მაქვს: ან მოვკვდე 45 წლამდე ან ღრმად - დასტოინად, წვერებითა და ჩიბუხით“; „და განა რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ, წამი იცხოვრებ თუ მილიონი წელი, უსასრულობისათვის ორივე ერთნაირად სასაცილოა“ (რჩეულიშვილი, „ჩანაწერებიდან“., 2012: 49-112-171).

ნუგზარ წერეთლის ერთი მოგონება მოგვითხრობს: „გურამმა იდეა წამოაყენა, სვეტიცხოველში შევიაროთო. ჩამოვუარეთ ფრესკებს და ხატებს, საფლავის ქვებზე ყველა წარწერა ხელახლა ამოვიკითხეთ. მერე გურამმა ერეკლეს სამარესთან დაიჩოქა, ეს ისე აუცილებელი რიტუალივით გააკეთა, რომ ჩვენც მივბაძეთ და ასე მუხლებზე დაჩოქილებმა შემოვუარეთ ჩვენი დიდი წინაპრების საფლავებს.

მოხუც კაცს გაღვიძებოდა, თავზე წამოგვდგომოდა და ნასიამოვნები სახით გვიყურებდა ახლად მოვლენილ ახალგაზრდა მორწმუნეებს, გურამმა მას ფული მისცა და

მღვდლის მოსაყვანად გააგზავნა. მოვიდა მაღალი, წარმოსადეგი მღვდელი. ეტყობა, გზაში მოხუცი ათჯერ მეტს მოუყვა, რადგან იგი კმაყოფილი და გაოცებული გვიცქერდა. მან დაიწყო პირჯვრის წერა, სახარებიდან ადგილების კითხვა, შემდეგ საცეცხლურიც გამოიტანა და თავზედაც შემოგვავლო, თან პირჯვარს გვსახავდა.

მერე დრომ მოატანა და ჩვენი მოღიავებული ტრანსპორტით წამოვედით. ქალაქში მშვიდობით დაბრუნებულს შეკითხვა დამებადა და გურამს ვკითხე, მღვდელი რად გინდოდა მეთქი? მერე შეიძლება მღვდლისთვის ფულის მიცემა დაგენანოთ და ჩემი პარაკლისი წინასწარ გადავიხადეო. ეს თითქოს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ სახე სერიოზული, მოწყენილი, ნაღვლიანიც ჰქონდა და მე მომეჩვენა, თუ უფრო სწორად, ახლა მეჩვენება, რომ იგი რაღაც ჩუმი დარდით სავსე სიმართლეს ამბობდა“(წერეთელი, 1984:1960).

სწორედ ამ საშინელი წინათგრძნობისა თუ გამახვილებული ალღოს წყალობით იყო გამოწვეული, ის გარემოება, რომ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით დადგა და სათანადო სიღრიმით გადაიჭრა კიდეც. მწერალი თითქმის ყველა ნაწარმოებში ღრმად ფილოსოფიურად მსჯელობს სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობაზე, მათ მარადიულ არსსა თუ მათ შორის არსებულ ზღვარზე.

აი, ზოგიერთი ასეთი წინასწარი ნაგრძნობივით მინიშნებული ადგილი:

„დიდხანს, დიდხანს ეგდო გურამი პირაღმა ზღვის ქვიშიან ნაპირზე“ (რჩეულიშვილი, „ირინა“ 1977: 62).

„როგორ, ჩემს გვერდით დაიხრჩო, ნეტავ მეც დავმხრჩვალიყავი, მაგრამ არ დავიხვრჩე“ (რჩეულიშვილი, „ზღვა არც თუ ისე ღელავდა“ 2011: 266).

„აუჩქარებლად მივედი მდინარესთან და წყალში ნელა შევედი. როცა ყელამდე მიწია წყალმა, მესიამოვნა; მერე წამიღო. ერთი-ორჯერ ხელი გავიქნიე და გრძნობა დავკარგე“(„ ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“ იქვე, 305).

„მთელი ერთი წელი მხოლოდ ლოდინი, სიკვდილის მოლოდინი აუტანელი იყო მისთვის, უკვე უნდოდა, რომ დასმოდა წერტილი ამ მოლოდინს, გინდ ეს ასჯერ უარესიც ყოფილიყო“ (რჩეულიშვილი, „მოლოდინი“ 1977: 146).

„ახლა კარგად ვგრძნობდი: სიკვდილს მე თვითონ მივუახლოვდი ერთი საფეხურით. ღამე აღარ მეძინა... თან მრცხვენოდა, უზომოდ ეგოისტი, უსინდისო მეჩვენებოდა თავი, რომ ჩემი სიკვდილი მადარდებდა“ (რჩეულიშვილი „ახლა მე ოცდახუთი წლის ვარ“ 2011: 311).

სიცოცხლის უდიდეს პრობლემას ეხება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ასვლა“, რომელშიც, მონაწილეობენ ვაჟა ჯანდიერი და კრავაი. მათთან არიან ჯემალ სვანი და სხვა მთამსვლელები, რომლებიც დონღუზ ორუნის მთაზე ასვლას ახორციელებენ. ტრავერსის დროს მთავარი პერსონაჟი, ვაჟა ჯანდიერი, სიცოცხლის საკითხზე მსჯელობს: „კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო, ან რა არის - მუდმივობა, - სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს: ყოველ შემთხვევაში მისი მარადიულობა ის წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა რომ თქვას, არცა კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ განსხვავდება გარდაცვლილისაგან“ (რჩეულიშვილი, 2011: 187).

სხეულის ენას მაღალი ფუნქციური დატვირთვა აქვს „შაშას რევოლუციაშიც“. ძაგანიას სიკვდილის სივრცულ-სხეულებრივი პორტრეტი მის სულში მიმდინარე მუდმივი კონვულსიებისა და ცხოვრებისეული შიშების გამოხატულებაა. ესაა ტრაგედია კაცისა, რომელსაც არ ასვენებს უკარო ოთახიდან დაკრზალვის შიში, ანუ ჩაკეტილი სივრცის, ამ სივრცეში სიკვდილისა და სიცოცლის შიში. შიშის ეს ღრმა და უჩვეულო ფსიქოლოგიური ხატი, გარდა იმისა, რომ პერსონაჟის მიერ საკუთარი გარემოს არაცნობიერი აღქმისა და შეფასების ნაყოფია, იმავდროულად, უძლიერესი სივრცული მეტაფორაა, რომელიც რჩეულიშვილის ტექსტის მრავალშრიან ფაქტურაზე მიგვითითებს. მასში არა მხოლოდ ძაგანიას ინდივიდუალური განცდაა სიმბოლიზებული, არამედ ეპოქალური შიშის ეგზისტენციალური ძირები, „ყოფიერების ჩაკეტილი წრის“ კონოტაციებიც ხმიანდება: „მე

გადავრჩი თავის მოკვლას, რომელთანაც მიმიყვანა შიშმა... მიხსნა ისევ შიშმა... საკმარისია, მე დავკარგო შიშის გრძნობა, რომ შევურიგდე, შევურიგდე იმას, რისთვისაც დიდი ხანია ვემზადები - ეს არის უმაღლეს ძალად სულის აღიარება და ეს ტენდენცია ძალიან ძლიერია ჩემში“. (კვაჭანტირაძე, „გურამ რჩეულიშვილის ტექსტი 50-იანი წლების რეალობის კონტექსტში“, 2014: 22).

მისი შინაგანი სიკეთე უტყუარი და ცხოვრებაში მრავალმხრივ განსხეულებრივი იყო, ფუტკრისა და ბაჭიის სიკვდილსაც კი ვერ იტანდა. გაიხსენეთ „ირინადან“ ყვავილის მოწყვეტის დროს ფუტკარმა რომ უკბინა: „რა ჩემი საქმე იყო ყვავილების კრეფვა“- გაუბრაზდა თავს... გული დაწყდა რომ ფუტკარი სადღაც მივარდნილში მოკვდა“. (რჩეულიშვილი, 1977: 45).

გავიხსენოთ მინიატურა „ტკივილი? -არა რაღაც გათავდა“. მშიერი ბაჭია ბალახს ეძებდა, თივა ან ყლორტი ენატრებოდა, ამ დროს მონადირემ დაუნდობლად ესროლა. მოკლა და შვილს აბგაში ჩაუგდო.

აქაც დიდი ადამიანური ტკივილით არის დანახული ცხოვრებისეული გულგრილობა. კაცი თავის შვილს უფრთხილდება, სხვისას კი (მართალია, ეს სხვა ცხოველია), დაუნდობლად კლავს პატარას და უმწეოს. ამ მინიატურაშიც საოცარი თანაგრძნობაა ყოველი სულდგმულისადმი.

მწერალი თაობათა ცვლისა და განახლების მუდმივ პროსესსა და ამ პროცესით მოგვრილ ბედნიერებაზე გვესაუბრება, რაც ასე რიგად სჭირდება ადამიანს არსებობისთვის. ბებია და ბაბუა, დედ-მამა, შვილები, - აი ყველა ინდივიდუალური ოჯახის ბუნებრივი შემადგენლობა. მოხუცები პატარა შვილიშვილების თვალებში თავიანთ უკვდავებასა და გზის გაგრძელებას ხედავენ, მაგრამ თაობა წისქვილის დოლაბს ჰგავს, რომელიც ბრუნავს და ამ ბრუნვასთან ერთად იცვლება დრო, თაობები. მოთხრობაში „მე ახლა ოცდახუთი წლის ვარ“ სწორედ ეს საკითხია დასმული და შესანიშნავად გადწყვეტილი. დაიხოცნენ ვალმოხდილი მოხუცები: „სახლში დავრჩით დედა, მამა და მე. ჯერ ბუნდოვნად, მერე აშკარად შემოიჭრა ჩემს გონებაში, რომ უფროსი თაობიდან ერთი

უკვე აღარ იყო. ახლა კარგად ვგრძნობდი, სიკვდილს მე თვითონ მივუახლოვდი ერთი საფეხურით“ (რჩეულიშვილი, 1977: 124).

შემდეგ ვაჟამ ცოლი შეირთო; მალე პატარა ბავშვი შეეძინა ოჯახს, ბებიის და ბაბუიის ადგილი დედ-მამა დაიკავა, ხოლო თვით მათი ადგილი ვაჟამ და მისმა მეუღლე კრავაიმ, „ჩვენს ოჯახში ისევ სამი თაობაა. მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“(რჩეულიშვილი, „მე ახლა ოცდახუთი წლის ვარ“, 1977: 125).

საინტერესო ესთეტიკური პრინციპითაა დაწერილი მოთხრობა „ქიტესა“: „ქიტესა იწვა და კვდებოდა. ტახტის ბოლოში შვილიშვილი თამაშობდა. სამფეხა სკამს მიათრევდა კედელთან, ზედ შედგებოდა და ჯაგნის ბოლოს ყურძნის მარცვალსა წყვეტდა. ქიტესა ხედავდა და ვერ უჯავრდებოდა ძალაგომოლეული. „ის მამაძაღლი მამამისი სადღაა“. - ბუზღუნებდა გუნებაში. გაიხსენა მისი რძალიც, - „თუ მიწვდა, ჩამოგლეჯს სულ“. უფრო მისუსტდა. ნელა დახუჭა ქუთუთოები. მოესმა: შვილიშვილი ტყაპუნით დაეცა ძირს და ატირდა.

ქიტესა იწვა და კვდებოდა. მოხუცდა. დროს სოფელში ქიტესათი ზომავდნენ. „მისი ხნისა ქვაც კი აღარ დაგორავს რიყეშიო“,- ამბობდნენ.

ასს გადასცდა. ერთ დროს ახალგაზრდა იყო. სიკვდილის წინ შეეცადა მოეგონებინა ის დრო, მოუნდა, თავი უფრო შესცოდებოდა. სადღაც გაქექა მეხსიერება, თავს ძალა დაატანა, მაგრამ სულ ნიჩაბი ელანდებოდა. ნიჩაბი და შავი მიწა, ან თიხნარი. ცოლიც მოაგონდა ბუნდოვნად, მაგრამ მასაც ნიჩაბი აეფარა... ნიჩაბი და მიწა. სულ მიუძლურდა, ახლა შვილიშვილი აღარ აწუხებდა, არც ნიჩაბი ფარავდა რაიმეს. იწვა და კვდებოდა“(რჩეულიშვილი, 1977: 252).

საოცარი სისწრაფით მონაცვლეობს მწერლისა თუ მომაკვდავი ქიტესას მიმქრალ ცნობიერებაში საკუთარი ცხოვრების არსებითი მოვლენები, ქიტესა კვლავ მიუბრუნდა უკანასკნელი წამის უკვე ჩვეულებრივ მოლოდინს. არაფერია მარტოდ დარჩენილი მოხუცის სიკვდილის მოლოდინში ამაღლებული, ტრაგიკულობით აღბეჭდილი რამ და,

მწერალიც, როგორც გულმართალი მთხრობელი ნანახისა, ჰყვება ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლის „პროზაულ“ მომენტს.

„ქიტესა იწვა და კვდებოდა. მერე მოკვდა. ზაფხული იყო. მესამე დღესვე გაუთხარეს საფლავი ვენახში, ბრტყელპირიანი ნიჩბით. ვენახი თიხნარზე ძლივსღა ხარობდა. შემდეგ ჩაადვენეს შიგ, იქვე მიაყარეს თიხა, გვამმა ადგილი დაიჭირა და მიწა მორჩა ზედმეტი. ისიც ზედმეტი დატოვეს. ცოტა შეალამაზეს და ისე. მერე შვილმა სადღაც ამოქექა გადატეხილი ბარის ტარი, ნატეხი შუაზე გააჯვარედინა და საფლავს დაუსო თავთან“(რჩეულიშვილი, „ქიტესა იწვა და კვდებოდა“, 2011: 135- 136).

მართალია, მიდიან მიდიან თაობები, მოხუცებიც კვდებიან, თითქოს ცარიელდება სამყარო, გულს ბზარავს დიდი დანაკარგი, რასაც მწარედ, მტკივნეულად განიცდის გურამი, მაგრამ იგი ხედავს და ჩვენც გვინერგავს რწმენას, რომ ირგვლივ ყველაფერი სავსეა ზღვარდაუდები, მარადიული, დაუშრეტელი სიცოცხლით და ეს ვეება ცხოვრებისეული ოპტიმიზმი კიდევ უფრო ძლიერსა და ზოგადკაცობრიულს ხდის მის ღრმაშინაარსიან, ჭეშმარიტი ტალანტით შექმნილ მოთხრობებსა თუ ნოველებს.

პატარა მინიატურაში „სადღაც ვიწროებში“ ჩამყუდროებულია უცნაური სევდა და ადამიანის წამიერი ცხოვრების უაზრობა, რაც ასე აკრთობს და ფიქრთა მოძალების იმპულსს აძლევს ჩვენს ცნობიერებას. რაოდენ ძუნწია მწერლის საღებავები მოვლენის ხატვის დროს, მაგარამ რაოდენ ორგანულია იგი იმ ტკივილის გამოსახატავად, რომელსაც არა და არ სჭირდება თვალისმომჭრელი ფერადოვნება. ოსტატურად შევყავვართ მწერალს მომხდარისა თუ წარსული წარმოსახვაში გამოძერწილი სიტუაციის შუაგულში.

„ნახირი აიზლაზნა ორღობეში. წებოვან ტალახში ქარავანი იფლობოდა. მერე აღარ იფლობდა. მთელი ღამე წვიმდა. გუბედ იქცა შარა. ტალახი გათხელდა, დილითაც წვიმდა. ნახირი ჩაუყვა ვიწროებს. თენდებოდა. დაღმართის ბოლოს დეკეული დადგა, მერე გუბეში პირწავარდნილ კაცს თავი დაუარა. სხვებმაც ზევიდან გადასერეს გზა. მენახირე ზედ წაადგა ძირს დაგდებულს, ნელა გადმოაბრუნა და ჩაიჩოქა. „დოზაანაანთ

ვანოა, - გაიფიქრა მან - არ მოიშალა ლოთობა, ნეტა მკვდარია?“ პერანგი ჩაუხია და გულზე დაადო ხელი. გული არ სცემდა. საწყალი ღმერთმა შეუნდოს, - თქვა მენახირემ და ვიწროებიდან უკან ავიდა შარაზე. ვანო სახლში აასვენეს. ცოლი ჩუმად ქვითინებდა; მერე თადაგირს შეუდგა. გარეთ გლეხებს კახური ქუდები ხელში ეჭირათ. - რა მოუვიდა, კაცო, ვანოს? - იკითხა ქიტესამ. - ლოთობდა, ხო იცი, - თქვა კოლამ. - ვიცი, მაშა. ჰოდა, მთვრალი პირდაღმა დაცემულა და ვერ გადმობრუნებულა. - სადა კაცო? - სადღაც ვიწროებში (რჩეულიშვილი, „სადღაც ვიწროებში“, 2011: 93-94).

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემას ეხმიანება გურამ რჩეულიშვილის საინტერესო მოთხრობა „ნელი ტანგო“, რომლის დაწერის მიზანზეც ერთ-ერთ ჩანაწერში თავად ავტორი საუბრობს: „დღემდეც კი, წარმოიდგინეთ, მხვდება ხალხი, რომელიც მეკითხება - რა მიზნით დავწერე „ნელი ტანგო“ და ხომ სწორია ის, რომ სიკვდილი არაფერია და ცხოვრება თავისი გზით გრძელდება. ეს არა ახალი ჭეშმარიტება ცხოვრების თავისი გზით გაგრძელების შესახებ, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ ნაწარმოებში ეს ამბავი იმიტომ კი არ არის მოცემული, რომ სიკვდილი არაფერია, არამედ იმიტომ, რომ ავტორისათვის უზარმაზარი ტრაგედიაა თავისთავად სიკვდილი და ის გარდაუვალი ფაქტი, რომ მაშინვე, ახლო წამშიც კი, ცხოვრება თავისი გზით გრძელდება. ეს ჩემი განწყობა, როგორც ეტყობა, ნაწარმოების სუსტი, მხატრულობის გამო, შიგ არა ჩანს - ეს ერთი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მე მხვდება როგორც გადმომღერებელს ევროპული თუ ამერიკული „დაკარგული თაობის“ მოტივებისა. სასურველი იქნებოდა, რომ ჩემმა თეორიულმა ნაწილმა, მხატვრულთან კავშირში, გააქარწყლოს ეს შეხედულება და ჩვენ (საზოგადოებამ, თქვენ და მე) ერთმანეთის პირდაპირ, გულწრფელად დავუწყოთ თვალებში ყურება (რჩეულიშვილი,2011:361)

„ნელი ტანგოს“ მოკლე შინაარსი ასეთია: ხარკოველი ცოლ-ქმარი ლიდა და ივანე შვილთან, იგორთან ერთად სოხუმში ისვენებდა. იგორს ერთხელ ზღვიდან გამოსვლა შეაგვიანდა. შორს გასული ბიჭუნას თავი ნაპირიდან ძლივს მოჩანდა. ლიდამ, თითქოს

რაღაც იგრძნო, წყალში შეცურა. ივანემ კი ამ ამბავს თავდაპირველად ყურადღება არ მიაქცია. ქარმა რომ წამოუბერა და ტალღები ააქოჩრა, შეამჩნია, რომ ლიდას თავიც იცნო, დედა შვილის მიმართულებით მიცურადა. დაეჭვდა („ნეტავ რატომ არ ბრუნდება უკან, მთელი საათია, რაც შესულია“). (რჩეულიშვილი, 2011: 169) თვითონაც ზღვაში შევიდა. ცოლ-შვილამდე დაახლოებით რვაასი მეტრი იცურა. საშინელებას გადააწყდა: ძალაგამოლეულ იგორს ძარღვები ესკვნებოდა, დედას აქამდე, მთელი სამასი მეტრი მანძილზე, ეთრია, ახლა იმასაც ძალა ეცლებოდა, ღელვაც მატულობდა. ივანემ ცოლ-შვილთან ერთად სამშვიდობოს „წყლამდე“ მოაღწია. მაშველებმა სამივე გამოიყვანეს, თუმცა ივანე ვეღარ გადაარჩინეს. მას ნაპირთან გული გაუსკდა.

ლიდა, ივანე და იგორი დამსვენებელია ყურადღების ცენტრში ადრეც იმყოფებოდნენ („შეხედეთ, კაცო, მთელი დღე რომ წყალში იყვნენ, არ მოსწყინდებათ!“), (რჩეულიშვილი, 2011: 170) ტრაგიკული ამბის შემდეგ პატივისცემის გრძნობამ, უპირველეს ყოვლისა, ივანეს მიმართ, იმატა, კეფაშიც კი, სადაც დამსენებლები ცეკვავდნენ და ცუდ ამბებზე არ ლაპარაკობდნენ, იმ საღამოს ივანეს ახსენებდნენ.

პლაჟის საზოგადობა ერთფეროვანია, მოშვებული. მათი ინტერესის სფერო მხოლოდ მზე და ზღვაა. დამსვენებლები ერთმანეთს ზერელედ იცნობენ, შემთხვევითი პარტნიორების ან შემთხვევითი შთაბეჭდილებების საფუძველზე, თუმცა ამ საზოგადოების გამოფხიზლების წინაპირობად იქცევა მათ თვალწინ გადაშლილი საოცარი სურათი სიცოცხლისათვის მებრძოლი ადამიანისა, რომელიც სიკვდილის გასაწბილებლად ცდილობს ზღვის ტალღებს გამოსტაცოს საკუთარი სისხლი და ხორცი.

წყვილი, რომელიც ფინალში მასას გამოეყო, საზოგადოების მგრძნობიარე ნერვი და მისი უკეთესი ნაწილია. თითოეული ადამიანი დანახულის, აღქმულის, განცდილის ჯამი და განვითარებაა. ნელი ტანგოს მოცეკვავეთა ცნობიერება შეივსო სახით, რომელიც ვაჟს აიძულებს, უკეთესი იყოს, ხოლო გოგონას, უკეთესი მოწონდეს.

მკვლევარი წოწონავა შენიშნავს: „ადამიანები უცებ არ იცვლებიან. სულიერი ენერგია მათში წვეთ-წვეთად გროვდება. ტანგოს მოცეკვავებმა, დამსვენებელთა მთელმა

საზოგადოებამ ემოცია მიიღო. ეს საზოგადოება შეშინდა და აღფრთოვანდა, დათბა, რადგან ადამიანი სახეების ჯამია, მით უფრო ლამაზია, რაც უფრო მეტ ლამაზ, ნათელ, თავდადებულ სახელს ატარებს. მოთხრობა პასუხობს ცნობილ ქართულ კითხვას: „სად მიდის სილამაზე, როცა იგი კვდება?“ სილამაზე ადამიანებში ნაწილდება და მათ სულიერ ენერგიად იქცევა“ (წოწონავა, 2008:12).

შთამაგონებელი ძალითაა დახატული სიკვდილისა და სიცოცხლის განუწყვეტელი შეჯახება „მუნჯ ახმედსა და სიცოცხლეში“: ცოლი გაექცა, ბავში მკვდარი დაებადა, მამაც გარდაეცვალა ახმედს. მისი ცხოვრების „... სიმყუდროვე დაარღვია სიკვდილმა - ის სიკვდილი ეკუთვნოდა ბავშვს, მეორედ სიმყუდროვე ისევ სიკვდილმა დაარღვია- ქოხის უკან დაასაფლავეს ჯანბეგი“ (რჩეულიშვილი, 2011: 324).

მარტო დარჩენილი მუნჯი ვერ დასცა ცხოვრების გამანადგურებელმა დარტყმამ. მან იგრძნო, რომ სიცოცხლე არის ყველაზე დიდი სიკეთე, რაც კი ადამიანს ეძლევა, მისი დროებითობაც ტკბილია და კანონზომიერი აუცილებლობით განპირობებული. სიცოცხლის მთლიანობა მაინც არასოდეს ირღვევა, ადგილი არასოდეს რჩება ცარიელი.

გურამ რჩეულიშვილს მიაჩნდა, რომ: „კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო... ან რა არის მუდმივობა,- სისულელე. ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს: ყოველ შემთხვევაში მისი მარადიულობა ის წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა რომ თქვას, არცა კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ განსხვავდება გარდაცვლილისგან“ (რჩეულიშვილი, „ასვლა“ 2011: 187).

გურამ გეგეშიძე შესანიშნავად წერდა გურამ რჩეულიშვილის ხასიათის ამ მაღალადამიანური, ვაუკაცური თვისების შესახებ: „გურამ რჩეულიშვილი დიდი ოპტიმისტი, ხალისიანი და იმედიანი კაცი იყო. ის იყო ტრაგიკული მსოფლშეგრძნების ადამიანი, მაგრამ მისი მსოფლმხედველობა მომავლის ნათელი რწმენით და სიცოცხლის სიყვარულით იყო გაბრწყინებული. მართალია, მოახლოებული სიკვდილის წინათგრძნობა ჰქონდა, ამაზე წერდა თავის დღიურში, მაგრამ სიხალისე და სიცოცხლის სიყვარული არასოდეს დაუკარგავს. ის უცნაური და თითქმის დაუჯერებელი

წინათგრძნობა კი რომელიც, საუბედუროდ, ახდა, ადასტურებს მის უღრმეს ინტუიციას და სწორედ ამიტომ ჩვენ მას უნდა ვენდოთ ყველაფერში. გ. რჩეულისვილის ნაწერებში სარკესავით ირეკლება მისი სული და ყოველივე, რაც ამ სარკეში ჩანს, არის უტყური, ნამდვილი, ჭეშმარიტი. ეს მან თავისი მართალი სიცოცხლით და სიკვდილით დაამტკიცა“ (გეგეშიძე, 1969: 7).

მართლია, გურამის ნაწარმოებთა გმირების უმეტესობა იღუპება. იღუპება თორმეტი ძმა ხორჯოლანი „დევების ცეკვაში“, გურამ გურამი „კა და კოში“, ნელი ტანგოს გმირი, მოხუცი მონადირე პირველივე მოთხრობაში, ძაგანია „შაშას რევოლუციაში“ და სხვა. მაგრამ გმირის სიკდილის დროს იბადება შეგრძნება, რომ „არაფრისათვის არაფერი არ ხდება, თვით არასაჭირო სიკვდილიც კი“ (რჩეულიშვილი, „იულონიდან“ 2012: 267). გმრის ფიზიკური დაღუპვა ნაწარმოების სიუჟეტში, რაღაცა ძალით, ახალი გზის დასაწყისად გადაიქცევა ხოლმე სხვა გმირებისთვის.

თავი V

გასიმბოლოებული სახე-პასაჟები

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რამდენიმე სახე-სიმბოლო: ცხენი, მთა და ზღვა. მათი ჯეროვანი განხილვა მწერლის მოთხრობათა ძირითადი მიზანდასახულობის გასარკვევად აუცილებელია.

ქართულ ლიტერატურაში თავისუფლებისადმი ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან სწრაფვას ყველაზე უკეთ ცხენი გამოხატავდა. მათი მოვალეობა ქარზე უსწრაფესად სირბილი, ზღვაზე გავლა თუ მთიდან მთაზე გადაფრენა იყო: „გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი...“ (ნ. ბარათაშვილი). ლიტერატურაში მათგან შეუძლებელს არავინ ითხოვდა, თითქმის სრულიად საკმარისი იყო, რომ ცხენს თავისუფლების იდეა ეტარებინა და პატრონის სამსახური და ერთგულება შესძლებოდა. გავისხენოთ ისინი: ტარიელის შავი, ტატოს მერანი, არსენას ლურჯა, ალუდას ფრთიანი, გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ ... დარბაისელი, დარდიმნდა, სალამურა, ერთგული, თვირთვილა....

ცხენთაგან ეს უკანასკნელნი - სალამურა, ერთგული და თვირთვილა გურამ რჩეულიშვილს ეკუთვნის. შეიძლება ითქვას, ალბათ, არც ერთ ცხენს არ უტარებია ლიტერატურაში იმდენი იდეოლოგიური ტვირთი, რამდენიც გურამ რჩეულიშვილის ცხენებმა ათრიეს.

„ცხენი და მასთან დაკავშირებული ყველა მხატრული სახე საუცხოოდ ერგება გურამ რჩეულიშვილის ბუნებას, მის ხასიათსა და სულიერ მდგომარეობას. ვინ იცის, ასე

თავდაუზოგავად რომ არ ეჭენებინა თავისი მერნები, იქნებ სანახევროდაც ვერც მოესწრო იმ სურვილების განხორიელება ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლისთანავე რომ დაისახა მიზნად ავტორმა“(არგანაშვილი, 2014: 4).

გურამ რჩეულიშვილის ცხენებისადმი ტრფიალი ყველასთვის ცნობილი იყო. მწერლის და, მარინე რჩეულიშვილი, იგონებს, რომ გურამის პირველ ცხენს სალამურა ერქვა. იგი იხსენებს მამის მონაყოლს, რომელშიც კარგად ჩანს გურამის ცხენებისადმი დამოკიდებულება: „გურამი ცხენზე პირველად ალვანში შევსვი. მაშინ, როდესაც 9-10 წლისა იყო. კარგი ცხენები მყავდა. განსაკუთრებით კი თვირთვილა და სალამურა. ბავშვობიდანვე გურამი მეტისმეტად გამბედავი იყო, ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ პირველი შეჯდომისთანავე გააჭენა ისეთი ფიცხი ცხენები როგორებიც იყვნენ სალამურა და თვირთვილა, ცხენით იმოგზაურა გურამმა ჩემთან ერთად დაღესტნის და თუშეთის მთების სამივე ხეობაში, გურამი კლდეზე ცხენს დააჭენებდა. გურამი ზოგჯერ სანადიროდ დამყავდა“ (დურმიშიძე, 1985: 281).

მკითხველს ყოველთვის აოცებდა გურამის ასაკისათვის შეუფერებელი ცხოვრებისეული სიბრძნე და ადამიანური გამოცდილება. ამ მოგონებაში კარგად იკითხება, რომ ეს გამოცდილება ლოგიკური შედეგია გურამის ცხოვრების წესისა. იმ ასაკში, როდესაც ბავშვები ბუნების აღქმას იწყებენ, გურამი უკვე საგანთა ურთიერთდამოკიდებულების მიზეზებს არკვევდა. ამავდროულად, გურამისთვის უმთავრესი ყოველთვის მხოლოდ პირადი განცდა იყო. ამიტომ სულაც არ გაგვიკვირდება, რომ მკითხველმა სალამურასა და თვირთვილაში თვითონ ავტორის, ცხენივით გაჭენებული გურამის ხასიათი შენიშნოს. მარინე რჩეულიშვილი წერს: „გურამის მიერ 1956 წლის შემოდგომაზე დაწერილი ცხენების ციკლის მოთხრობათა ლირიკული სუბიექტი არის ცხენი. ვისაც 18-19 წლის ან თუნდაც 20-22 წლის გურამისთვის მოუკრავს თვალი და სალაპარაკოდ ცოტა ხანს მაინც გაჩერებულა, ადვილად ამოიცნობდა მასში სალამურასა და თვირთილას“(რჩეულიშვილი, 2011: 3-4). გურამის ნაწერებშიც იგრძნობა მოძრაობა, რომელსაც სიცოცხელე მართავს და განაგებს. „თვირთვილა“ ბრწყინვალე ნოველაა,

რომელშიაც ხევსურული დოღია ნაჩვენები. გამარჯვებულ მინდიას ხევისბერი რქით ასმევენ არაყს. ეს კი უფლებას აძლევს მას სრული თავისუფლება მისცეს ცხენის სადავეს, კოსმიური სისწრაფით უკან მოიტოვოს მედოღენი. თვირთვილა კი მიფრინავს და თითქოს მიწას მხოლოდ იმიტომ ეხება, რომ ახალი ძალა მოიკრიბოს. კიდევ ერგო გამარჯვება მინდიას, მაგრამ მისი დაღუპვა ტრაგიკულად ამთავრებს დოღის ფინალს. თვირთვილა კი იდგა ცხედართან და კბილებით ლაგამს ხრავდა. ამ ნოველაში სიკვდილ-სიცოცხლის, ძიების, მიღწევების, გამარჯვებისა და ნებისმიერი დაბრკოლებისადმი ქედუხრელობის პრობლემაა დასმული.

„სალამურა“ ისეთი ნოველაა, რომელიც ჭეშმარიტად ააცრემლებს ყველა მკითხველს. „სალამურას“ და „თვირთვილას“ ერთმანეთთან ახლოს არიან, მაგრამ გადაწყვეტის მხრივ მათ არაფერი აქვთ საერთო. თვირთვილა უძლიერესი ცხენია. მინდიას სიკვდილი ამ თავზეხელაღებული მხედრის ბრალია, ვიდრე თვირთვილასი. სალამურა კი ველური ბუნების ცხენია, რომელიც თითქმის მოუთვინიერებელი დარჩა ბოლომდე. ცხენების ჯოგში გამორჩეული, იგი საბედისწერო ვნებათაღელვიითაა ატაცებული. ბუნების უზადო მშვენიერებისათვის ნაქანდაკარი თითქოს გრძნობს გამორჩეულ ერთადერთობას და არაფერს და არავის არ ეპუება. „სალამურა ადგილზე ურტყამდა ფლოქვებს. ბაკში შეყრილი ცხენები შფოთავდნენ. ქარმა ღრუბლები ისე აცივდა. სალამურამ განიერი მკერდით გააპო ჯოგი და ღობესთან მივიდა. ფართო ნესტოებიდან ორთქლის ნაკადს უშვებდა. ყურები დაცქვიტა, მერე გამოიჩინა. მაღალ, აპრეხილ კისერზე გრძელი ფაფარი გადაიყარა და თავისთვის ჩაიხიხვინა. კისერი კიდევ უფრო გაიგრძელა, წვრილ, გრძელ ფეხებზე შემდგარი ტანი დაეძება. ისე ჩაიხიხვინა, ოღონდ უფრო ჩუმად. მთელი ტანი აუძაგძაგდა. მხოლოდ დიდი, შავი თვალები ჰქონდა წყლიანი და მოწყენილი, სამი წლის ულაყს არა სცოდა“(რჩეულიშვილი, 1977: 200).

ასე მიირწეოდნენ ჯოგის ცხოვრებას მეტნაკლებად შეჩვეული სალამურას ცხოვრების „ცისფერი“ დღეები. მაგრამ, ერთხელ თითქოს რაღაც ცვლილება მოხდა. ცხენების ჯოგი უცნობ გზას გადაუყენეს. შიმშილმა თუ განუცდელი მოვლენებით

აღძრულმა შიშმა ერთგვარად შეაცბუნეს პასტორალურ გარემოსთან შეჩვეული სალამურა. მაგრამ, მაშინ კი, როდესაც იგი რკინიგზის ლიანდაგებზე მდგარ, საბარგო როდანში აიყვანეს და ნესტოებითა და კისრით მიაბეს, ხოლო წასვლისას მატარებლის შემზარავი კივილით რაღაც გამაოგნებელი აუწყეს, გუმანმა უგრძნო, რომ მთავრდებოდა მისთვის ასე ახლობელი და აწ უკვე განუმეორებელი ცხოვრების ტკბილი დღეები და გაიბრძოლა, რათა მთელი სხეულით ეგრძნო, რაღაც ისეთი რაც წარსულთან დააბრუნებდა, თუნდაც წამიერ თავისუფლებას აგრძნობინებდა: „ძლივს დააწყნარეს გაგიჟებული, მთელი რამე თრთოდა. ნესტოები კიდევ უფრო გაუფართოვდა. ლაგამაომდებული მარტო ფრუტუნსა ახერხებდა.

მხოლოდ დიდი შავი თალები ჰქონდა მოწყენილი და წყლიანი. თელი ღამე ესმოდა ერთქმავლის კივილი, ბორბლების რახრახი... ძლივს გათენდა. მესამე დილას, რომელიღაც სადგურზე ჩამოიყვანეს. იგრძნო თუ არა მიწა, გახელდა, ისე დაიწყო ყალყზე დგომა. ოთხ კაცს ძლივს ეჭირა გამხეცებული. სხვები აღტაცებულნი უყურებდნენ. ცოტა მოიწყინა“(რჩეულიშვილი, 1977: 203).

შემდეგ ერთი, მისთვის სრულიად უცხო კაცი მივიდა მასთან და შეეცადა, მოფერებოდა. შეჩვეოდა, დაახოვებოდა. ქალაქში ჩაიყვანეს სალამურა, თავლაში მიიყვანეს. სადაც მასთან ერთად ბევრი სხვა ცხენიც ება. რამოდენიმე ხნის შემდეგ იმავე კაცმა ახალი უნაგირი დაადგა. თვითონაც ახალ, წითელ ხალათში გამოეწყო საოცრად დინამიურია ის სურათი, რომლის მნახველიც შეუძლებელია არ აღფრთოვანდეს მოვლენათა განვითარების ძალითა და შინაგანი დრამატიზმით.

„გარეთ სხვა ცხენებიც იცდიდნენ. ყველასთან თითო კაცი იდგა. მხედარი სალამურას ზურგზე მოაჯდა და მოედანზე მდგარ სხვა ცხენებთან მიიყვანა. გარშემო სკამებზე მჯდარი ხალხი გუგუნებდა. გაისმა სასტვენის ხმა, დროშა ჩამოიქნიეს და სალამურა ადგილს მოსწყდა: უნდოდა ყველაზე წინ გავარდნა, მაგრამ მხედარი არ უშვებდა. სურვილისგან ოფლში გაიღვარა. სამი წრე ასე ირბინა. მერე კაცმა ლაგამი მიუშვა და სალამურა გაქანდა, უცებ გაასწრო სხვებს.

ოთხი წრე ირბინა ასე. მაგრამ სურვილი სულ უფრო ემატებოდა. ოფლიც შეაშრა თითქოს. საცა ის გაიქროლებდა, ტაშის გრიალი და ყვირილი ისმოდა. სალამურას კისერი წინ ჰქონდა წაწეული, პატარა, ლამაზი თავით ჰკვეთავდა ჰაერს, წვრილი, ღონიერი ფეხებით უზარმაზარ, სწრაფ, ერთდროულად ნახტომებს აკეთებდა. ხშირი ფაფარი ჰაერში გაეშალა.

მხოლოდ თვალები ჰქონდა ძველებურად წყლიანი და მოწყენილი. მრგვალი მოედანი ერთ ადგილას წყდებოდა, იქაც ხალხი იდგა ერთი წლის გახედნილ ულაყ უზომოდ მოუნდა ტრამალებში ნავარდი. კიდევ უფრო სწრაფად მოუნდა ჭენება და მთლიანად დაკარგა შეგრძნება. უცებ მოსხლეტით გადახტა გვერდზე, ხალხს თავზე გადაევლო და გაუჩინარდა. ძირს დაგდებული მხედარი მოედანზე დარჩა.

ქუჩაში გავარდნილმა მისკენ მიმავალი მანქანა დაინახა: შეეშინდა, დაფრთხა, დაუფიქრებლად გადაეშვა დაბალი ხიდიდან“(რჩეულშვილი, 1977: 205-206).

ეს იყო სალამურას დაუდეგარი სისხლის უკანასკნელი ყივილი თავისუფლების „ულმობელი“ ამბოხი რამდენიმე ხნის შემდეგ მას ყიდიან, როგორც სატვირთო ცხენს: წინა ფეხები დამტვრეული ჰქონდა.

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება ძირითადად ორ გეოგრაფიულ სიდიდეს - მთასა და ზღვას შუა მიმოიქცევა. ვერავის წარმოედგინა დღედაღამ საწერ მაგიდასთან განმარტოებული გურამ რჩეულიშვილი („არასდროს არ მინახავს მაგიდასთან მჯდომი, სულ დადიოდა, ხან მთაში, ხან ზღვაზე“, - აღნიშნავს ერლომ ახვლედიანი); მწერლისათვის მთა თუ ზღვა მხოლოდ დროს გასატარებელი ადგილი არასოდეს ყოფილა. ეს იყო დიდი ქალაქის ხმაურის, ბობოქარი ცხოვრებისგან, დროებით გარიდების საშუალება, რომ უფრო მეტი ნაყოფიერებით ემუშავა, უშუალოდ შერწყმოდა ბუნების სიკეთეს, ლაღად და თავისუფლად ეცხოვრა სწორედ ბუნების შვილივით.

1958 წლის მაისის დღიურებიდან: „ ვდგავარ მაღალ ნაპირზე, წინ ზღვა. მაცვია შავი კოსტუმი, თავს ფორმაში ვგრძნობ. ენერგია, ძალა. ზღვა ღელავს. ო, ზღვაო, რამდენი საწერი მაქვს. ზღვა და ზღვა ძალა“ (რჩეულიშვილი, „ჩანაწერებიდან) 2012: 137).

მთა და ზღვა, პირველი ცეცხლის წამკიდებელია, ხოლო მეორე - მისი გამნელებელი. „ის უყურებდა მისთვის უცხო სიკვდილს, რომელიც მთებს შორის იწვა უმოძრაოდ“ (რჩეულიშვილი, „სიკვდილი მთებში“ 2011: 243); „ახმედი უმოძრაოდ იჯდა, ვერ აიძულა თავი, მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც იწვა სიკვდილი - პატარა, მაგრამ საშიში და უცნობი“ (რჩეულიშვილი, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ 2011: 319).

სწორედ მთისა და ზღვის ფონზე, მათთან კავშირის კონტექსტში იძენს სიკვდილი კონტურულ სიმკვეთრეს, მკაფიო კონკრეტულობას; მწვანით შემოსილი ყვავილიანი ბუნებისა და გაუგებარ ენაზე მოშრიალე მარილიანი წყლის წიაღში ცხადდება და საჩინოვდება სასრული ადამიანური არსებობის აბსურდულობა და მყიფე, ეფემერული ბუნება (არაბული, 2014: 84).

„თითქოს ხელი მოვკიდე სიკვდილს“, - წერია დრამატულ რომანში „იულონი“. იქვეა ამგვარი დიალოგი:

„- ხომ გახსოვს ზღვა?

- არ მახსოვს ზღვა“ (რჩეულიშვილი, 2012: 196).

გურამ რჩეულიშვილის გმირებისთვის ისევე თანამდევია ზღვა, როგორც სიკვდილი.

ძნელია იმის თქმა რომელი ერჩია უფრო მეტად - ზღვა თუ მთა, ის კი ცხადია, რომ მათ გარეშე ყოფნა წამითაც ვერ წარმოედგინა. მთა და ზღვა ორივე მოულოდნელ ხიფათთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ორ სტიქიას. მთაზე, მთის მწვერვალზე ასვლა და იქიდან „ღმერთთან ლაპარაკი“ (ვაჟა) ერთეულთა ხვედრია; მთა, თავისი კონფიგურაციით, ცისა და მიწის მედიუმია; მთა, ამასთან, სულიერი განწმენდის, შინაგანი ამაღლების ადგილია; ერთია ფიზიკური მთა, ხელშესახებად ცხადი და მზერით აღსაქმელი, ხოლო მეორეა ის, რომელიც შემოქმედების არსებაში, მის განცდასა და გამოცდილებაში აღმართულა და საიდანაც დაბლა ჩამოსვლა-ჩამონაცვლება, არცთუ იშვიათად, დაცემისა პარადიგმად გაიაზრება.

მთის სიმბოლიკის განსაზღვრისას აუცილებელია გავიხსენოთ მოთხრობა „ასვლა“, რომელშიც ძლიერი პიროვნებები მოქმედებენ, მათ საასპერააზოდ საუკეთესო გარემოც აქვს შექმნილი. ეს არის მთის მკაცრი, მიმზიდველი, ხშირად ვერაგი ბუნება, სადაც მძიმე გამოცდა ელის ყველა ადამიანს: „შორს, ქვევით მზისგან განათებული ბაქსანის ხეობა გამოჩნდა, ზევით კი მუდმივი თოვლის ზვავებსა და უზარმაზარ ყინულის ლოლუებს მოეკიდებნათ ფეხი. დონღუზ-ორუნის ჩრდილოეთი ფერდა, საიდანაც უნდა ასულიყვნენ, უმეტესად პიტალო იყო. აქ თოვლი ვერ იკიდებს ფეხს“ (რჩეულიშვილი, 2011: 176).

სწორედ იმ კედელზე ადიან გურამის გმირები, პროტოტიპები, რადგან ყველა დიდი მწერლის მსგავსად გურამს სჯეროდა ადამიანისა. მთის მკაცრი ბუნებაც, ჩემი აზრით, უტეხი და უდრეკი ხასიათების გამოსაძერწ ერთ-ერთ მასალად სჭირდებოდა, მკვეთრ საღებავად მიაჩნდა, რომლის გარეშეც სურათი დასრულებულ ქმნილებად ვერ ჩაითვლებოდა.

მთის ხატი, მთური ლანდშაფტი, მაღლობთა პეიზაჟი და პანორამა გურამ რჩეულიშვილის მხატრულ ნააზრევში იმდენადაა ღირებული და ღირსი ყურადღებისა, რამდენადაც ის მწერლის გმირთა შეგრძნებებში ფასობს: „კურელა უყურებდა ცოლს დ ფიქრობდა: რა კარგია მთაში!...“; „ - წარმომიდგენია, რა სიამოვნებაა ჭენება მთაში“, - თქვა ქალმა...“ (რჩეულიშვილი, 2011 237).

მთა, ერთსა და იმავე დროს, დამნდობიცაა და გამმეტებელიც. მისთვის, ვინც ალღოს აუღებს, შეიცნობს და გაითავისებს, კარს გახსნის და თავის იდუმალ მღვიმეებში საგულდაგულოდ გადანახულ საგანძურს გამოაჩენს... მწერლისთვის მთა მხატრული სამყაროს ერთ ყველაზე რომანტიკულ ფონს წარმოადგენს. თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მწერლის თხზულებების პერსონაჟთა უმრავლესობა სოფლის ან მთების ღვიძლი შვილები არიან. ბევრი მათგანი არქაულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მაგალითად, პატარა მოთხრობაში „პაპა გოგოთური“ მთავარ პერსონაჟს - პაპა გოგოთურს წარმოდგენაც არა აქვს რა არის ქალაქი, მატარებელი, ან პროსპექტზე მოსეირნე ადამიანთა ულეველი ნაკადი. მისი მეობა ღრმად უკავშირდება ჩამორღვეულ

კოშკებს, ხატებს, მთებს, ზვავებს და წინაპართა ულეველ ლეგენდებს. ამ მთების მეტი არაფერი მინახავს, ეუბნება იგი ახალგაზრდა ალუდას, შემდეგ გვერდზე ბრუნდება და იძინებს. როგორც მუნჯი ახმედისათვის ზღვა, ისე პაპა გოგოთურისთვის მთა არის ყველაფერი, რომლის გარეშეც სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია მოხუცს. მთა იგივეა მისთვის, რაც თევზისთვის წყალი. თუ პაპა გოგოთურის ასაკს გავითვალისწინებთ, მოხუცს ნამდვილად ეპატიება თავისი კარჩაკეტილობა, რადგან ეს განპირობებულია იმ ტრადიციით და გეოგრაფიული გარემოთი, სადაც იგი გაიზარდა და ცხოვრების ცხოვრების დღეები გაატარა.

მოთხობაში „შემოდგომა ბაბუა კოტესი“ გურამ რჩეულიშვილი შეეცადა მეორე მოხუცის - ბაბუა კოტეს დახატვით შეექმნა ისეთი ადამიანის სახე, რომლის ფსიქოლოგია საპირისპირო იქნებოდა პაპა გოგოთურის ხასიათისა. ბაბუა კოტეს სულ თავისი დარგული მანდარინები და ლეღვი ელანდებოდა. მან ვეღარ მოითმინა და ქუჩაში გამოვიდა, „ხესთან მივიდა, ჯოხის წვერი მოუთათუნა მის ძირს უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო, - მიწა არ ემორჩილებოდა... „ეჰ, არ უნდა გამეყიდა ის სახლი!“(რჩეულიშვილი, 2011 : 213). მოხუცის ეს უკანასკნელი სიტყვები სინანულია სოფელზე შეყვარებული კაცისა. ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო, - ამბობს ქართული ანდაზა. მართლაც ბაბუა კოტესათვის ყველაფერს ნიშნავს სოფელი.

გურამს ერთი პაწაწინა ნოველა აქვს, 1957 წელს დაწერილი, სულ ერთგვერდიანი, „მთაში“. ამ ერთ ნაწარმოებშიც ახეხებს იგი ძლიერი, შემაძრწუნებელი შთაბეჭდილების მომხდენი, დამამახსოვრებელი ხასიათის შექმნას:

„მინდია იწვა გულაღმა და ყრუდ გმინავდა. მოფხრეწილი ბეჭებიდან შავი სიცხლი ამოდიოდა. სამფეხაზე დასტაქარი იჯდა. დიდი პრიალა დანით ჭრიდა ჭრილობას. მინდია გმინავდა სულ ყრუდ, მერე დასტაქარმა მარილი დააყარა.

დათოს ბუსუსები დაასხა. „გაიფიქრა რა ვაუკაცია მინდია“, გაიფიქრა, „მე ერთხელ გაკაწრულზე მომხვდა მლაშე და ცრემლები გადმომაყრევინა“.

შიშით განაგრძო ოპერაციის ყურება.

მინდია აღარ გმინავდა.

ახლა მხოლოდ კბილების ღჭრიალი ისმოდა.

დასტაქარი იჯდა სამფეხაზე და ჭრილობას უკერავდა“(რჩეულიშვილი, 1977: 238).

ამ ნოველაში ახალგახრდა მწერალი, მეორე ძლიერ ხასიათსაც ხატავს. ეს არის მინდიას ყოჩაღი, ვაჟკაცური და მზექალა. ის, რაც ქალაქელი დათოსათვის დიდ სირთულესა და საოცრებას წარმოადგენს, მთის მკაცრი პირობებისა და იქაური ნორმებით გაზრდილი მზექალასათვის ვაჟკაცობის მცირედი გამოვლინებაც არ არის.

დიალოგებიდან ირკვევა რომ მინდია ნადირობისას დაუჭრია ნადირს, ეს ალბათ მას მერე მოხდა, როცა მან გარეული ტახი მოკლა და საფრთხეც მოულოდნელად წამოეპარა.

მზექალას ძალზე მაღალი, მძიმე მოთხოვნები აქვს ჩამოყალიბებული ვაჟკაცობის საზომად, ასეთ მოქმედებას მართლაც უძლიერესბები თუ შეძლებენ. ის ამბავი,რომ ძმის საშინელ ჭრილობას ბლაგვი დანით სჭრიან, თანაც მარილს აყრიან ზედ, ეს მზექალასათვის სრულიად უბრალო მოვლენაა: „ვაჟკაც მით იყვ, რო ორ ტახ დაჰკოდ, თორე ყვირილით ვის უყვირავს, რომ მაგან იყვიროს“, ამბობს მზექალა. შემდეგ იგი მინდიას მოკლული ტახის გასატყავებლად მიდის, სურს მოხმარება სთხოვოს დათოს, მაგრამ გადაიფიქრებს. „დანა ჩამოიღო და მარტო გავიდა“ (იქვე:239).

მწერალი ტრაგიკულ-რომანტიკული სიტუაციის გამოძერწვასთან ერთად ახერხებს მესამე ხასიათიც გვიჩვენოს. ეს არის დათო. დათო ყველა მონაცემით ქალაქელია და მისთვის ვაჯკაცობის ასეთი სახით მიღება თითქოს შეუძლებელია. ვერ წაროუდგენია რომ ნარკოზისა თუ თეთრად გაქათქათებული საოპერაციო ოთახების მიღმაც მიდის ბრძოლა ადამიანის სიცოცხლისათვის.

ნუგზარ წერეთლის მოგონებით, მსგავსი ამტანიანობა გამოუჩენია თავად გურამ რჩეულიშვილს ხევსურეთის ჭიუხების დალაშქვრისას: „გაუვალ ბილიკებზე ვეებერთელა ზურგჩანთით მიმავალს სიპი ლოდიანი მოუცურდა და დაბლა გადამხტარს მუხლის ქვემოთ დაეძგერა. მართალია, ფეხი არ მოუტეხავს, მაგრამ წვივის ძვალზე ჰქონდა

გადაგლეჯილი და ძვალიც გაბზარული. ფერდობზე იჯდა, ნახევრად მიწოლილი, ფეხიდან სისხლი მოსდიოდა, ჩვენ თავზე ვადექით. ამასობაში სპირტი, იოდი და ბამბა მოიტანეს, გატეხილი ადგილი ფრთხილად მოუწმინდეს, იოდი წაუსვეს და ფხვნილიც დააყარეს. მართალია, ეს მარილი არ იყო, მაგრამ საკმაოდ აუტანელი ტკივილის მიუხედავად, ერთიც არ დაუკვნესია (წერეთელი, 1984:101-102).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გურამ რჩეულიშვილს არაერთ მოთხრობაში აქვს გაცოცხლებული ხევრუსთა ყოფა. მაგალითად, ძველ ხევსურთა ცხოვრებას უძღვნა მწერალმა „ბათარეკა ჭინჭარაული“. მკვლევარი იპოლიტე ვართაგავა მიიჩნევს, რომ „ხევსურეთზე დაწერილი ნოველები საინტერესოა არა მარტო ეთნოგრაფიული, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. უძველესი კულტურის ხალხს - ხევსურებს გააჩნდათ ისეთი დაუწერელი ცხოვრებისეული კანონები რომლის შესრულება ზოგჯერ ადამიანის სიცოცხლის ფასად ჯდებოდა“ (ვართაგავა, 1971 : 211)

როგორც მეგობრები იხსენებენ, გურამ რჩეულიშვილს უცნაურად უყვარდა ზღვა... მოთხრობა „ირინა“ გაჟღენთილია ზღვის სუნთქვით. ზღვა აქ ადამიანივით ცოცხლობს, იცინის, სულში შემოდის. ზღვა არის ფონი სიყვარულის- ტკბილი და მწარე, ეჭვიანი, დაუშოშმინებელი ორთა სიყვარულის ამბისა. ის თითქოს ქალივით იზიდავს, ათბობს და ეალერსება მოთხრობის გმირს. ამავე დროს , აქაც, ისევე როგორც „ნელ ტანგოში“, ნამდვილად იგრძნობა ფარული ძრწოლა ზღვის მიმართ, მასში რაღაც მტრული, ვერაგი ძალის შეგრძნება. „ირინას“ პირველ ვარიანტში იყო ადგილები, რომლებიც დღეს, უცნაურ შთაბეჭდილებებს იწვევენ ჩვენში, იმდენად ცხადად გვანან ისინი განწირული ადამიანის აკვიატებულ წინათგრძნობას.

ზღვის სურათები თუ მასთან დაკავშირებული ადამიანების ცხოვრება ახალგაზრდა მწერალს ცხადად, საინტერესოდ, ხელშესახებად აქვს დახატული. „ზღვა თითქოს წევს სილურჯეში, ოდნავ ამობურცული ლივლივები ჩატეხვას ვერ ბედავენ“ (რჩეულიშვილი, „ირინა“, 1977: 57); „ახმედი მირბოდა ზღვის გასწვრივ, წვრილი ქვიშა იფრქვეოდა გვერდზე, ხრაშუნობდა; ზღვის გულში მთვარის შუქი იყო ჩაღვრილი, გარშემო ტალღებზე

ღრუბლის ჩრდილები დადიოდნენ, მერე მთვარე დაიმალა და შორს ზღვაში ნაპირისაკენ მომავალი გემის სინათლე გამოჩნდა“ (რჩეულიშვილი, „მუნჯი ახმედი და საიცოცხლე“ 1977: 77).

მწერლის არსებას თან იზიდავს, თანაც გაურკვევლობის ბურუსში ჰხვევს ზღვის ამოუცნობი იდუმალება. უახლოვდება და, იმავდროულად, გაურბის კიდეც მას. ხან შორიდან, გარკვეული დისტანციიდან ცქერას ამჯობინებს, ხანაც ქვას ჰკიდებს ხელს და ეჩვენება, რომ ზღვას გადააცილებს... ერთი სიტყვით მწერალი ინტენსიურად ურთიერთობს ზღვასთან(არაბული, 2014: 83).

დაუნდობელი სტიქიონის შესახებ საუბრის მოსმენისას მარადიულობის განცდა ეუფლება მკითხველს:

„ - რა საინტერესოა ზღვა, არა? - დაიწყო დედამ.

... მე დედას შევხედე, უყურებდა ზღვას.

შუადღის მერე ზღვა აღელდა“ (რჩეულიშვილი, „ჩანაწერებიდან“, 2012: 52).

„უცნაურად უყვარდა ზღვა, - წერს გურამ ასათიანი. - მოთხრობა „ირინა“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, გაჟღენთილია ზღვის სუნთქვით. ზღვა აქ ადამიანივით ცოცხლობს, იცინის, სულში შემოდის. ზღვა არის ფონი სიყვარულის - ტკბილი და მწარე, ეჭვიანი, დაუშოსმინებელი ორთა სიყვარულის ამბისა... იგრძნობა ფარული ძრწოლა ზღვის მიმართ, მასში რაღაც მტრული, ვერაგი ძალის სეგრძნება“.

ზღვა, როგორც ადამიანის საარსებო გარემო, განსაკუთრებით გამოკვეთილადაა დახატული გურამ რჩეულიშვილის ბრწყინვალე მოთხრობაში „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“. მეთევზის ძველთაძველ ქოხში, სადაც მოქმედება მიმდინარეობს, იჯდა ბებერი მეთევზე - „მუნჯი ახმედი, გამხდარი, ჩამოყრილი მხრებით და უძლური სხეულით სიცოცხლეს უნარჩუნებდა კერას“ (რჩეულიშვილი, 1977: 84).

ზღვაზე გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე მუნჯმა მეთევზემ. ზღვა იყო მისთვის მიწა და უფრო მეტიც, ზღვა აძლევდა საზრდოს, ზღვამ მისცა მას ძველი ნავი და ლილი, რომელსაც მერე ცოლად ირთავს. ლილი კმაყოფილი იყო თავისი ბედით და სიხარულით

მოელოდა იმ დღეს, როცა ქოხში პატარა ბავშვი დაიწყებდა ჭყივილს. მაგრამ მოხდა სამწუხარო ამბავი, ბავშვი მკვდარი დაიბადა.

„ახმედი უმოძრაოდ იჯდა, ვერ აიძულა თავი, მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც იწვა სიკვდილი - პატარა მაგრამ საშიში და უცნობი“ (იქვე: 78). ლილი თანდათან სევდამ შეიპყრო და როცა ახმედის მოხუცი მამა ჯანბეგი გარდაიცვალა, - ერთადერთი კაცი, რომელთანაც შეეძლო საუბარი, ქალმა სრულ მწუხარებას მისცა თავი და ბოლოს იძულებული გახდა ქოხი დაეტოვებინა და გაქცეულიყო.

„ისევ ზღვა დარჩა ახმედის ერთგული. მუნჯი ახმედი კეთილშობილი ადამიანია. ბუნებამ იგი დააჯილდოვა დიდი ფიზიკური ძალით, სიღარიბითა და ადამიანური სითბოთი, რომლის გამოხატვა მას სიტყვით არ შეეძლო... მან შეიკედლა მოხუცი სედა, სანახევროდ გიჟი, მოხუცი, ბაზრის ქალი და გადაგდებული ძაღლის ლეკვი... ახმედი იდგა წელში მოხრილი ცეცხლის პირას, ფიჩხს ქექავდა, უბერავდა ნაღვერდალს, დასუსტებულ ძვლებზე დამჭკნარ ხორცად დაკიდებული ერთდროს ძლიერი ბიცებსები ჟანგისფრად მოჩანდა ალზე, თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ მიუძლურებულს რატომღაც არ სწყინდა თავისი უმწეობა, ვეღარცა გრძნობდა“ (რჩეულიშვილი, 1977: 84).

მითხრობის მიხედვით ლილი კეთილშობილი ქალია, მაგრამ სიღარიბემ და მუნჯმა ქმარმა, რომელთანაც თავს მუდამ მარტო გრძნობდა, რადგან არ შეეძლო გაეზიარებინა მისთვის ფიქრები ან უბრალოდ გასაუბრებოდა მას, აიძულა მიეტოვებინა ქმარი, სამუდამოდ გასცლოდა მას.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში განსაკუთრებული სიღრმითა და ქვეტექსტურობითაა წარმოჩენილი ცხენის, მთისა და ზღვის სახე-სიმბოლოები.

თავი VI

ფსიქოლოგიზმი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში

გურამ რჩეულიშვილის თხზულებებს ახასიათრებს ღრმა ფსიქოლოგიზმი, რაც არის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშნია მისი პროზისა. მრავალგანზომილებიანია მისთვის ცნება ადამიანისა. ვრცელი გალერეა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობათა გმირებისა ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. მათი ყოველდღიური არსებობა თითქოს არაფრითაა გამორჩეული, მაგრამ რაოდენი სიღრმეა მათ განცდებსა და სიყვარულით აღბეჭდილ ურთიერთობებში. ის თავისუფალი სული, რომლის განხორციელებაც იყო გურამი, გამოვლინდა მის საოცარ პროზაში. მისი შემოქმედებითი გმირი თავად გურამია, ყოვლად განსხვავებული სხვა მწერალთა შემოქმედებითი სამყაროებისგან. სწორედ თვისუფლებისადმი ლტოლვაა დახატული გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „სალამურაში“, რომელშიც მოთხრობილია ტრამალების უსაზღვრო სივრცესთან შერწყმული ცხენის სევდიანი ამბავი.

ქართული მწერლობის ერთ-ერთი ფენომენი ყოველთვის იყო მიწის სიყვარული. ეს გაუნელებელი სიყვარული გურამის ნაწერებშიც გამოჩნდა. სიტყვა ერთფეროვნება მასზე უარყოფითად მოქმედებდა, შემოქმედებით შრომაში ხელს უშლიდა. „რას ამბობ, მთებს რა შეედრება! ასე ერთფეროვანი მაინც არ არის“ (რჩეულიშვილი, „ტრამალი“, 1977 : 177).

მწერლისთვის მიწა ის განუშორებელი საგანია, რასაც ადამიანი დღენიადაგ არის მიჯაჭვული, მისი მარჩენალიცაა და შრომითი არსებობის გამამართლებელიც. ნოველაში „შემოდგომა ბაბუა კოტესი“ გურამს განსაკუთრებული სიმწვავით აქვს ნაჩვენები მიწის ეს საუკუნოვანი სიყვარული: ღრმა სიბერეს მიაღწიეს თეკლემ და კოტემ. მათ მარტო ყოფნა აღარ შეეძლოთ. გაყიდეს მშვენიერი სახლ-კარი, საკუთარი მიწა, დიდებული ხეხილის ბაღი. შვილთან და შვილიშვილებთან გადმოვიდნენ საცხოვრებლად თბილისში. სხედან მოღუშულ ოთახში გამოკეტილნი, იშვიათად გამოდიან გარეთ, ასფალტის ბუღის გაძლება არშეუძლიათ.

ამ ნოველაში სხვა საკითხებთან ერთად, არის ადგილები რომელთაც სწორედ მიწის სიყვარული თუ მიწის ძახილი უნდა ვუწოდოთ: „ ისევ მოაგონდა თავისი კოხტა სახლ-კარი, უზომოდ მოუნდა ვინმეს მისალმებოდა და შემდეგ მიწა მოეჩიჩქნა, თუნდაც სულ ცოტა. ... ძლიერ მოუნდა მიწის ჩიჩქნა; გაახსენდა, რომ ქვაფენილის გასწვრივ მდგარი ხეების ძირში მიწა ეყარა და გახარებული გამოვიდა გარეთ“.

მაგრამ მოხუცი აქაც პირისპირ შეეჯახა ცივ სინამდვილეს, მისი პატარა ოცნება თუ იმედიც გაქრა. დიდი ზემოქმედების მომხდენია მშრალი რეალობის მაჩვენებელი ეს სტრიქონები: „... უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო, მიწა არ ემორჩილებოდა. დაიხედა ქვევით, ქვაფენილს და ხეს შორის ოთხკუთხა დამცველი ბადე იყო ჩადგმული... ცივად შემობრუნდა. თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა“(რჩეულიშვილი, „შემოდგომა ბაბუა კოტესი“, 2011 : 213).

აქაც იგრძნობა ის ღრმა ფსიქოლოგიზმი, რომელიც ასე დამახასიათებელია გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებისთვის. ღრმად და ჩამაფიქრებლად წყვეტს ახალგაზრდა მწერალი ამ რთულ პრობლემას, როგორ სწვდება მოხუცის არსებას, სულში ამოძრავებულ განცდებს და მათ მხატრულად ხორცშესხმულს წარმოგვიდგენს.

დიალოგი საკუთარ სულთან - გურამ რჩეულიშვილის პროზის სუბსტანციური რაკურსია, რომელიც დროდადრო უფრო მძაფრდებოდა, საერთოდ კი, მის მხატრულ სამყაროს ყოველთვის თან ახლავს.

გურამ რჩეულიშვილის რეპერტუარი უმთავრესად მაინც მისი თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს წარმოსახვით ხასიათდება. მან სათავე დაუდო ქართულ მწერლობაში ეგრეთ წოდებული „მცირეთემიანობის“ მოძალებას.

ფსიქოლოგიური წიაღსვლებით გამოირჩევა გურამ რჩელიშვილიოს მოთხრობა „ბათარეკა ჭინჭარაული“. მასში მწერალი ხევსურთა ცხოვრებაზე მოგვითხრობს და ხაზგასმით წარმოაჩენს ამ კუთხის განსაკუთრებულობასა და განასხვავებს სხვათაგან. ლეგენდადქცეული შატილის ფონზე იხატება ხევსურული კოშკი და მისი ბინადრები, უპირველესად 13 წლის მზია, ოცნებაში ჩაკარგული პატარა ქალი, რომლის გული სავსეა

„ულოგიკო ვნებებითა“ და რომლის ამბავსაც მწერალი გვიხატავს შეუდარელი „დრამატული სიმშვენიერით“. პოეტური არის გამოკვეთილი მზიას ხასიათი.

მკვლევარ მაია ჯალიაშვილის აზრით მზია მარგინალია, რადგან დრო სივრცის მიღმა გაღწევას ცდილობს თავისი ოცნებით და ზღაპრის განზომილების „მორგებას“ ყოფასთან, რაც მარცხით მთავრდება (ჯალიაშვილი, 2002: 13).

მარგინალი ლათინური წარმომავლობისაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს კიდეზე მყოფს. მარგინალობა სხვადსხვა ეპოქაში სხვადსხვანაირად მჟღავნდებოდა, მოდერნისტებთან იგი გამოვლინდა, როგორც უპირველესად ესთეტიკური საკითხი. მოდერნისტები ქადაგებდნენ სტილის, მხატრული სახეების არისტოკრატიულობას. სიმბოლოები, ალეგორიები, დაშიფრული მხატრული სახეები ქმნიდნენ გადაულახავ ბარიერს უბრალო მკითხველისთვის ნაწარმოების აღსაქმელად.

გურამ რჩეულიშვილი რეალისტი მწერალია და მისიი მხატრული სახეებიც გამჭვირვალე და გასაგებია. მარგინალობა მასთან არა მხატრული სახეების სისტემის, არამედ უჩვეულო პერსონაჟების ხატბაში მჟღავნდება.

„ამერიკელმა მეცნიერმა რობერტ პარკმა 50-იან წლებში დაამკვიდრა ცნება „მარგინალი ადამიანისა“, - წერს გურამ კაკნავა წერილში „მარგინალური ადამიანი“ და იქვე განაგრძობს: „პარკის განმარტებით, მარგინალურნი არიან ის ადამიანები, რომლებიც ზღვარზე იმყოფებიან ორ ან მეტ სოციალურ სამყაროთა შორის, მაგრამ არ მიიღებიან არც ერთი მათგანის მიერ, როგორც მათი სრულუფლებიანი მონაწილეები. მარგინალური ადამიანის ნიშნებად პარკი მიიჩნევდა: სერიოზული დაეჭვება თავის პირად ღირებულებაში, მეგობრებთან კავშირების გაურკვევლობა და მუდმივი შიში უარყოფილ იქნას მათ მიერ, ვიდრე მოექცეს დამცირების საშიშროებაში, ავადმყოფური მორცხვობა, მარტოობა და გადაჭარბებული მეოცნებობა. გადამეტებული შფოთვა მომავალზე და ძრწოლა ყოველი გაბედული წამოწყების გამო, უუნარობა ტკბობისა და დარწმუნებულობა იმაში, რომ გარშემო მყოფნი უსამართლოდ ეპყრობიან“ (კანკავა, 1981: 3).

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში ხშირად გვხდებიან მარგინალი პერსონაჟები, მათ შორის, მუნჯი ახმედი, ნათელა, შპილკა, ირინა, უსახელო უფლისციხელი და სხვა. საგულისხმოა, რომ არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ცხენებსაც გამორჩეულად ხატავს, მაგალითად, სალამურას და თვირთვილას.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ მზიას წარმოვაჩენთ მოთხრობა „ბათარეკა ჭინჭარაულის“ პერსონაჟს. მოთხრობაში აღწერილი დრამა მეტად მცირე დროში ვითარდება, მაგრამ შედარებით ვრცელი ექსპრესიული შესავალი აქვს, სადაც წარმოჩენილია დაზამთრებული ხევსურეთი, როგორც ლაბირინთი, რომლის „წვერშიც“ ცხოვრობს ბათარეკა ჭინჭარაულის. ზღაპრული კოშკივით წამოიმართება მკითხველის წარმოსახვაში ბათარეკა ჭინჭარაულის სამოსახლო და თვით პატრონი, რომელიც თოვლის გამო კოშკშია შეკეტილი და გამოდარებას გმინვით ელოდება, აღარ შეუძლია უქმად ჯდომა ნადირობისა თუ სისხლის აღების გარეშე სიცოცხლე.

გარემოს მოწყვეტილია ბათარეკას ასული მზიაც, მაგრამ სულ სხვა მიზეზით. იგი კოშკში ცხოვრობს მზეთუნახავივით. მისთვის არ არსებობს დროის ჩვეული მდინარებაც კი. იგი გაჰყუებს თავისი კოშკის ვიწრო სარკმლიდან ბუნებას, დღისით თუ ღამით და საკუთარი თავით ტკბება, თუმცა ეს ტკბობა არის შინაგანი განცდა საკუთარი სილამაზისა. მზიას ხომ სარკეც არ აქვს, მაგრამ შინაგანად გრძნობს თავის სილამაზეს სადღაც გულის სიღრმეში. მისი სახე გაკვირვებულ, გაბრწყინებულ თვალებადაა ქცეული, მიუხედავად იმისა, რომ იგი მარტოა, იგი ჰარმონიაშია მთელ სამყაროსთან, თითქოს მისი ნაწილია, მისი გრძნობა ეთანხმება ბუნებას, ამიტომაც წერს მწერალი, რომ „შეყვარებულია ყველაფერი მის გარშემო“. მზიას სამყარო მისივე სულია. ამ პატარა გოგონას თვალებით არეკლილი გარემო უცხო ხმებით ჩურჩულებს, მისი თვალებით არეკლილი სამყარო განსხვავდება იმისგან, რასაც სხვები ხედავენ და ირეკლავენ. მის წარმოსახვაში ყოფითი საზრუნავები არ არსებობს. ასე ცხოვრობს მზია რეალობის მიღმა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს დგება დრო, როდესაც მას კონფლიქტი მოსდის გარემოსთან, რომელიც მამის სახით ევლინება. იგი ერთ დღეს შეამჩნევს, რომ შვილი არაფერს

აკეთებს სახლში და დაუღრიალებს: „რად არ ეხმარები დედასა, ქალაუ“! ერთ ვნებად შეიკრა ის რაღაცის წინააღმდეგ ამხედრებული, სილის გაკვრით დაანთხია ქალიშვილის ყველაფერი და კიბეებზე დაეშვა ბუბუნით. თვითონ ვეღარ გაბედა კაცმა ზევით ასვლა და მეორე დღეს, სადილობისას ავადმყოფი დედა გაუგზავნა საჭმლით შვილს. ჭერხოს შუაში გამქრალ სუაცეცხლის ჯაჭვზე ჩამოეხრჩო მზია ბათარეკას ასულს თავი“ (რჩეულიშვილი, 1977: 15-16).

სამწუხაროდ, ცხოვრება არ რის ზრაპარი. მზია კი თითქოს ზღაპრის განზომილებიდან რეალობაში შემთხვევით მოხვედრილი პირია და როდესაც ზრაპარი შემოიჭრება რეალობაში, ის უკვე მიუღებელი ხდება ჩვეულებრივი ყოფისა და ჩვეულებრივი ადამიანებისათვის, თუნდაც ისეთი ახლობლისთვის, როგორიც მშობელი მამაა.

„მზია ქვებს შორის ამოსული ყვავილივით ნაზია და საკვირველი“, შენიშნავს თამაზ ჭილაძე, მისი აზრით, „მზიას სული ისეთი ფაქიზია, თითქოს აპრილის ქარის ფრთაზე ასვენიაო. მისი ფიქრი თუ სიზმარი სავსეა მთვარითა და მზით, ვარსკვლავებითა და აყვავებული რტოებით. ვინც კი შეხედავს, ყველას უკვირს, უცნაურია, საიდან გამოვიდა ასეთი ქალი შატილის კოშკშიო“. მზიას მამა, ბათარეკა ჭინჭარაული, ავაზაკივით უჟმური ხასიათისაა. ბათარეკა თოვლმა კოშკში გამოკეტა, უმოქმედობამ კიდე უფრო გააბოროტა. არ იცის, როგორ მოიქცეს რა მოიმოქმედოს. ერთ დღეს გადაწყვიტა ქალიშვილთან საუბარი. სიბრაზე წაეკიდა ბათარეკას. „ისევე როგორც საქონლის პარსვისას ამხანაგის უმოქმედობის დროს სჩვეოდა“. უცებ ინსტიქტით იგრძნო იმ უფსკრულის სიღრმე, მას რომ თავისი ქალიშვილისგან ყოფდა და თითქოს რაღაცის წინააღმდეგ ამხედრდაო, გამეტებით სილა შემოჰკრა ქალიშვილს. დილით მზია ჯაჭვზე ჩამოკიდებული იპოვეს.

ეს მოთხრობა თავისი ჟღერით შორდება, შატილის კოშკებს და კიდევ ერთხელ მოგვაგონებს თუ რა დიდი გაფრთხილება სჭირდება იმას, რასაც ადამიანის ოცნება ჰქვია“ (ჭილაძე, 1993: 140).

მწერლისათვის უმთავრესი ღირებულება თავისუფლებაა. მამა, ამ შემთხვევაში, განასახიერებს სამყაროს, დამკვიდრებულსა და სწორხაზოვანს, შვილი კი გადახვევას, სხვა გზის არჩევას. ამ „გზიდან ცდომას“, რაც სხვათაგან განსხვავებულობაში მჟღავნდება. ეს შეჯახება ტრაგედიით სრულდება, თუმცა თვითმკვლელობა აქ უფრო საზეიმო ელფერს იძენს, ის სულის გამარჯვებას წარმოაჩენს, რომელმაც მოიშორა სხეული, როგორც ბარიერი უცხო სამყაროებში სამოგზაუროდ.

თავისუფლების იდეა ყოველთვის ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ავანგარდში იდგა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი და სამწუხარო რამ, მუდმივი დაძაბულობის პირობებში თავისუფლების იდეა გაკერპდა და შინაარსი დაკარგა. ფილოსოფიური ცნება, რომელიც თავის თავში გარკვეულ პიროვნულ და სოციალურ მდგომარეობას გულისხმობდა, ერთბაშად მთავარ მიზნად იქცა და ეს მიზანი ბედნიერების სიმბოლოდ შეირაცხა, არა მხოლოდ მასების, არამედ მოწინავე საზოგადოების თვალშიც. გურამ რჩეულიშვილმა ჯერ „სალამურას“, ხოლო შემდეგ „თვირთილას“ მაგალითზე თავისუფლების ცნების გამრუდებული გაგების გამართვა განიზრახა.

თავდაპირველად ორივე მოთხრობის მოცემულობაში მწერალმა შექმნა საუკეთესო პირობა და ძლიერი მოტივაცია ბუნების მიერ დაწესებული საზღვრების გადასალახად. აქ მთავარ ინტრიგას ულაყების სხეულში ჩამწყვდეული თავისუფლების იმპულსური და დაუოკებელი სურვილი ქმნიდა. მწერალი ცდილობდა ეჩვენებინა თავისუფლებისადმი სწრაფვის შინაგანი ფიზიოლოგიური პროცესი. „... ხშირი ფაფარი გაშლოდა და ისე მირბოდა უფსკრულისაკენ. გამონასკვული კუდი მაღლა აებზიკა. დიდი თვალებიდან ცეცხლებს ისროდა და ბრტყელი, ძლიერი კბილებითა ჭამდა ლაგამს. ლაგამი კი სულ უჭერდა და უჭერდა. უნდოდა, უფრო ჩქარა ერბინა, მაგრამ რკინა არ უშვებდა. მაგრად ეჭირა ცხენის თავი მხედარს. ახლეჩილი ლაშებიდან სისხლმა დაუწყო დენა. ორთქლი და დუჟი უფარავდა სისხლს. ახლა სწორ ბილიკზე გავარდა ულაყი. სადავე ცოტა მიუშვეს...“(რჩეულიშვილი, „თვირთვილა“, 2012: 3).

გურამ რჩეულიშვილის ცხენების - „სალამურას“, „ერთგულისა“ და „თვირთვილას“ მაგალითზე მარტივად შესამჩნევია ახალგაზრდა მწერლის დაუოკებელი ლტოლვა თავისუფლებისაკენ („სალამურა“), ასევე ადვილად შესამჩნევია გამოცდლებით შეძენილი მოვალეობისადმი გურამის ერთგულება („თვირთვილა“) და აქტიური ცხოვრების მიღმა დანახული მარტოობის სიმშვიდე („ერთგული“). სრულფასოვანი ცხოვრებისათვის სამივე ეტაპის გავლა აუცილებელი ჩანს. თუმცა ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან თითოეული გაუაზრებელი ნაბიჯი ბეწვის ხიდზე გავლას ემსგავსება. ამიტომ არ გვიკვირს ამ სახიფათო გზაზე სალმურას დანახვა: „ერთი წლის გახედნილ ულაყს უზომოდ მოუნდა ტრამალებში ნავარდი. კიდევ უფრო სწრაფად მოუნდა ჭენება და მთლიანად დაკარგა შეგრძნება, უცებ მოსხლეტით გადახტა გვერდზე, ხალხს თავზე გადაევლო და გაუჩინარდა. ძირს დაგდებული მხედარი მოედანზე დარჩა. ქუჩაში გადავარდნილმა მისკენ მომავალი მანქანა დაინახა: შეეშინდა, დაფრთხა. დაუფიქრებლად გადაეშვა დაბალი ხიდიდან“ (რჩეულიშვილი, 1977: 205-206).

სალამურას ბედი ლოგიკური შედეგია მისი ქმედებისა. მუხლებდამტვრეული სამი წლის ულაყი, რომელსაც ძალიან მოუნდა ჭენება და თავისუფლება მანქანის ხმაურმა (ცივილიზაციამ) დააფრთხო და ... ცხენი დოღისთვის უვარგისი გახდა („სალამურა“).

სალამურამ დაკარგა ყველაფერი, რაც მას ღირსეულ ცხენად აქცევდა, მათ შორის სახელიც და კრებითი ჯოგის ერთი რიგითი წევრი გახდა, რომელიღაც საზიარო სახელის ქვეშ გაერთიანდა.

თითქმის იგივე ამბავი ხდება „თვირთვილაში“. შვიდი წლის ულაყმა, რომელიც ოთხი წელი ამაოდ ღრნიდა ლაგამს, პირველივე შემთხვევით „ისარგებლა“ და ლაგამ-აღვირ-უნაგირისგან ერთბაშად გათავისუფლდა:

„გავარდა თვირთვილა.

მიჰყვნენ სხვებიც.

გავარდა თვირთვილა.

თვალები მუგუზლებს ისროდნენ.

ვეღარ გრძნობდა შვიდი წლის ულაყი ლაგამს და მირბოდა.

ვეღარ გრძნობდა მხედარსაც.

ვეღარ გრძნობდა ვერაფერს.

თავისი ცხოვრების მეშვიდე წელს ბედისწერამ აიტანა.

-აბა, ჰე!

-ჰაი, ჰე!

-აუ, აუ, აუ თვირთვილავ!

მეორე დილა თვირთვილას იალაღზე გაუთენდა"(რჩეულიშვილი, „თვირთვილა", 2012: 4).

თვირთვილამ ჩამოაგდო მხედარი და ამ გზით თავისუფლება მოიპოვა. მან მოასწრო იალაღზე დაბრუნება და ამით თითქოს სალამურას ბედიც აიცილა, მაგრამ რა ელის მარტო დარჩენილ უმხედრო ულაყს, რომელიც ახლა ქარივით თავისუფალია? იალაღზე წყალიც ბევრია და საკვებიც. იარებიც უკვე შეუხორცდა. მაგრამ სწორედ ახლა, თავისუფლების მეოთხე დღეს კი მას უცნაური რამ დაემართა... თვირთვილას აექავა ტუჩები და მოუნდა ლაგამი დაეღეჭა, თვირთვილა სიცარიელემ შეაწუხა და მოუნდა ზურგზე მხედარი ეგრძნო. მეოთხე დღეს თვირთვილა სახლისკენ დაეშვა. მივიდა საჯინიბოსთან და დაინახა თავისი პატრონი, რომელიც აღარ ინძრეოდა. ამის გამო ის საზარლად აჭიხვინდა. დასწვდა ლაგამს და ღეჭვა დაუწყო. მივიდა საჯინიბოს დაბალ კედელთან და ზურგით გაეხახუნა. თვირთვილამ საკუთარი ნებით დათმო თავისუფლება, რადგან მის პირუტყვულ მოსაზრებულობაში რაღაც უფრო მაღალი მოტივი გაჩნდა. ამან ულაყი ლაგამთან, აღვირთან, უნაგირთან, მოვალეობასთან დააბრუნა. თვირთვილა საკუთარ მოვალეობას დაუბრუნდა, რადგან ნამდვილი თავისუფლება სწორედ მოვალეობასთან დაბრუნებას გულისხმობდა.

ერთი მხრივ, აბსოლუტური თავისუფლებისკენ ლტოლვა და მეორე მხრივ, ადამიანისადმი ერთგული მორჩილება გურამის მეგობარს და ცნობილ მხატვარს თემო ჯაფარიძეს ადრევე შეუნიშნავს გურამის შემოქმედებაში არსებული ეს წინააღმდეგობა:

„იგი უსაზღვრო თავისუფლებისკენ ინსტიქტური მიდრეკილების გამომხატველი ჭაბუკი იყო. მეორე მხრივ კი, ზნეობრივი კანონებისადმი მორჩილების მაძიებელი პიროვნება“...

ამრიგად, გურამის შემოქმედებაში ადამიანის განვითარების სქემატური ნახაზი ასე გამოიყურება: თავისუფლებისაკენ სწრაფვა, მოვალეობისადმი ერთგულება და მსხვერპლად შეწირვის იდეა. გურამ რჩეულიშვილი ემიჯნება თავისუფლების მეოამბოხურ გაგებას, მისთვის ადამიანში პროტესტის, ამბოხის გრძნობა თავისუფლების ერთგვარი საზომი არაა... გურამმა „თვირთვილაში“ მოვალეობასთან (საკუთარ თავთან) დაბრუნებაც ცხოველური ინსტიქტების წრეს მიაკუთვნა და ამით ეს მორალური საქციელი არა თუ მხოლოდ შესაძლებლად, არამედ აუცილებლობადაც კი ჩათვალა. ამ ტრიადაში დარჩა მხოლოდ ნებით თავშეწირვის იდეა, რომელიც გურამმა ადამიანური სიმაღლის ყველაზე ჰუმანურ აქტად გამოაცხადა.

გურამ რჩეულიშვილის დამოკიდებულება ნებისმიერი ადამიანისადმი მახლობლურია, განპირობებულია სიკეთით და გულწრფელი სურვილებით. შეუძლებელია აქ არ გავიხსენოთ სტრიქონები „ალავერდობიდან“: მოკლული ცხენიდან გადმომხტარ გურამს ეკლესიაშიც მისდევს მდევარი, მას ერთადერთი ურთულესი გზა რჩება თავის დასახსნელად, ახლად მოვლენილი ღვთაებასავით უნდა ავარდეს დადგეს გუმბათის ლავგარდანზე, სადაც ასვლას ათასში ერთი თუ შეძლებს.

დაღუპვის პირას მდგარ და მაინც უშიშარ გურამს თავისი თავის იმედი აქვს, ასეთ ტრაგიკულ წუთებშიც კი სხვებზე ფიქრობს, სხვები ეცოდება:

„ალავერდის ცნობილი ხვეული კიბის თავში, ღვთისმშობლის პატარა ხატთან თავაუღებლად ლოცულობს მოხუცი ქალი. „იმათზე ილოცე, დედავ, მე თვითონ გავიტან თავს, ჩურჩულით ამბობს უმიზეზო სიხარულმოცემული გურამი“ (რჩეულიშვილი, 2012: 293).

მწერლის შინაგანი სამყარო არც ლირიკული ნატიფი მელანქოლიის მომხიბვლელ ჟრუანტელს განერიდა. მიმართება საკუთარ წარსულთან, შეხვედრა აწ უკვე დროით გაცრეცილ ნაცნობ სახეებთან დამაჯერებელი განცდით ავლენს წარუშლელ ტკივილებს.

მკრთალ ხილვებად გაკრთებიან მის მეხსიერებაში ლამაზი, თუმც სევდასთან წილნაყარი სურათები: ბუნების საოცრების - პირველი თოვლის სიხარული, რომელსაც სხვებთან ერთად ინაწილებდა ამ ჯადოსნურ გარემოცვაში საბრალოდ მდგარი მათხოვრის სილუეტი.

„ჭუჭყიან ქუდში დროგამოშვებით ცვიოდა ხურდა ფული. მათხოვარს მოჭრილი ხელი დალურჯებოდა სიცივისაგან. ჩოფურა წვერი მოშვებული ჰქონდა. ნიკაპთან, ბალნის ქვევით, დაწითლებული ძირმაგარები მოუჩნდა. მან ჭუჭყიანი ორთითა ხელით აიღო ძირს დაცემული აბაზიანი. ქუდში ჩააგდო, მერე შავი ფრჩხილებით მოიფხანა კეფა. სახე მოეღუშა.

ნელა წამოვიდა თოვლის ფიფქები. ჩქარა ბარდნა დაიწყო. გამვლელებს ღიმილი ჰქონდათ სახეზე. სკოლიდან გამოსული ბავშვები ყიჟინით შეეგებნენ პირველ თოვლს შავი კოტიკის ქურქიდან გასათხოვარმა გოგონამ ზარმაცად ამოიღო ხელი და ათკაპიკიანი გადაუგდო მათხოვარს“ (რჩეულიშვილი, 2011: 266-267).

მწერლის ამ წარმოსახულ თოვლიან პეიზაჟს სიხარულისა და მელანქოლიის კოლორიტი დაჰკრავს, რადგან ბუნების თეთრად მოელვარე მშვენიერებას, ადამიანის ტკივილი ანელებს

ამრიგად, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშნია ღრმა ფსიქოლოგიზმი, რაც განარჩევს მისი პროზას სხვა თანამოკალმეებისაგან.

დ ა ს კ ვ ნ ა

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურას ამშვენებს ნიჭიერი შემოქმედის გურამ რჩეულიშვილს სახელი. მის შემოსვლას ჩვენს მწერლობაში თან მოჰყვა თანამედროვეობის სუნთქვა. მას ღრმად ჰქონდა განვითარებული ფორმის სიახლის გრძნობა. ამიტომ შეითვისა მან ასე ბუნებრივად ჩვენი დროის მხატრული პროზის თავისებური ნერვიული, დაძაბული მანერა. მაგრამ, ამავე დროს, მთელ მის ადამიანურ იერში და მწერლურ ბუნებაშიც იყო რაღაც შორეული, ძველქართველური.

მოთხრობის წერისას გურამ რჩეულიშვილი იყენებს კლასიკური ყაიდის თხრობით სტრატეგიებს, მაგრამ თავისებური, განუმეორებული ელფერით მოსავს.

გურამის ნაწარმოებები ძირითადად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. იგი თამამად იყენებდა თემად იმას, რაც გადახდებოდა ხოლმე სინამდვილეში, ცხადია მწერლური

ოსტატობით დახვეწილს. მას ბევრი რამ იტაცებდა, სრულიად ახალგაზრდამ ბევრი რამ ნახა, კიდევ უფრო მეტი განიცადა. ყოველივე ეს მასში დუღდა, ამოხეთქვას ლამობდა და საინტერესო, შთამბეჭდავ ფორმას იღებდა.

გურამ რჩეულიშვილის თვითონაა პერსონაჟი თავისი არაერთი მოთხრობისა თუ ჩანაწერისა. ცხოვრობს თავისი გმირების ცხოვრებით (დღიურიდან: „მე გამოვდივარ გარეთ, რომ ჩემი მოთხრობების გმირთა ცხოვრებით ვიცხოვრო“.). თვითონაც განიცდის იმას, რაც მათ სტკივათ, ტანჯავთ და აწუხებთ. ცეცხლიც, რომელიც უქრობლად ბრიალებს მის ნაწარმოებებში, საზიანოა მათთვის.

გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებთა გმირები ჰგვანან ერთმანეთს: ყველა მათგანი მოაზროვნე ადამიანია; იქნება ის შემოქმედი, მძღოლი, მთამსვლელი თუ ფიქრის საგანია სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის, ძიების და აღმოჩენათა საკითხი. ბევრი მათგანი საოცრად მოძრავია, ხოლო ზოგიერთი მანეკენივით გარინდული წევს საწოლზე და სარკმელში შემოსულ მზის სხივებს ბუდას მოთმინებით უშტერებს თვალს. პირადად მისთვის დამახასიათებელი ჩაცმითა და ზოგჯერ მკვეთრად გამოხატული თავისებურებებით გურამ რჩეულიშვილი თითქოს გარესამყაროსადმი თავის უშუალო, ბუნებრივ, ალალ დამოკიდებულებასაც კი გამოხატავდა.

გურამს ბევრ მოთხრობასა თუ რომანში აქვს დახატული ქალაქური პეიზაჟები. იგი დიდი ქალაქის შვილი იყო, ბობოქარ რიტმასა და ხმაურს შეზრდილი. ქალაქიც უსაზღვროდ უყვარდა, მის წარსულსა და კოლორიტულ სახეში არაერთ ფურცელს ჰპოვებდა. თუ ხანდახან გაექცეოდა ხოლმე, ეს იყო დროებითი გაქცევა, რათა ახალი ძალებით, მიგნებულით, ნანახით ავსილი დაბრუნდებოდა და კვლავაც ყოფილიყო ღირსეული წარმომადგენელი (რჩეულიშვილი, 1985: 187).

გურამ რჩეულიშვილი ცხოვრებასა და შემოქმედებაში სანუკვარ საგანს - ექსტრემს უტრიალებდა, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, მაძიებელი ახალგაზრდა იყო. წერდა იმას, რასაც ხედავდა და განიცდიდა, თავისი პერსონაჟების მსგავსად სიკეთეს დაატარებდა გულით. გურამ რჩეულიშვილს ადამიანის უპირველეს დანიშნულებად

მოძრაობა, მოქმედება, აღმასვლა და ხალხისთვის, სამშობლოსთვის სარგებლობის მოტანა მიაჩნდა. შექმნა, შენება, მატება, მიღწეულით არდაკმაყოფილება, გურამის ნათელი ცხოვრების და, ბუნებრივია, მისი შემოქმედების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ამასვე უქადაგებდა ახალგაზრდა მწერალი ადამიანებს, უქადაგებდა შთამბეჭდავად, დამაფიქრებლად, ამავე დროს მკაცრად აკრიტიკებდა მათ, ვინც ჩამორჩებოდა ცხოვრების რიტმს, იჩენდა დაბნეულობას და ვეღარ გრძნობდა შემოქმედებითი შრომით მინიჭებულ ნამდვილ სიხარულს.

მწერლის ყოველ მოთხრობაში იგრძნობა ავტორის ძლიერი ხასიათი. ხასიათის ეს თავისებურება იკითხება მისი პერსონაჟების ბუნებასიც. თვით საოცრად გულითადი და მსუბუქი განწყობილებით დაწერილ „ბიძია კოტეს შემოდგომაშიც“, თითქოს იგულისხმება ეს ჯამრთელი და ყოვლისშემძლე ძალა სიჭაბუკისა, ნაღვლიანი თანაგრძნობით რომ ეალერსება ძვირფასი ადამიანს მიმწუხრის ჟამს.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ეროვნული თვითშეგნების გამომხატველი სიუჟეტურ-თემატური შტრიხები. მის თვითმყოფად შემოქმედებაში განსახიერდა ყველა ის საუკეთესო თვისება, რაც უძველესი დროიდანვე ახასიათებდა ქართველ კაცს, ქართულ მწერლობას, რითიც შეძლო მან გამკლავებოდა ვერაგ მტერს, სხვა სახელმწიფოების მსგავსად არ აღგვილიყო პირისაგან მიწისა და დღემდე შეუბღალავად მოეტანა თავისი ეროვნული სახე.

მეოცე საუკუნეში დაბადებული მწერალი გრძნობდა, რომ ჰქონდა შუა საუკუნის მოქალაქის „სულიერი თვისებები“. მიაჩნდა, რომ ტექნიკურმა პროგრესმა დასავლელი ადამიანი თითქოს გააბრუა, დააცარიელა“. ქალაქური ღამეების დაძაბულ სიმყუდროვეში მას ალბათ ხშირად აღვიძებდა ძარღვებში მომსკდარ წინაპართა სისხლის ამბოხი და ის მეორე დილით ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა მცხეთის გზას, ჭაბუკური დაჟინებით ცდილობდა დავიწყებიდან გამოეწვია უფლისციხის იდუმალი აჩრდილები, მარტოდმარტო მისდევდა ვაჟა ფშაველას ნაკვალევს, ან კიდევ მასსავით თავზე

ხელაღებულ მთიელ ბიჭებთან ერთად სიპ ბილიკებზე დააჭენებდა გაუხედნავ, ფეთიან კვიცებს. ასე დაიწერა მისი: „თვირთვილა“, „უფლისციხე“, „ ალავერდობა“.

გურამ რჩეილიშვილის შემოქმედებითი ამოცანა იყო თავისი თანამედროვე ქართველის სახე შეექმნა. იმგვარი გმირის პროტოტიპი უნდა გამოეძერწა, რომელშიც სრულიად რეალიზდებოდა ქართული ეროვნული პოტენცია. „ალავერდობაში“, ისევე როგორც ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურში“, მთავარი გმირი მხოლოდ საკუთარ ძალაზე დაყრდნობით ცდილობს არსებული რეალობის შეცვლას. ორივე მათგანი ზეადამიანობისკენ ისწრაფვის და ამის გამო იმსახურებენ მკითხველის პატივისცემას. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ „ალავერდობის“ პერსონაჟი, განსხვავებით ალუდა ქეთელაურისგან (სხვათაშორის, გუარმ რჩეულიშვილს ჰქონდა მოფიქრეული სცენარი „ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით), დაეჭვდება საკუთარი მოქმედების სისწორეში (ალუდას თავისი მოქმედების შესაფასებლად „სიმაღლე“ არ ჰყოფნის, რადგან ის ისევ ხევსურთა შორის ტრიალებს, გურამმა კი ალავერდის სიმაღლიდან დახედა ყველაფერს). „ ... ის (გურამი) ხვდება, რომ შრომა, შენება, შემოქმედება უფრო დიდი ფასეულობაა და უფრო შედეგიანია, ვიდრე გამომწვევი პროტესტი, ამბოხი; ამიტომ ხვდება იმასაც, რომ თვით ისიც და საერთოდ, პიროვნება ინერტულ ბრბოზე შეიძლება მხოლოდ შემოქმედებითმა შრომამ აამაღლოს და არა საკუთარი თავის საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოქცევამ.

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, როგორც ყველა რჩეული შემოქმედისთვის, მთავარი ღერძია გურამ რჩეულიშვილის ნაწარმოებებისათვის. მისი მოთხრობებში სათანადოდაა წარმოჩენილი სიცოცხლის ფენომენი. ის ყოველმხრივ უტრიალებს სიცოცხლეს, მის ფარულსა და ხილულ გამოვლინებას. სწორედ მასათანაა დაკავშირებული სიკვდილი, როგორც სიცოცხლის განუყოფელი ნაწილი. ამიტომაც არ აღიქმება სიკვდილი, როგორც დასასრული, არამედ ახლის დასაწყისი, სხვა ფორმითა და სხვაგვარ განზომილებაში.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რამდენიმე სახე-სიმბოლო: ცხენი, მთა და ზღვა. მათი ჯეროვანი განხილვა მწერლის მოთხრობათა ძირითადი მიზანდასახულობის გასარკვევად აუცილებელია. შეიძლება ითქვას, ალბათ, არც ერთ ცხენს არ უტარებია ლიტერატურაში იმდენი იდეოლოგიური ტვირთი, რამდენიც გურამ რჩეულიშვილის ცხენებმა ათრიეს. თითოეული მათგანი ერთი რომელიმე კონკრეტული ამოცანა-იდეის გადაწყვეტას ემსახურებოდა. მათი სახელებიც რომ არ გვახსოვდეს, ალავერდის ეზოში მიგდებული ცხენის უაღვირო ლეში თუ მაინც გვაგონდება, ესეც უეჭველი საბუთია მათი შრომის შესაფასებლად.

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება ძირითადად ორ გეოგრაფიულ სიდიდეს - მთასა და ზღვას შუა მიმოიქცევა.მთა და ზღვა, პირველი ცეცხლის წამკიდებელია, ხოლო მეორე - მისი გამნელებელი. „ის უყურებდა მისთვის უცხო სიკვდილს, რომელიც მთებს შორის იწვა უმოძრაოდ“ (რჩეულიშვილი, „სიკვდილი მთებში“ 2011: 243); „ახმედი უმოძრაოდ იჯდა, ვერ აიძულა თავი, მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც იწვა სიკვდილი - პატარა, მაგრამ საშიში და უცნობი“ (რჩეულიშვილი, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ 1977: 78). სწორედ მთისა და ზღვის ფონზე, მათთან კავშირის კონტექსტში იძენს სიკვდილი კონტურულ სიმკვეთრეს, მკაფიო კონკრეტულობას; მწვანით შემოსილი ყვავილიანი ბუნებისა და გაუგებარ ენაზე მოშრიალე მარილიანი წყლის წიაღში ცხადდება და საჩინოვდება სასრული ადამიანური არსებობის აბსურდულობა და მყიფე, ეფემერული ბუნება.

გურამ რჩეულიშვილის თხზულებებს ახასიათრებს ღრმა ფსიქოლოგიზმი, რაც არის ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშნია მისი პროზისა. მრავალგანზომილებიანია მისთვის ცნება ადამიანისა. ვრცელი გალერეა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობათა გმირებისა ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. მათი ყოველდღიური არსებობა თითქოს არაფრითაა გამორჩეული, მაგრამ რაოდენი სიღრმეა მათ განცდებსა და სიყვარულით აღბეჭდილ ურთიერთობებში. ის თავისუფალი სული, რომლის განხორციელებაც იყო გურამი, გამოვლინდა მის საოცარ პროზაში. მისი შემოქმედებითი გმირი თავად გურამია, ყოვლად განსხვავებული სხვა მწერალთა შემოქმედებითი სამყაროებისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი გ., გურამ რჩეულიშვილი, თანამდევი სულები, გამომც. „მერანი“, თბ., 1983

2. არაბული ა., „მთასა და ზღვას შუა“, გამომცემლობა, თბ., 2014
3. ბოჯგუა გ., გურამ რჩეულიშვილი, ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება, წიგნი II, გამომც. „შემეცნება“, თბ. 2015
4. ბენაშვილი გ., მწერლის ამაყი და კეთილშობილი სილუეტი, „რანი იყვნენ და რანი არიან“, თბ., 1991
5. მისივე, „მწერლის ამაყი და კეთილშობილი სილუეტი“, ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდები, გამომც. „მერანი“, თბ. 1989
6. გეგეშიძე გ., „გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი“, გაზ. „ ლიტერატურული საქართველო“, 22. 08. 1969 წ.
7. გვერდწითელი გ., „შენიშვნები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე“, ჟურნალი „მნათობი“, ნომერი 5, 1965 წ.
8. დურმიშიძე ს., ახალგაზრდა პროზაიკოსი, „ზოგი რამ წარსულიდან“, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1985
9. ვართაგავა ი., გურამ რჩეულიშვილი, თანამედროვე ქართველი მწერლები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1971
10. ვასაძე თ., „ალავერდობა“, ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათია, ნაწ. II, გამომც. „საუნჯე“, თბ. 2008
11. ვასაძე თ., გურამ რჩეულიშვილი, ქართული არტერნატიული პროზა, ქარჩხაძის გამომცემლობა, თბ., 2016
12. კანკავა გ., მარგინალური ადამიანი, ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 3, თბ., 1981
13. კანკავა გ., გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“, გამომც. თბ. 1981
14. კვაჭანტირაძე მ., „გურამ რჩეულიშვილი - 80“, გამომც. „თბილისი“ 2014
15. პაჭკორია ო., გურამ რჩეულიშვილი, ლიტერატურული წერილები, გამომც. „ნაკადული“, თბ. 1969
16. პაჭკორია ო., „დრო და სახელები“, თბილისი, 1973

17. მისივე, „დრო და სახელები“, თბ., 1973 წ.

18. ჟორდანია ა., „დრო და თანამედროვენი“, გამომც. „მერანი“, თბ. 1985

19. რჩეულიშვილი გ., მოთხრობები, ტ. I, გამომც. „პალიტრა“, თბ. 2011

20. რჩეულიშვილი გ., მოთხრობები, ტ. II, გამომც. „პალიტრა“, თბ. 2011

21. რჩეულიშვილი გ., მოთხრობები, ტ. III, გამომც. „პალიტრა“, თბ. 2012

22. რჩეულიშვილი გ., მოთხრობები, ტ. IV, გამომც. „პალიტრა“, თბ. 2012

23. რჩეულიშვილი გ., მოთხრობები, ტ. V, გამომც. „პალიტრა“, თბ. 2012

24. რჩეულიშვილი გ., მოთხრობები, ტ. VI, გამომც. „პალიტრა“, თბ. 2012

25. რჩეულიშვილი გ., სად გაექცევი ზამთრის ღამეს, რჩეული, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1985

26. რჩეულიშვილი გ., მოთხრობები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977

27. რჩეულიშვილი მ., გურამ რჩეულიშვილი, გამომც. „პალიტრა L”, თბ. 2011

28. რჩეულიშვილი გ., მოთხრობები პიესა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1965

29. შატბერაშვილის გ., შესავალი წერილი გურამ რჩეულიშვილის წიგნში „მოთხრობები, პიესა“, თბ.1965

30. წერეთელი ნ., „მე ახლა ოცდაექვსი წლისა ვარ“ გამომც. „ნაკადული“, თბ., 1984

31. წოწონავა თ., გურამ რჩეულიშვილი, ლიტერატურული ნაწარმოებები სკოლაში, თ. 2008

32. მისივე, გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“, ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათია, ნაწ. II, გამომც. „საუნჯე“, თბ. 2008

33. ჭილაძე ო., „გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას“, ჟურნალი „მნათობი“, 1970 წლის ნომერი

34. ჭილაძე თ., გურამ რჩეულიშვილის ხსოვნა, „პირველად იყო სიტყვა“, თბ. 1993

35. ხურცილავა ჯ., გურამ რჩეულიშვილი, ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები, გამომც. თბ., 2014

36. ჯალიაშვილი მ., „მარგინალობის ასპექტები გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა ჭინჭარაულის“ მიხედვით“, „ლიტერატურული ძიებანი“, 24, თბ. 2002

37. მისივე, გურამ რჩეულიშვილის ნარატივი,

38. ჯალიაშვილი მ., „ჩანაწერები“ გამომც. ინტელექტი 2011